რამაზ ხალვაში

# ტბელ აბუსერისძის „გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი“

„ქართული წიგნი“
თბილისი
2003

XII საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწის – წმ. ტბელ აბუსერისძის „გალობანი მწვალებელთა შენუენებისანი“ ანტიერეტიკული შინაარსის ჰიმნოგრაფიული კანონია, რომელიც სრულდებოდა დიდმარხვის პირველ კვირიაკეს, მართლმადიდებლობის ზეიმის დღესასწაულზე. მასში ავტორი ანათემას გადასცემს ყველა მწვალებელს, შვიდი ებრაული ერესით დაწყებული, ხატმებრძოლებით დასრულებული.

წიგნში საგალობლის კრიტიკულად დადგენილ ტექსტს ერთვის ინტერტექსტუალური გამოკვლევა, კომენტარები და სიმფონია-ლექსიკონი.


| | |
|---|---|
| რედაქტორი | ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. რევაზ სირაძე |
| რეცენზენტები: | ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ ქავთარია |
| | ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ედიშერ ჭელიძე |
| | ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი მირიან ებანოიძე |



© რამაზ ხალვაში



„ქართული წიგნი“ ISBN-99940-744-0-7

*ძვირფასი მამის, რევაზ ხალვაშის*
*ნათელ ხსოვნას ვუძღვნი ამ წიგნს*
*ავტორი*

# შესავალი

„გალობანი მწვალებელთა ყოველთა შეჩუენებისანი“ ორიგინალური ჰიმნოგრაფიული კანონია. მისი უძველესი ნუსხა დაცულია 1233 წლის ხელნაწერში (A-85), რომლის შემდგენელი რედაქტორია ტბელ აბუსერისძე.

საგალობლის ტექსტს ყურადღება პირველად თ. ჟორდანიამ მიაქცია. A-85 ხელნაწერის აღწერილობაში მან საგალობლის სათაურს დაურთო მცირე შენიშვნა: „გალობანი მწვალებელთა ყოველთა თჳთოეულისა წვალებისა შეჩუჵნებისანი“ (როგორც სჩანს, ქართველ მამათაგან თქმულნი)“[1] იმავე წიგნში „რკონის სიგელთან“ დაკავშირებით, რომელშიც მწვალებლები არიან დასახელებული, გამოქვეყნებულია საგალობლის შემოკლებული ტექსტი. თ. ჟორდანია ტექსტის შესავალში აღნიშნავს, რომ „ძველს სიგელებში ხშირად იხსენიება ამ მწვალებელთა და მათ შორის შეჩვენებულია ორიგენიცა, წარჩინებული და ცნობილი მწერალი და ამის გამო საჭიროდ ვცანით რამდენიმე ცნობა ჩავურთოთ აქა ზემო აღწერილის მე-XIII საუკ. ხელნაწერიდამ... იმ საკითხავიდამ, რომელსაც აქვს სათაურად: „გალობანი მწვალებელთა ყოველთა თჳთოეულისა წვალებისა შეჩუჵნებისანი“ და, რომელიც, ვგონებ, ქართველ მამათაგან არის შედგენილი, მათი ცოდნა-შეხედულების გამომეტყველი“[2]

თ. ჟორდანიას აზრი კ. კეკელიძემ განავითარა. მან დაადგინა, რომ „გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი“ ძირითადად ემყარება გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფის“ არსენ

1 თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, II, ტფ., 1897, გვ. 111.
2 იქვე, გვ. 139.

იყალთოელისეულ თარგმანს. აქედან გამომდინარე, მეცნიერმა თ. ჟორდანიას ვარაუდს მეტი დამაჯერებლობა შესძინა და აღნიშნა, რომ საგალობელი ორიგინალური ქართული ტექსტია და დაწერილია „ქართველ მამათა მიერ"[3].

გარდა ამისა, კ. კეკელიძემ სცადა საგალობლის დათარიღება და მისი დაწერის დრო 1172 წლის შემდგომი პერიოდით განსაზღვრა. მეცნიერმა ისიც აღნიშნა, რომ საგალობლის ტექსტით უსარგებლია ე. წ. „აბდულმესიანის" ავტორს, რითაც უფრო დააკონკრეტა „გალობანის" დაწერის თარიღი, რადგან, კ. კეკელიძის აზრით, ე. წ. „აბდულმესიანი" იოანე შავთელმა დაწერა 1210–1215 წლებში[4]

თ. ჟორდანიას და კ. კეკელიძის მოსაზრება, არსებითად, გაიზიარა პ. ინგოროყვამაც. მისი თქმით, „გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი" XII საუკუნის ქართული ტექსტია, „რომელიც მომდინარეობს გელათის სკოლიდან"[5]

ერთი მხრივ, ტბელ აბუსერისძის ხელნაწერის და მეორე მხრივ, ე. წ. „აბდულმესიანის" ტექსტის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა საშუალებას იძლევა დაზუსტდეს საგალობლის ატრიბუციასთან დაკავშირებული საკითხები.

ტბელ აბუსერისძის ხელნაწერი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში შეტანილია ძველი მასალა, რომელსაც რედაქტორისავე სახელდებით ეწოდება „ძლისპირნი და სტიქარონნი" უფრო მნიშვნელოვანია ხელნაწერის მეორე ნაწილი — ახალი ტიპის კრებული, რომელშიც ტბელ აბუსერისძემ შეიტანა თანამედროვე ლიტერატურული პროდუქცია. კრებულის ამ ნაწილს ის „შემატებულს" უწოდებს[6] დღესათ-

3 კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956, გვ. 263–265; მისივე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981, გვ. 244.

4 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 243–244, 246.

5 პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბ., 1978, გვ. 145.

6 აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს: ნ. გოგუაძემ, მ. ქავთარიამ და რ. ჩაგუნავამ, ბათუმი, 1998, გვ. 314.

ვის უკვე გარკვეულია, რომ „ძლისპირნი და სტიქარონნი“ გადაწერილია 1172 წლის უცნობი ხელნაწერიდან[7] სწორედ ამ თარიღს გულისხმობს კ. კეკელიძე „გალობანის“ დათარიღებისას, თუმცა ამას საგანგებოდ არ აღნიშნავს და წერს, რომ საგალობელი დაწერილია „არა უადრეს, არის საბუთი, 1172 წლისა“. მეცნიერის დასკვნა სრულიად ლოგიკურია, რადგან „გალობანი მწვალებელთა შერჳენებისანი“ მოთავსებულია ხელნაწერის ახალ — „შემატებულ“ ნაწილში.

1172 წლის დედნიდან ხელნაწერში XI-XII საუკუნეებში დაწერილი საგალობლებია შეტანილი. მათ შორის აღსანიშნავია, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ და იოანე პეტრიწის მიერ შედგენილი სექტემბერ-იანვრის „იამბიკური სვინაქსარი“ ჩვენი საკითხის კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ტბელ აბუსერისძის ხელნაწერის მეორე ნაწილს, ამიტომ მის შესახებ უფრო ვრცლად შევჩერდებით.

ახალ მასალას ტბელ აბუსერისძე ურთავს ბიბლიოგრაფიულ ცნობებს, რედაქტორულ შენიშვნებსა და კომენტარებს. ფაქტობრივად, ხელნაწერის ეს ნაწილი წარმოადგენს თავად ტბელ აბუსერისძის, არსენ ბულმაისიმისძისა და საბა სვინგელოზის თხზულებათა კრებულს. მის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვით ტბელის ძმებს — ერისთავთ-ერისთავებს აბუსერსა და ვარდანს.

„შემატებულ“ ნაწილს ტბელ აბუსერისძე „სამთა იოვანეთა“ (ნათლისმცემლის, მახარებლის და ოქროპირის) ჰიმნოგრაფიული კანონით იწყებს. აქ წარმოდგენილი მასალა სრულდება ხელნაწერის „ანდერძით“ და ზანდუკით, რომლებიც ასევე ტბელ აბუსერისძეს ეკუთვნის. ხელნაწერში ახალი მასალა ამგვარი თანმიმდევრობით არის დალაგებული:

1. ტბელ აბუსერისძე, „გალობანი სამთა იოვანეთანი“ (ფ. 219-221);

2. მისივე, „ქრონიკონის“ VII თავი (ფ. 222-223);

3. არსენ ბულმაისიმისძე, თებერვალ-მაისის „იამბიკური

---

7 აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 326. იხ. რ. ხალვაში, ტბელ აბუსერისძის სახისმეტყველება, ბათუმი, 1998, გვ. 73.

სვინაქსარი" (ხელნაწერის წინა ნაწილში წარმოდგენილი იოანე პეტრიწის „იამბიკური სვინაქსარის" გაგრძელება). ტექსტს ახლავს კომენტარი, საიდანაც ირკვევა, რომ იამბიკონის დაწერის ინიციატივა ეკუთვნის ტბელ აბუსერისძეს (ფ. 224-236);

4. ხუედრნი (ფ. 236-239);

5. ტბელ აბუსერისძის I ვრცელი კომენტარი (ფ. 239);

6. ზატიკი (ფ. 240-278);

7. არსენ ბულმაისიმისძე, „უფალო ღაღადყავი ხატისა უხილავისაჲ" ტბელ აბუსერისძის ცნობით, ეს არის „მეოთხის გუერდნი გალობანი ვარდანისაგან შეხუეწითა თქუმულნი" (ფ. 278-284);

8. ტბელ აბუსერისძის II ვრცელი კომენტარი (ფ. 284);

9. არსენ ბულმაისიმისძე, ხელთუქმნელი ხატის თჳთ ძლისპირნი გალობანი. ტბელის ცნობით, ამ საგალობლის დაწერის ინიციატივა ეკუთვნის აბუსერს (ფ. 285-293);

11. არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლე აბუსერ აბუსერისძისადმი (ფ. 293-294)

12. საბა სვინგელოსი, „გალობანი ქრისტეს განგებულებისა და განკაცებისანი" დაწერილი „შეხუეწითა... ვარდანისითა" (ფ. 295-298);

13. წმინდა მხედართა (წმ. გიორგის, წმ. დიმიტრისა და წმ. თევდორეს) საგალობლები (ფ. 298-307);

14. ტბელ აბუსერისძე, „ქრონიკონის" I-VI და VIII-XI თავები (ფ. 307-338);

15. „გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი" (ფ. 338-341);

16. ტბელ აბუსერისძე, „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი" (ფ. 342-350);

17. ტბელ აბუსერისძე, ხელნაწერის „ანდერძი" (ფ. 350-353);

18. ტბელ აბუსერისძე, ხელნაწერის ზანდუკი (ფ. 354).

ხელნაწერის ამ ნაწილში შეტანილი ტექსტებიდან „ხუედრნი", „ზატიკი" და წმინდა მხედართა საგალობლები

წარმოადგენენ თარგმანებს. სხვა დანარჩენი ტექსტები ქართველ მწერალებს ეკუთვნის. მათი ავტორების ვინაობა ცნობილია: რედაქტორის მიერ დართული კომენტარებით უტყუარად დგინდება, რომ ესენი არიან ტბელ აბუსერისძე, არსენ ბულმაისიმისძე და საბა სვინგელოსი. რჩება ერთადერთი ორიგინალური ტექსტი — „გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი", რომლის ავტორის ვინაობა უკანასკნელ დრომდე გაურკვეველი რჩებოდა.

ხელნაწერის ზანდუკში ჰიმნოგრაფიული კანონის მხოლოდ სათაურია შეტანილი: „ქრონიკონი სრული მისითა საუწყებლითა განგებითა. კჳკლოსი ასურული შავთელისაგან თქუმულითა განგებითა იამბიკონითა. გალობანი. მწვალებელთა შეჩუენებისანი. ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი"[8]. „გალობანის" შესახებ დამატებით ცნობას შეიცავს ლიტურგიკული განწესება, რომელშიც ტბელ აბუსერისძე აღნიშნავს: „ესე „გალობანი მწვალებელთა ყოველთა შეჩუენებისანი" ითქუნენ განქიქებისა მათისათჳს, უკუეთუ ვისმე გენებოს, პირველსა კჳრიაკესა წმიდათა მარხვათასა"[9] განწესების შინაარსზე და კრებულის სტრუქტურაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ამ ორიგინალური საგალობლის ავტორია ტბელ აბუსერისძე.

პირველ რიგში, ამას გვაფიქრებინებს განწესების არაკატეგორიული ხასიათი — „უკუეთუ ვისმე გენებოს" რა თქმა უნდა, სხვისი ავტორობის შემთხვევაში, ტბელ აბუსერისძე საგალობლის ლიტურგიკულ პრაქტიკაში ჩართვას ხელნაწერის „მომჴმარებლის" ნებაზე არ დატოვებდა. ამგვარ მოკრძალებას ერთადერთი გამართლება აქვს — ავტორი საუბრობს საკუთარი შემოქმედების ნაყოფზე.

ნიშანდობლივია, რომ მსგავსი შინაარსის მინაწერი

---

8 აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 74.

9 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ელ. მეტრეველის რედაქციით, ტომი I,, თბ., 1973, გვ. 292; აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 73.

ახლავს ტბელ აბუსერისძის ჰაგიოგრაფიულ თხზულებას. ამ მინაწერის ადრესატები არიან ხელნაწერის მომავალი გადამწერები. ტბელი მათ ნებას მიანდობს „ანდერძისა“ და „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნის“ ერთად გადანუსხვას: „ამას (ე.ი. ხელნაწერის „ანდერძს“ — რ.ხ.) ზემოჲთსა სასწაულთავე თანა აღსწერდეთ წმიდისა გიორგისთა, ვისცა გნებოს“ — წერს იგი[10].

ყურადღებას იპყრობს მეორე გარემოებაც. „გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი“ ტბელ აბუსერისძის ორ ნაწარმოებს შორის არის მოქცეული. მის წინ ხელნაწერში კალენდარულ-მათემატიკური ნაშრომი „ქრონიკონია“ შეტანილი, ხოლო შემდეგ — ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“ ამ ორ პროზაულ ნაწარმოებს შორის საგალობლის მოთავსებას ერთადერთი გამართლება აქვს: მისი ავტორიც ტბელ აბუსერისძეა. სხვა მხრივ, ყოვლად მოულოდნელია, „მარხვანის“ ციკლის ლიტურგიკული საგალობლის ამგვარ კონტექსტში ჩასმა.

ამ მოსაზრებას ისიც უჭერს მხარს, რომ ტბელ აბუსერისძის თხზულებებს ხელნაწერში ორიენტირის ფუნქცია აკისრიათ. ისინი იწყებენ და ასრულებენ კრებულის ახალ ნაწილს. მის დასაწყისში შეტანილია „გალობანი სამთა იოვანეთანი“ ზანდუკში მის შესახებ ავტორი წერს: „გალობანი წმიდისა იოვანე ნათლისმცემლისანი, წმიდისა იოვანეთანი სხუათანიცა, სამთავე ზიარნი — ჩემგან შემატებულნი, ამითურთ ამას ქუემოჲთი ყველაჲ“[11] აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „ამითურთ ამას ქუემოჲთი ყველაჲ“ შემატებულია ტბელ აბუსერისძის მიერ.

„სამთა იოვანეთა“ საგალობელს ხელნაწერში უშუალოდ მოსდევს „ქრონიკონის“ მეშვიდე თავი („დღის საძიებელი“). ავტორს წინასწარ გამიზნულად გადააქვს „ქრონიკონის“ ფრაგ-

---

10 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, I₁, გვ. 292; აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 73.
11 აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 74.

მენტი „სამთა იოვანეთა" საგალობლის შემდეგ და არსენ ბულმაისიმისძის იამბიკური სვინაქსარის წინ, რითაც ნაწარმოების ამ თავს გალექსილი საეკლესიო კალენდრის შესავლის ფუნქციას აკისრებს[12]. „ქრონიკონის" ძირითადი ნაწილი კრებულის ბოლო ნაწილშია მოთავსებული, სადაც ტბელ აბუსერისძის ნაწარმოებებია თავმოყრილი. ამგვარად, ტბელ აბუსერისძის თხზულებებზე მინიშნება თვით ხელნაწერის სტრუქტურაში დევს.

A-85 ხელნაწერში ტბელ აბუსერისძის მხოლოდ ერთ თხზულებაზეა ავტორი მითითებული. ეს არის „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი", რომელსაც უშუალოდ მოსდევს ხელნაწერის „ანდერძი" თხზულების წარდგინება-სათაურში აღნიშნულია, რომ „ესე არიან სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი და ანდერძი მისისა სასოებით შევედრებულისა და ამათ სიტყუათა... მთქუმელისაჲ" ავტორი ასე აერთიანებს ჰაგიოგრაფიულ თხზულებას, ხელნაწერის „ანდერძს" და „სიტყუებს" („ამათ სიტყუათა") ანუ ხელნაწერის რედაქტორულ შენიშვნებს და კომენტარებს. „ანდერძში" ავტორი ერთხელ კიდევ აღნიშნავს, რომ ხელნაწერში შეტანილი თხზულებები მან დაალაგა (ე. ი. შეასრულა რედაქტორული სამუშაო): „ესე ძლისპირნი და სტიქარონნი მე დავსხენ ამით ყოვლითა შემატებულითა და ვირე ცოცხალ ვარ, ოდესცა მინდან, მე მოვიჳმარებ"[13]. იმავე „ანდერძში" ავტორი გვიმხელს თავის ვინაობას და წერს: „მე, არაღირსი და შეურაცხი შესაძრწუნებელთა ამათ სიტყუათაჲ და სიყუარულისათჳს იძულებული და არასაკადრებელად ვერმომთმინე აბუსერისძე ტბელი, ძე ერისთავთ-ერისთავისა ივანესი"[14] ასე ირკვევა, რომ „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი" დაწერილია ტბელ აბუსერისძის მიერ[15].

გაცილებით რთული აღმოჩნდა „ქრონიკონის" ავტორის

---

12 აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 318.
13 იქვე, გვ. 68.
14 იქვე, გვ. 67.
15 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 111.

დადგენა. ამ ტექსტში ციტირებულია იოანე შავთელის 13 სტროფიანი იამბიკო, რის შესახებაც ტბელ აბუსერისძე წერს: „ესე ასურულისა კჳკლოსისა საძიებელი და მასწავებელი, იამბიკონად თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე შავთელისაგან თქუმულიცა ამისთჳს დავწერე, რომელი ზემოსა საუწყებელსა მეჴსენა"[16] თხზულების მეცხრე თავში მართლაც არის აღნიშნული, რომ „ამის ჯერისათჳს სანთელი სულიერისა ფილასოფოსობისაჲ წმიდაჲ იოვანე შავთელი შეწყობითა იამბიკონთაჲთა კეთილად და ღმრთივ შუენიერად წარმოაჩინებს"[17] ეს ცნობები იოანე შავთელის იამბიკონიდან დამოწმებული ციტატის შესახებ სვიმონ კარგარეთელმა (1541 წ.) „ქრონიკონის" მთლიან ტექსტზე განავრცო და მის ავტორად იოანე შავთელი გამოაცხადა. თხზულების პირველმა გამომცემელმა — მ. ბროსემ კი აღნიშნა, რომ იოანე შავთელს ეკუთვნის „ქრონიკონის" ლექსითი, იამბიკური ფორმით დაწერილი ვარიანტი, რომელიც პროზის სახით გადააკეთა ტბელ აბუსერისძემ[18]. საკითხის ბოლომდე გარკვევა კ. კეკელიძემ შეძლო, რომელმაც აჩვენა, რომ თხზულების ავტორია ტბელ აბუსერისძე, რომელმაც თავის შრომას „დაურთო იამბიკონი იოანე შავთელისა"[19]

ტბელ აბუსერისძის სხვა თხზულებათა საკითხის გადაწყვეტამ მოითხოვა A-85 ხელნაწერის შესწავლა. მისი ვრცელი აღწერილობა პირველად თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა[20], მაგრამ მას ბევრი რამ გამორჩა მხედველობიდან, მათ შორის ხელნაწერის ზანდუკი. ხელნაწერში წარმოდგენილი მასალის კვლევას უფრო დიდი დრო კ. კეკელიძემ დაუთმო. მან ცალკე გამო-

---

16 აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 73.

17 იქვე, გვ. 47.

18 **M. Brosset.** Traite de comput Ecclesiastique, Etudes: de Cronologie technique, Memoires de l'Academie Imperiale des sciences de St.-Peterbourg, VIIr serie, T. XI, N 11, St.-Peterbourg, 1868, p. 21-23.

19 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ. 330.

20 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 103-111.

კვლევები მიუძღვნა არსენ ბულმაისიმისძის, საბა სვინგელოზისა და ტბელ აბუსერისძის შემოქმედებას. მანვე შენიშნა ტბელ აბუსერისძის ხელნაწერი კრებულის მსგავსება ქუთ. 22 კრებულთან და A-85 ხელნაწერში გამოყო ძველი ნაწილი, გადაწერილი 1172 წლის უცნობი დედნიდან. გარდა ამისა, გამოავლინა ზანდუკი, რომელზე დაყრდნობითაც გამოთქვა ვარაუდი, რომ ტბელ აბუსერისძეს უნდა ეკუთვნოდეს „გალობანი სამთა იოვანეთანი" შემდგომმა კვლევამ კ. კეკელიძის ეს მოსაზრება დაადასტურა[21]

„გალობანი მწვალებელთა შერჩვენებისანის" მეცნიერული შესწავლაც კ. კეკელიძემ დაიწყო. მან დანამდვილებით გაარკვია, რომ საგალობელი ორიგინალური ქართული ძეგლია. კრებულის ახალი ნაწილის შედგენილობა და შინაარსი მეცნიერს იმის საფუძველსაც უქმნიდა, დაეკონკრეტებინა, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო საგალობლის შემთხზველი „ქართველი მამა", მაგრამ წინააღმდეგობას წააწყდა, რადგან იოანე შავთელის ნაწარმოებად მიჩნეულ სახოტბო პოემაში — ე. წ. „აბდულმესიანში" მან საგალობლის ტექსტიდან შეტანილი ციტატები დააფიქსირა.

## „გალობანი მწვალებელთა შერჩუენებისანი" და ე. წ. „აბდულმესიანი"

როგორც კ. კეკელიძემ შენიშნა, ე. წ. „აბდულმესიანის" 84-ე სტროფი ეყრდნობა „გალობანის" პირველ ნაწილს, სადაც ძველი აღთქმის ერესებია ჩამოთვლილი[22] აღნიშნულ სტროფში დასტურდება საგალობლის 9 ფრაგმენტი:

„შვიდ წვალებათა-შეცვალებათა
იყვნეს ძველითგან: შობის დღის მზმნელნი[23]

---

21 ტბელ აბუსერისძე, გალობანი წმიდათა იოვანეთა, რ. ხალვაშის გამოცემა, ბათუმი, 1992; აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 153-160.
22 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 244.
23 შდრ.: „შჳდ წვალებანი იყვნეს ძუელითგან";
„ფარისეველნი — შობისა დღისა მზმნელნი"

სადუკეველნი, ფარისეველნი[24],
მცნებათა სჯულსა არ-კმა-მყოფელნი[25],
წერილთ მომპოვნნი[26], თჳსით მომგონნი,
სხვანი დღითი-დღე ნათლისმღებელნი[27],
ნაზარეველნი, ხუთოსინელნი[28]
მისგან შეიქმნეს პირდაყოფილნი"

ი. ლოლაშვილმა სცადა ამ სტროფის დაკავშირება ეპიფანე კვიპრელის „თხმეოცი წვალების" ქართულ თარგმანთან. მკვლევარმა აღნიშნა, რომ „წერილთ მომპოვნნი" ეპიფანე კვიპრელის თხზულებაში იწოდებიან „მწიგნობართა" სახელით[29] სინამდვილეში, ფრაზა „წერილთ მომპოვნნი" „თხმეოცი წვალების" ტექსტში არ გვხვდება. მეხოტბე ამ შემთხვევაშიც ემყარება „გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანის" ტექსტს:

„პირველ — მწიგნობართაჲ
სჯულ-მცნებათა არა
კმამყოფელნი, სხუათაცა
რათმე უწერელად
მომპოვნნი".

„წერილთ მოპოვნნი" წარმოადგენს საგალობლისეული „უწერელად მომპოვნნის" არასწორ წაკითხვას.

როგორც კ. კეკელიძემ აღნიშნა ამგვარივე გაუგებრობით არის გამოწვეული ე. წ. „აბდულმესიანში" სიტყვა „ხუთოსინელის" შეტანა: საგალობელშია „ხუთ — ოსინელნი" (ე. ი. მეხუთედ — ოსინელნი), რაც ერთ სიტყვად გაუერთიანებია მეხოტბეს[30]

---

24 შდრ.: „სადუკეველნი"; „ფარისეველნი"
25 შდრ.: „მწიგნობართაჲ სჯულ-მცნებათა არა კმამყოფელნი"
26 შდრ.: „სხუათაცა რათმე უწერელად მომპოვნნი".
27 შდრ.: „სხუანი — დღითი-დღე ნათლისმღებელნი".
28 შდრ.: „ნაზარეველნი"; „ხუთ — ოსინელნი".
29 ძველი ქართველი მეხოტბენი, წიგნი II — იოანე შავთელი, აბდულმესიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1984, გვ. 241-242.
30 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 244.

ბუნებრივია, მეხოტბე რთული ამოცანის წინაშე იდგა: მას ჩახრუხაულის ერთ სტროფში უნდა მოექცია შვიდი ებრაული ერესის სახელწოდება და, ნაწილობრივ — საქმეებიც, შემდეგ კი ისინი დაეკავშირებინა ხოტბის ობიექტთან. სტროფში დასახელებულია 5 ერესი: სადუკეველნი, ფარისეველნი, დღითი-დღე ნათლისმღებელნი, ნაზარეველნი და ოსინელნი (ხუთოსინელნი). მათგან „საქმეთა თანა" იხსენებიან ფარისეველნი[31] მწიგნობართა სექტას ავტორი სახელწოდების გარეშე გვიხასიათებს, მაგრამ დასახულ ამოცანას ბოლომდე მაინც ვერ ართმევს თავს, რადგან სტროფში „შვიდ წვალებათაგან" სრულებით არის ამოვარდნილი ჰეროდიანელთა სექტა.

იოანე შავთელი სრულიად სხვა ჰორიზონტის და შესაძლებლობების პოეტი იყო, რაც კარგად ჩანს იმ ფრაგმენტიდან, რომელსაც ტბელ აბუსერისძე იმოწმებს „ქრონიკონში". იამბიკონში იოანე შავთელი გვაწვდის სრულყოფილ ინფორმაციას პასქალიის სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, ის ერთ სტროფში გადმოგვცემს თვეთა სახელწოდებებს (შემოკლებით), თვეებისა და წელიწადის დღეთა რაოდენობას:

„ათორმეტ თთუენი: სეკ-ლას; ოკ-ლას ან; ნონ-ლას;
დეკ-ლას ან; იან-ლას ან; ფებ-კან ჰე, კან თან;
მარტ-ლას ან; აპ-ლას; მაის-ლას ან; ივნის-ლას;
ივლის-აგჳსტოს ორნივე ლას-ან. ხოლო
რიცხჳ ყოველი სამას სამეოცდახუთ"[32]

---

31 ფარისეველნი არიან „შობის დღის მზმელნი", როგორც საგალობელშია ნათქვამი, და არა შვიდივე წვალების მიმდევრები, როგორც ამას ი. ლოლაშვილი ფიქრობდა: „ძველიდანვე შობის დღის მკითხავნი შვიდ მწვალებლურ სექტად გაიყვნენ და სჯული შეიცვალეს" — მკვლევარს ასე ესმის 84-ე სტროფის პირველი და მეორე ტაეპების შინაარსი — იხ. ძველი ქართველი მეხოტბენი, II, გვ. 241-240.

32 აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 55, 265-268.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ იოანე შავთელი, როგორც კლასიკური ხანის ქართველი საეკლესიო მწერლებისთვის იყო დამახასიათებელი, რითმიან ლექსებს არ წერდა.

„გალობანი მწვალებელთა შეჩვენებისანის“ ციტირება გრძელდება ასევე ე. წ. „აბდულმესიანის“ 85-ე სტროფში, რაზეც სამართლიანად მიუთითებს ს. მახარაშვილი[33] სტროფის პირველი ტაეპი, — „მაკედონიოს, დრკუ საბელიოს შეცდომით ჰგმობდეს სულსა წმიდასა“, — ემყარება „გალობანის“ VII.1-2 დასდებლებს („დრკუჲ საბელიოს... ცთომილი... მაკედონიოს, რომელი სულსა წმიდასა... ჰგმობდა“), ოღონდ ერთი განსხვავებით: მეხოტბე მაკედონიოსის დახასიათებას განავრცობს საბელიოსზე. სტროფის მეორე ტაეპი, — „მანი ვინმე ცით იტყოდა რეცით გარდმოტანასა ჴორცთა მისთასა“, — იმეორებს VIII.1 დასდებელს: „მაღნი ვინმე ცით და ეთერსა ჴორცთა თავისა თჳსისა თანა გარდმოტანებასა და ამით ჴორცთშესხმასა ქრისტესასა იტყოდა“

აქვე აღვნიშნავთ, რომ „მანი ვინმე ცით“ ნ. მარის კონიექტურაა. პოემის ყველა ხელნაწერში იკითხება: „მაღნი ვინმე ცით“[34], რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ე. წ. „აბდულმესიანის“ უშუალო კავშირზე ტბელ აბუსერისძის ხელნაწერთან. ამ შემთხვევაში იაკობ შემოქმედელი უკრიტიკოდ იმეორებს გადამწერის შეცდომას „მაღნი ვინმე ცით... იტყოდა (!)“

ე. წ. „აბუდულმესიანის“ განხილულ სტროფთა შინაარსობრივი არასრულყოფილება და მათში „გალობანის“ ტექსტის არაზუსტი წაკითხვებიდან მომდინარე შეცდომები, ბუნებრივია, გამორიცხავს იოანე შავთელის ავტორობას. შეუძლებელია, ე. წ. „აბდულმესიანის“ 84-ე და 85-ე სტროფები ეკუთ-

---

33 ს. მახარაშვილი, ეპიფანე კვიპრელის „ოთხმეოცთა წვალებათათჳს“, თხზულების ქართული თარგმანი, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერი), თბ., 1990, გვ. 137–138.

34 ძველი ქართველი მეხოტბენი, II, გვ. 145.

ვნოდეს ქართული კლასიკური მწერლობის აღიარებულ წარმომადგენელს, რომელიც, იგივე ტბელ აბუსერისძის თქმით, იყო „სანთელი სულიერისა ფილასოფოსობისაჲ“

ს. ცაიშვილის, ა. ხინთიბიძის და ბ. დარჩიას ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ე. წ. „აბდულმესიანის“ ავტორია არა იოანე შავთელი, არამედ სამებელ-შემოქმედელი მიტროპოლიტი იაკობ დუმბაძე[35]. აქედან გამომდინარე, ცხადია, სახოტბო პოემა აღარ გამოდგება „გალობანი მწვალებელთა ყოველთა შერჩუენებისანის“ დასათარიღებლად. მეტიც, თვითონ საგალობლის გათვალისწინება გვეხმარება „არჩილ მეფის ქებასთან“ (ე. წ. „აბდულმესიანთან“) დაკავშირებული საკითხების დაზუსტებაში.

იაკობ დუმბაძე ტბელ აბუსერისძის საგალობელს გელათში გაცნობია. დღეისათვის გარკვეულია, რომ A-85 ხელნაწერი XVI საუკუნის 40-იანი წლებიდან XVII საუკუნის მიწურულამდე ინახებოდა გელათის მონასტერში, საიდანაც 1699 წელს ის არჩილ მეფემ მოსკოვში წაიღო. აღსანიშნავია, რომ ხელნაწერში დაცულია არჩილ მეფის მინაწერი: „ზე ადიდე, ღმერთო, მეფე არჩილ“[36]

1681 წელს, როცა არჩილ მეფე „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებას“ წერდა, „არჩილ მეფის ქების“ ტექსტი უკვე არსებობდა. ის თავად წერს:

„აწ სამებელი იაკობ ვახსენო ბრძნად მოუბარი:
ამჟამად მას მეცნიერნი არსად არა ჰყავს უბარი;
ხუცურის ენით მელექსობს, არის საეროს მგმობარი;
სრულად ამისთვის არ ვაქე, რომ იყო ჩემი მკობარი“[37]

არჩილი 1681 წლამდე იმერეთში ორჯერ გამეფდა: 1661-1663 და 1678-1679 წლებში. არსებობს საფუძველი ვიფიქროთ,

---

35 ს. ცაიშვილი, მოხსენება, წაკითხული კ. კეკელიძის 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე, 1989 წლის 27 აპრილს; ა. ხინთიბიძე, იაკობ შემოქმედელი — XVII საუკუნის მწერალი და სასულიერო მოღვაწე, თბ., 1986; ბ. დარჩია, იაკობ შემოქმედელი და „აბდულ-მესიანის“ პრობლემა, გაზ. „კალმასობა“, № 10, 11, 12, 1997; № 1, 4, 8, 11, 13, 1998.

36 აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 328-333.

37 არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1999; გვ. 214.

რომ იაკობ ღუმბაძემ მას „ქება" იმერეთის ტახტზე მეორედ ასვლის დროს მიუძღვნა, რადგან 1661 წელს არჩილი მხოლოდ და მხოლოდ 13 წლისა იყო. „არჩილ მეფის ქების" დაწერის დროს (1678-1679 წლებში) შემოქმედის მიტროპოლიტი გელათში უნდა ვიგულვოთ, სადაც მას შეეძლო „გალობანი მწვალებელთა შეჩვენებისანის" გაცნობა. ამგვარად, ე. წ. „აბდულმესიანის" ტექსტი არავითარ დაბრკოლებას არ ქმნის საგალობლის ატრიბუციის საკითხში.

„გალობანი მწვალებელთა შეჩვენებისანი" შეესაბამება ტბელ აბუსერისძის შემოქმედების საერთო ხასიათს, მისთვის დამახასიათებელ „ციტატურ აზროვნებას" (საგალობლის ტექსტში „ხრონოგრაფის" ტექსტის ხშირ ციტაციაზე კ. კეკელიძე მიუთითებდა). როგორც მ. ქავთარია და ნ. გოგუაძე აღნიშნავენ, განზოგადების ტენდენცია ტბელ აბუსერისძის ჰიმნოგრაფიული საქმიანობის მეტად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს, როგორც საკუთარ შემოქმედებაში, აგრეთვე მისი უშუალო დავალებით შექმნილ საგალობლებშიც: „აბუსერისძე ტბელმა არსენ კათალიკოსს და საბა სვინგელოზს ძმების ჩარევით დააწერინა საგალობლები „პიროვანი საქცევით". ორივე ავტორმა ფსალმუნის ტექსტზე დაყრდნობით (ციტატების მოხმობით) შექმნეს ჰიმნები, რომელთა შინაგანი ღერძი იყო სიტყვა პირი, სახის მნიშვნელობით"[38].

ამგვარივე „ციტატური აზროვნების" ნაყოფია ტბელ აბუსერისძის „გალობანი სამთა იოვანეთანი". ამ ძეგლიდან ჩანს მისი ავტორის ღრმა განსწავლულობა საეკლესიო სიბრძნისმეტყველების ყველა დარგში, საიდანაც ის ხშირად სესხულობს სახეებს[39] საგალობელში ქრისტიანული სამყაროს სამი დიდი

38 აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 159. შდრ.: ნ. სულავა, აბუსერისძე ტბელი — რედაქტორი, მწერალი, კრებულში: აბუსერისძე ტბელი — 800, თბ., 1999, გვ. 22; გ. მიქაძე, არსენ ბულმაისიმისძე, „ლიტერატურული ძიებანი", ტ. XV, 1983, გვ. 129-131.

39 აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 156-159; ლ. გრიგოლაშვილი, აბუსერისძე ტბელის „გალობანი სამთა იოვანეთანი", კრებულში: აბუსერისძე ტბელი — 800, თბ., 1999, გვ. 77-96; ნ. სულავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 24-47.

წარმომადგენლის — იოანე ნათლისმცემლის, იოანე მახარებლის და იოანე ოქროპირის შესაქებად გამოყენებულია სალვთისმეტყველო, სახისმეტყველებითი, ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო („გრძნობად ხატთა“) ტრიადები: სარწმუნოება, სასოება, სიყვარული (შდრ. 1 კორ. 13.13); სიტყჳსა ჴმა, სიტყუა, პირი ქრისტესი; საყდარი, ქერობინი, სერაბინი; უფლება, ძალი, ჴელმწიფება; მთავრობა, მთავარანგელოზი, ანგელოზი; სული, სამშჳნველი, ჴორცი; სული, გონება, სიტყუა; ნიავსულნელი, ღრუბელი, ცუარი; წყარო, მდინარე, ზღუა; მზე, შარავანდედი, მცხინვარება[40].

„სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“ თემატიკით და ნიშანთა სისტემით აგრძელებს „ასურელ მამათა“ ჰაგიოგრაფიულ ციკლს. ამ ტექსტში ხშირია ციტაცია და რემინისცენციები ბასილ ვაჩესძის „შიო მღვიმელის სასწაულებიდან“, „იოანე ზედაზნელისა და შიო მღვიმელის ცხოვრებიდან“, „დავით გარეჯელის ცხოვრებიდან“, „აბიბოს ნეკრესელის წამებიდან“[41].

„ქრონიკონის“ ინტერტექსტუალური მხარე ჯერ კიდევ ნაკლებად არის შესწავლილი, თუმცა თხზულებაში უკვე მიკვლეულია ვრცელი ციტატა იოანე შავთელის იამბიკონიდან (13 სტროფი), რაზეც თავად ავტორი მიუთითებს.

ავტორის „ციტატური აზროვნება“ თავის პიკს „გალობანი მწვალებელთა შეჩვენებისანის“ ტექსტში აღწევს, რომელიც ემყარება ექვთიმე ათონელის, ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელისა და სხვა ქართველ მამათა თარგმანებიდან აღებულ ციტატებს.

ამგვარად, ყოველმხრივ დასტურდება თ. ჟორდანიას და კ. კეკელიძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „გალობანი მწვალებელთა შეჩვენებისანი“ დაწერილია „ქართველი მამის“ მიერ. ამ ჰიმნოგრაფიული კანონის ავტორია XIII საუკუნის ქართველი მწერალი ტბელ აბუსერისძე, რომელმაც საგალობლის ტექსტი A-85 ხელნაწერში შეიტანა და მოათავსა თავის ორ თხზულებას შორის.

---

40 რ. ხალვაში, ტბელ აბუსერისძის სახისმეტყველება, გვ. 14–17.

41 იქვე, გვ. 18–26.

# „გალობანი მწვალებელთა შერჩევნებისანის“ ინტერტექსტუალური ანალიზი

„გალობანი მწვალებელთა შერჩევნებისანის“ ლიტერატურული წყაროების კვლევა კ. კეკელიძემ დაიწყო. საგალობელში მან გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფის“ ქართული თარგმანიდან 11 ციტატა დააფიქსირა[42], რითაც იმთავითვე სწორი მიმართულება მისცა „გალობათა“ ტექსტის შესწავლას.

კ. კეკელიძემ ამასთანავე აღნიშნა, რომ „გალობანი მწვალებელთა შერჩევნებისანის“ პირველ ნაწილში, სადაც ჩამოთვლილია ძველი აღთქმის წვალებანი, საგალობლის ავტორი იყენებს ეპიფანე კვიპრელის თხზულების „ოთხმეოცი წვალების“ ქართულ თარგმანს, რომელიც თეოფილე ხუცესმონაზონს ეკუთვნის[43] ამ დებულების დადასტურება სოსო მახარაშვილმა სცადა, რომელმაც ჰიმნოგრაფიული კანონის „პირველი ნაწილი“ (ე. ი. I გალობის მესამე და მეოთხე დასდებლები) „ოთხმეოცი წვალების“ ქართულ თარგმანს შეუდარა. ტექსტების შედარებამ კ. კეკელიძის მოსაზრება არ დაადასტურა: საგალობელში „ოთხმეოცი წვალების“ ქართული თარგმანის „უშუალო ტექსტობრივი გამოყენების კვალი არ ჩანს“ — სამართლიანად დაასკვნა ს. მახარაშვილმა, და იქვე აღნიშნა, რომ „ჰიმნოგრაფი, რასაკვირველია, მთლიანად იცნობს ამ ძეგლს და ალბათ, ითვალისწინებს კიდეც გალობების შეთხზვისას“[44].

საგალობლის ინტერტექსტუალური ანალიზის შედეგად დადასტურდა, რომ ტბელ აბუსერისძეს გაცილებით რთული სამუშაო ჩაუტარებია. „გალობანი“, „ხრონოგრაფის“ არსენ იყალთოელისეული თარგმანის გარდა, ეყრდნობა ეგზეგეტიკურ, კანონიკურ,

---

42 კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, გვ. 264–265.

43 იქვე, გვ. 263–264.

44 ს. მახარაშვილი, ეპიფანე კვიპრელის „ოთხმეოცთა წვალებათათჳს“, თხზულების ქართული თარგმანი, სადისერტაციო ნაშრომი (ხელნაწერი), თბ., 1990, გვ. 137.

დოგმატიკურ და პოლემიკურ ტექსტებს. საგალობელში გამოყენებული ლიტერატურული წყაროების მრავალფეროვნება გვიცნაურებს ავტორის მიერ გაწეული შრომის სირთულეს. ტბელ აბუსერისძე სხვადასხვა თხზულებიდან ამოკრეფილი ციტატებით ქმნის ჰიმნოგრაფიულ კანონს, რომელშიც მოცემულია მწვალებლობის ისტორია ძველი აღთქმის შვიდი ერესით დაწყებული, ხატმებრძოლობით დასრულებული. ფაქტობრივად, ჩვენს წინაშეა ლექსის ფორმით დაწერილი ანტიერეტიკული შინაარსის გამოკვლევა.

ისტორიული ძნელბედობის ჟამს ტბელ აბუსერისძეს, როგორც ერის ჭეშმარიტ ჭირისუფალს, სურდა თავისი შემოქმედებით სულიერად განემტკიცებინა თანამემამულეები. სწორედ ამ იდეით არის ნაკარნახევი მისი შემოქმედების სასწავლო-პედაგოგიური და დიდაქტიკური ხასიათი. ამავე მიზანს ისახავს „გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი". იოანე დამასკელის მსგავსად, ტბელ აბუსერისძე მწვალებლობის ისტორიას იმის გამო წერს, „რაჲთა რაჟამს ტყუვილსა მათსა მეცნიერ ვიყვნეთ, ჭეშმარიტებასა ზედა უფროჲს დამტკიცებულ ვიქმნნეთ"[45]

## მწვალებელთა შეჩვენება „პირველსა კჳრიაკესა წმიდათა მარხვათასა"

ტბელ აბუსერისძის ჰიმნოგრაფიული კანონი ლიტურგიკული მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი. ის უნდა წაკითხულიყო „პირველსა კჳრიაკესა წმიდათა მარხვათასა" ეს დღე ლიტურგიკულ პრაქტიკაში ცნობილია „მართლმადიდებლობის ზეიმის" κυριακη τῆς ορθοδοξιας სახელწოდებით. მისი აღნიშვნა უკავშირდება ხატმებრძოლთა ერესზე საბოლოო გამარჯვებას და დაწესდა 843 წლის 19 თებერვალს, დიდმარხვის პირველ კვირას, როცა თეოდორა დედოფლის ინიციატივით მოწვეულ საეკლესიო კრებაზე ხატთა თაყვანისცემა აღდგა. ამ დღეს

45 იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ორი ძველი ქართული რედაქცია (წმ. ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელისა), გამოსაცემად მოამზადეს რ. მიმინოშვილმა და მ. რაფავამ, თბ., 2000, გვ. 28.

საეკლესიო კრებაზე შეკრებილმა მამებმა შეადგინეს „ძეგლისწერა სარწმუნოებისა" (συνοδικον), სადაც შეჩვენებული იყო ყველა ხატმებრძოლი და მწვალებელი. „ძეგლისწერის" ძველ რედაქციაში ხატმებრძოლთა პიროვნული შეჩვენებები სამი სტატიისაგან შედგებოდა და მასში იხსენებოდნენ: 1. ხატმებრძოლი მეფეები — ლეონ III, კონსტანტინე V და ლეონ V სომეხი; 2. ხატმებრძოლობის პირველი პერიოდის (730-780) პატრიარქები — ანასტასი, კონსტანტინე და ნიკიტა; 3. მეორე პერიოდის (815-843) ხატმებრძოლი პატრიარქები — თეოდოტი, ანტონი და იოანე. მესამე სტატიას 869 წლის საეკლესიო კრების შემდეგ დაემატა პატრიარქის ხარისხის არმქონე ხატმებრძოლთა: თეოდორე ღასტის, სტეფანე მულიტის, თეოდორე მექრთილისა და ლალუდი ლეონტის ანათემები[46].

XI-XIV საუკუნეებში საეკლესიო კრებებზე მიღებული დადგენილებების გავლენით „ძეგლისწერაში" ანათემათა რიცხვი გაიზარდა. ასე წარმოიქმნა „ძეგლისწერის" გვიანდელი რედაქციები, რომლებშიც დროთა განმავლობაში ჩართეს შემდეგი დამატებები: 1. თერთმეტი სტატია იოანე იტალოსის და მისი სკოლის წინააღმდეგ, 1076-1077 და 1082 წლების საეკლესიო კრებებზე მათი დაგმობის შემდეგ[47]; 2. ერთი სტატია ნილოს მონაზვნის წინააღმდეგ, რომელიც ნიკოლაოს პატრიარქმა შეაჩვენა 1087 წელს; 3. ხუთი სტატია ბოგომილთა წვალების წინააღმდეგ, რომელიც დაგმო 1111 წლის საეკლესიო კრებამ[48]; 4. ორი სტატია ევსტრატი ნიკიელის სწავლების წინააღმდეგ „ქრისტეში ორი ბუნების ჰიპოსტასური შეერთების შესახებ", რომელიც დაგმო 1117 წლის საეკლესიო კრებამ; 5. ხუთი სტატია მიხეილ დიდასკალის, ნიკიფორე ვასილაკის, ევსტათი დირაქიელისა და სოტირიქე პანტევგენის ცთომილებათა წინააღმდეგ, რომლებიც დაგმო 1156 და 1157 წლების საეკლესიო კრებებმა; 6. 1166-1170

46 **Ф. Успенский**. Синодик в неделю православия. Сводный текст с приложениями. Одесса, 1893, с. 103-104.

47 ნ. კეჭაღმაძე, იოანე იტალოსის შემოქმედება, თბ., 1970, გვ. 8-12.

48 ი. ლოლაშვილი, ექვთიმე ზიღაბენის „დარღვევა ბოგომილთა წვალებისა" და მისი ქართული რედაქცია, კრებულში: „ლიტერატურული ძიებანი", თბ., 1983, გვ. 139-155.

წლების საეკლესიო კრებათა ანათემატიზმები, რომლებიც მიმართული იყო დიმიტრი ლამპელის ერესის წინაალმდეგ; 7. „ძეგლისწერაში“ ბოლო დანაშრევი შეიტანეს XIV საუკუნის შუა ხანებში, ვარლამიტურ ერესთან დაკავშირებით, რომელიც დაიგმო 1341-1368 წლების საეკლესიო კრებებზე[49]

843 წლის შემდეგ „ძეგლისწერის“ ბერძნული ტექსტი, ძირითადად, სამჯერ გადამუშავდა: ალექსი კომნინოსის დროს (1081-1118), მანუელ კომნინოსის დროს (1043-1180) და ვარლამიტური დავის დროს (XIV ს)[50].

„ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისაჲ, რომელი აღწერეს წმიდათა მამათა კოსტანტინოპოვლეს შეკრებულთა, წმიდათა ხატთა თაყუანისცემისათჳს, რომელ-ესე წარიკითხვის სოფია წმიდას პირველსა კჳრიაკესა წმიდათა მარხვათასა“ ქართულ ენაზე პირველად ექვთიმე ათონელმა თარგმნა მეათე საუკუნის გასულს[51]. ექვთიმეს თარგმანი მისდევს ძველ ბერძნულ რედაქციას, რომელიც 869 წლის შემდგომ ჩამოყალიბდა[52].

ქართულ საეკლესიო პრაქტიკაში „ძეგლისწერა“ XI საუკუნიდანვე დამკვიდრდა. გიორგი მთაწმინდელის „დიდ სჳნაქსარში“ დიდმარხვის

---

49 **В. А. Мошин**. Сербская редакция «Синодика в неделю православия» // Византийский Временник, т. XVI, 1959, с. 341-346.

50 **Е. В. Петухов**. Очерки по литературной истории Синодика. СПб., 1895; **В. А. Мошин**. Сербская редакция «Синодика в неделю православия», с. 318.

ცალკეული საპატრიარქოების საზღვრებში „ძეგლისწერა“ იკითხებოდა სხვა დანართებთან ერთად. მაგალითად, რუსეთის ეკლესიაში XIV საუკუნიდან ბერძნულ ტექსტს დაურთეს „ახალ მწვალებელთა“ სახელები, რომელთა რიცხვმაც XVIII საუკუნეში 4000-ს მიაღწია. მათ შორის იხსენებოდნენ სამოქალაქო პირები (სტეფანე რაზინი, გრიშკა ოტრაპიევი და სხვები). „ძეგლისწერის“ რუსული რედაქცია განივრცობოდა XX საუკუნეშიც: 1901 წელს რუსეთის ეკლესიის სინოდმა ანათემას გადასცა ცნობილი მწერალი ლ. ტოლსტოი, 1918 წელს კი პატრიარქმა ტიხონმა შეაჩვენა საბჭოთა ხელისუფლება.

51 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 485; Ì„ძეგლისწერის“ ქართული თარგანი გამოცემულია. იხ.: მცირე სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადა ელგუჯა გიუნაშვილმა, თბ., 1972, გვ. 124-133.

52 **M. van Esbroeck, N. Karadeniz.** Das Synodikon vom Jahre 843 in georgischer berzetzung // Annuarium Historiae Conciliorum, 19 (1987), p. 300-313.

პირველი კვირიაკის განგებაში დასახელებულია ექვთიმე ათონელის „ძეგლისწერაჲ მართლისა სარწმუნოებისაჲ წმიდათა ხატთა თაყუანისცემისათჳს"[53].

„სარწმუნოების ძეგლისწერა" ქართულ ენაზე მეორედ არსენ იყალთოელმა თარგმნა XII საუკუნეში. ეს თარგმანი ერთადერთი ხელნაწერით არის ჩვენამდე მოღწეული (შიომღვიმის ტიპიკონი — ძ-1396) და, როგორც კ. კეკელიძემ აღნიშნა, უფრო ახლოს დგას ბერძნულ ტექსტთან, მაგრამ მან ლიტურგიკული პრაქტიკიდან ვერ განდევნა ექვთიმეს რედაქცია[54]. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გვიანდელი პოლემიკური დანართებისაგან თავისუფალია არსენ იყალთოელის თარგმანიც.

ტბელ აბუსერისძე „ძეგლისწერის" ექვთიმესეულ თარგმანს ემყარება. ამ თარგმანიდან მომდინარეობს ჰიმნოგრაფიული კანონის ლიტურგიკული განწესება — „პირველსა კჳრიაკესა წმიდათა მარხვათასა" და ხატმებრძოლთა შეჩვენების ტექსტი. „ძეგლისწერაში" ხატმებრძოლთა შეჩვენება სამი სტატიისაგან შედგება:

„ლეონ ისავრი და კოსტანტინე სკორიანი, ლეონ სომეხი და ყოველნი მტერნი წმიდათა ხატთანი შეჩუენებულმცა არიან.

ანასტასი და კოსტანტინე და ნიკიტა, რომელთა წვალებით დაიპყრეს საყდარი კოსტანტინეპოლისაჲ და წინამძღუარ წვალებისა იქმნნეს და წარწყმედისა, შეჩუენებულმცა არიან.

წმიდამან სამებამან სამნივე იგი მოსპნა ეკლესიისაგან: თეოდოტე, ანტონი და იოვანე მწვალებელნი და პავლე ისავრი და თეოდორე, რომელსა ერქუა პასტი, და სტეფანე მოლიტი და თეოდორე მექრთილე და ლალოდი ბილწი და მათ თანა ყოველნი მოყუასნი მათნი და წვალებისა თანა-შემწენი შეჩუენებულმცა არიან"[55]

---

53 დიდი სჳნაქსარი, ტექსტი, დადგენილი მ. დოლაქიძის მიერ (ხელნაწერი).

54 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 485.

55 მცირე სჯულისკანონი, გვ. 132.

ტბელ აბუსერისძე „ძეგლისწერის“ ამ სამ სტატიაზე დაყრდნობით წერს სამ დასდებელს (IX.3-5), რომლებშიც ხატმებრძოლები იმავე სიტყვებით და თანმიმდევრობით არიან შეჩვენებულნი:

3. შემდგომად — მეფენი ხატთამბრძოლნი
და სხუანი მიმდგომნი მათნივე:
ლეონ მეფე ისავრი
და კონსტანტინე სკორიანი,

4. ლეონ მეფე სომეხი;
ანასტასი, კონსტანტინე
და ნიკიტა, წვალებითა
დამპყრობელ იქმნნეს საყდარსა
კონსტანტინეპოლისასა;
ბოროტნი, კერპთმსახურთა სწორად
ულმრთონი, პირველნი და
შემდგომნი — ერთობით.

5. თეოდოტი, ანტონი,
იოვანე და პავლე ისავრი
და თევდორე, რომელსაცა
ეწოდებოდა
პასტირი და სტეფანე მულიტი,
თევდორე მექრთილე და ლალუდი.

„ძეგლისწერის“ არსენ იყალთოელისეული თარგმანი, ექვთიმეს თარგმანისაგან განსხვავებით, სტილურად და ფრაზეოლოგიურად შორს დგას ტბელ აბუსერისძის ტექსტისაგან. მასში სხვაგვარია ასევე საკუთარ სახელთა დაწერილობანი, რასაც ნათლად ადასტურებს ტექსტების შედარება:

„ანასტასი, კონსტანტინე და ნიკიტა, რომელთა-იგი ისავროელთა ზე დაიწყნეს წვალებანი (შდრ.: „რომელთა წვალებით დაიპყრეს საყდარი კონსტანტინოპოლისაჲ“

— „გალობანი"), ვითარცა არაწმიდათა და წინამძღუართა წარწყმედისათა, შეჩუენებულ იყვნედ.

თეოდორე (!), ანტონი და იოვანე, რომელთა ურთიერთას გარდასცნეს ბოროტნი და სხუათაცა მონაცვლე ექმნნეს ბოროტადმსახურებისა, შეჩუენებაჲ.

პავლე, რომელი გარდაიქცა სავლედ (შდრ.: „პავლე ისავრი" — „გალობანი") და თეოდორე, რომელსა ეწოდა ლასტი და სტეფანე მოლიტი, მერმეცა თეოდორე ქრთილა და ლეონტი ლალუდისი (შდრ.: „თეოდორე პასტირი... თეოდორე მექრთილე და ლალოდი" — „გალობანი") და ამათ თანა, ვინცა ვინ აწ თქუმულთა ამათ მსგავსი ბოროტადმსახურებითა"[56]

როგორც აღვნიშნეთ, „ძეგლისწერის" ქართული თარგმანები „მართლმადიდებლობის ზეიმის" ძველ რედაქციას მისდევენ. არცერთ მათგანში პოლემიკური ნაწილი არ არის განვრცობილი ახალ მწვალებელთა სახელებით. არსენ იყალთოელის დროს უკვე არსებობდა „ძეგლისწერის" ისეთი რედაქციები, რომლებშიც შეტანილი იყო იოანე იტალოსის, ნილოს მონაზვნის, ბოგომილთა წვალების და ევსტრატი ნიკიელის შეჩვენებები. მაგრამ, ამის მიუხედავად, არსენი თარგმნის „ძეგლისწერის" განუვრცობელ ტექსტს, ანუ ექვთიმე ათონელის მიერ უკვე თარგმნილ რედაქციას.

ტრადიციას, არსებითად, არც ტბელ აბუსერისძე არღვევს. მის ჰიმნოგრაფიულ კანონში „ძეგლისწერის" სწორედ პოლემიკურ-დოგმატური ნაწილია განვრცობილი, მაგრამ ტექსტში არ არის შეტანილი ახალ მწვალებელთა და ერესთა შეჩვენებები. ამას, ბუნებრივია, იმანაც შეუწყო ხელი, რომ ტბელ აბუსერისძის ტექსტი იქმნებოდა ბერძნული ლიტერატურული გარემოსაგან მოწყვეტით.

---

56 შიო-მღვიმის ტიპიკონის დედნიდან გადმოწერილი ტექსტი მოგვაწოდა ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა.

## „გალობანი მწვალებელთა შერჩუენებისანი“ და ექვთიმე ათონელის „მცირე სჯულისკანონი“

„სარწმუნოების ძეგლისწერა“ ექვთიმე ათონელმა „მცირე სჯულისკანონის“ შედგენილობაში შეიტანა. ნიშანდობლივია, რომ ტბელ აბუსერისძის საგალობელში გამოყენებულია „მცირე სჯულისკანონის“ კიდევ ერთი ნაწილი — „წესი და განგებაჲ და რჩულისკანონი მეექუსისა კრებისაჲ“

როგორც ე. გიუნაშვილმა გაარკვია, „წესი და განგებაჲ და რჩულისკანონი მეექუსისა კრებისაჲ“ წარმოადგენს ტრულის 692 წლის საეკლესიო კრების კანონთა თავისებურ რედაქციას. ეს კრება ცნობილია მეხუთე-მეექვსე საეკლესიო კრების სახელწოდებით[57]

ტრულის კრების პირველ კანონში მოცემულია საეკლესიო კრებათა მოკლე ისტორია. კრება „ხუთთა კრებათა თანა ყოვლითურთ ერთნება და ერთგანზრახვა იქმნა“, რადგან ერთხელ კიდევ შეაჩვენა ამ კრებებზე დაგმობილი წვალებანი და მწვალებელნი:

„პირველად 318 ნიკიას (325 წელს) შეკრებულთა წმიდათა მამათა, ურჩულოჲსა არიოზის განმკუეთელთა... თანამოღუაწებითა ღმრთისმსახურისა დიდისა კოსტანტინე მეფისაჲთა ყოველნი იგი მართლისა სარწმუნოებისა წინააღმდგომნი მწვალებელნი განიოტეს.

მეორედ კოსტანტინოპოლეს (381 წელს) შეკრებულთა 150 ღმერთშემოსილთა მამათაჲ, თევდოსი დიდისა მეფისა ზე, მაოტებელთა ბოროტისა მის მაკედონიოს სულისა წმიდისა მბრძოლისა და აპოლინარის უკეთურისაჲ, რომელი იტყოდა, ვითარმედ: „არა შეიმოსა უფალმან გონებაჲ კაცობრივი...

მესამედ ეფესოს (431 წელს) შეკრებულთა 200 მამათა, თევდოსი მეფისა ზე, ძისა არტაკისა, რომელთა არცხჳნეს ურჩულოსა ნესტორის...

მეოთხედ ქალკედონს (451 წელს) შეკრებულთა, მარკიანე მეფისა ზე, 630 წმიდათა მამათა, რომელთა ერთი იგი ქრისტე ძე ღმრთისაჲ ჩუენთჳს განკაცებული ორითა ბუნებითა

57 მცირე სჯულისკანონი, გვ. 4–5.

ჴმამაღლად ქადაგეს სრული ღმერთი და სრული კაცი და შეაჩუენნეს: ევტუქე და დიოსკოროს და სებეროს ბოროტნი იგი მწვალებელნი და მათ თანა ნესტორიცა...

მეხუთედ ამას სამეუფოსა ქალაქსა, იუსტინიანე მეფისა ზე, (553 წელს) შემოკრებულთა 170 წმიდათა მამათა, რომელთა განკუეთეს თეოდორე მომფსუესტელი, მოძღუარი ნესტორისი, და ორიგენე, მრავალთა წვალებათა მეტყუელი, და დიდიმოს და ევაგრე. და 12 იგი თავნი თევდორიტესნი, წინააღმდგომნი ღმერთშემოსილისა კჳრილესნი და ებისტოლე იგი ივაჲს მიწერილი მარენ სპარსისა მიმართ და ყოველივე წვალებაჲ შეაჩუენეს და სარწმუნოებაჲ პირველთა მათ წმიდათა კრებათა მიერ. განწესებული დაამტკიცეს"[58].

ტრულის კრებამ დაგმო მონოთელიტური ერესი. ექვთიმე ათონელის თარგმანში დასახელებულია „ერთისა ნებისა და ერთისა საქმისა მეტყუელთა" სახელები: „თეოდორე[59] ვინმე ფარანელი ებისკოპოსი და სერგიოს და პიროს და პავლე და პეტრე, რომელნი იყვნეს მღდელთმოძღუარ სამეუფოჲსა ამის ქალაქისა, ამათ თანა ონორიცა ჰრომისა წინამძღუარი და კჳროზ ალექსანდრიისაჲ, მაკარი ანტიოქელი და სტეფანე მოწაფე მისი"[60].

ტბელ აბუსერისძე „მცირე სჯულისკანონის" მოცემულ ადგილზე დაყრდნობით აგებს IX(II) გალობის პირველ დასდებელს:

1. თევდორე ფარანელი და
სერგი და პიროს თანა,
პავლე, პეტრე, ონორი
ჰრომის მოძღუარი, კჳროზ
— ალექსანდრიისაჲ
და ანტიოქელი
მაკარი და სტეფანე.

ყურადსაღებია ერთი გარემოებაც. ექვთიმე ათონელი მონოთელიტური ერესის შესახებ საუბრობს ასევე „მაქსიმე აღმსარებელის

58 მცირე სჯულისკანონი, გვ. 17-18.
59 გამოცემაშია — თეოფანე.
60 იქვე, გვ. 19.

ცხოვრებაში" უფრო მეტიც, „მცირე სჯულისკანონში" „მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებიდან" შეტანილია რამდენიმე ფრაგმენტი, მათ შორის, მონოთელიტთა ჩამონათვალი: „თეოდორე ვინმე ფარანელი ებისკოპოსი და სერგიოს და პიროს და პავლე და პეტრე, რომელნი იყვნეს მღდელთმოძღუარ სამეუფოჲსა ამის ქალაქისა, ამათ თანა ონორიცა ჰრომისა წინამძღუარი და კჳროზ ალექსანდრიისაჲ, მაკარი ანტიოქელი და სტეფანე მოწაფე მისი"[61]. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ ტბელ აბუსერისძე ითვალისწინებდა მონოთელიტთა ჩამონათვალს „მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებიდან".

ტრულის საეკლესიო კრებაზე შეჩვენებული იგივე მწვალებლები ჩამოთვლილი არიან „დიდი სჯულისკანონის" ტექსტშიც, თუმცა სხვაგვარი თანმიმდევრობით: „ვიტყჳთ უკუე თეოდორე ფარანელსა, კჳროზ ალექსანდრიელსა, ონორის ჰრომსა, სერგისს, პიროსს, პავლეს, პეტრეს — საყდრის მპყრობელ ყოფილთა ღმრთივ დაცვულისა ამის ქალაქისათა, მაკარის ეპისკოპოსსა ანტიოქიისასა და სტეფანეს მოწაფესა მისსა"[62]. ეს ფაქტები იმის მაჩვენებელია, რომ ტბელ აბუსერისძის ერთ-ერთ ძირითად ლიტერატურულ წყაროს „მცირე სჯულისკანონი" წარმოადგენს.

ამგვარად, ტბელ აბუსერისძემ ექვთიმე ათონელის „მცირე სჯულისკანონიდან" აიღო „გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანის" დაწერის იდეა, რომელიც უნდა შესრულებულიყო „პირველსა კჳრიაკესა წმიდათა მარხვათასა" გარდა ამისა, მან საგალობელში „მცირე სჯულისკანონის" ტექსტს დაამყარა ხატმებრძოლთა და მონოთელიტთა შეჩვენებანი.

## კოზმან იერუსალიმელის „შესხმანი წმიდისა ღმრთისმშობლისანი"

მწვალებელთა შეჩვენებას ჰიმნოგრაფიულ ტექსტებში ხშირად ვხვდებით, მაგრამ „მწვალებელთა ყოველთა" ერთად

61 კიმენი, ტ. I, იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის და მაისის თვეთა ტექსტები, გამოცემა რუსეთის სამეცნიერო აკადემიისა, პროფ. კ. კეკელიძის რედაქტორობით, ტფილისი, 1918, გვ. 99.

62 დიდი სჯულისკანონი, თბ., 1975, გვ. 371.

თავმოყრილი ანათემები იშვიათია. ერთ-ერთ ასეთ გამონაკლისს წარმოადგენს „შესხმანი წმიდისა ღმრთისმშობლისანი და ოხითანი... თქუმულნი წმიდისა კოზმანისნი. თარგმნილნი გლახაკისა მაკარისნი". კოზმან იერუსალიმელის ამ საგალობლის ერთი მონაკვეთი მთლიანად მწვალებელთა შეჩვენებას ეძღვნება. მასში ახალი აღთქმის „მწვალებელნი ყოველნი" არიან შეჩვენებული[63]:

„ჰრცხუენოდენ კრებულსა
მწვალებელთა მათ ღმრთის
მბრძოლთასა:
სიმონ ბოროტი
— დასაბამი ყოვლისა წვალებისაჲ;
არიოზ — ღმრთის განმყოფელი
და უგუნური;
საბელიოს,
რომელი შეჰრევს სამებასა
ერთხატად და მრავალსახედ;
და მაკედონიოზ
— სულისა წმიდისა წინა
აღმდგომი;
აპოლინარიოს,
რომელსა არა აქუს გონებაჲ
და არცა სიტყუაჲ;
დაწყებაჲ ორიგენესი
და აღსასრული მისი;
ახალი სული მუნტანისი,
ბოროტი და უღმრთოჲ;
და სიტყუაჲ პავლოჲსი
პირუტყუთსახე,
რომელსა არა აქუს სიმტკიცე;
ნისტორიოს განმყოფელი
ხატისა ქრისტესისაჲ
და უვარისმყოფელი სამებისაჲ,
რომელი ჰმონებს ლიცებასა (!)
და არა აღგიარებს შენ
დედად ღმრთისა, წმიდაო
დედოფალო,
ვეშაპი იგი მრავალთავი,
რომელსა არა აქუს თავი;
შემრევნელი ბუნებითა მათ
ქრისტესთა:
ევტუქი, დიოსკორე,
სევერიანე, იაკობ
და თევდოსი;
და განზრახვაჲ ივლიანესი
უხრწნელებისათჳს;
და პეტროზ უბადრუკი,
რომელმან ჯუარს აცვა
ღმრთეებაჲ,
სამებაჲ და ჴსნაჲ; ზენონისი,
კჳროჲსი და მაკარისი,
რომელითა აღმოაცენეს წვალებაჲ
მართმეანთა სარწმუნოებისაჲ,
უშუერი,
ერთითა ნებითა
და ერთითა საქმითა;
უწინარეს მათ ყოველთასა,
შემდგომად მათსა და მათ თანა,
შეჩუენებულ ჰყავნ მანინ,
რომელმან თქუნა ორნი მიზეზნი,
ერთი-ერთისა წინააღმდგომნი,
რამეთუ იგი არს ჯუარცმული
სიმყრალისაჲ
ყოველთა მათ მწვალებელთაჲ"

63 მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები, X საუკუნე, წიგნი II, ტექსტი გადმოწერა დედნიდან და გამოსცა ვ. გვახარიამ, თბ., 1978, გვ. 539.

კოზმან იერუსალიმელი საგალობელში შეაჩვენებს ახალი აღთქმის მწვალებლებს. ჰიმნოგრაფი პირველად სიმონ მოგვს ასახელებს: „სიმონ ბოროტი — დასაბამი ყოვლისა წვალებისაჲ". სიმონ მოგვს ჯერ კიდევ ირინეოს ლიონელმა უწოდა „ყველა წვალების მამა"[64]. ტბელ აბუსერისძის საგალობელშიც ახალი აღთქმის მწვალებელთა შორის პირველი სიმონ მოგვია. კოზმან იერუსალიმელის მსგავსად, ტბელი მას „სჳმონ ბოროტს" უწოდებს.

გარდა ამისა, ენკომიაში, ისევე როგორც ტბელ აბუსერისძის ჰიმნოგრაფიულ კანონში, მწვალებლები დასახელებული არიან გარკვეული ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. კოზმან იერუ-სალილიმელი VIII საუკუნეში ცხოვრობდა, ამიტომ მის თხზულებაში ბოლო ადგილზე დგანან მონოთელიტები: ზენონი, კიროსი და მაკარი. შესაძლოა, რაიმე ამგვარი თხზულებით იყოს განპირობებული ის ფაქტი, რომ მწვალებელთა შეჩვენებას მონოთელიტებით ასრულებს ტბელ აბუსერისძეც (IX(II).1).

## „გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი" და „ხრონოგრაფის" არსენ იყალთოელისეული თარგმანი

„გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანის" ძირითად ქრონოლოგიურ პარადიგმას „ხრონოგრაფის" ქართული თარგმანი წარმოადგენს, რაც მრავალი მაგალითის მოხმობით ცხადყო კ. კეკელიძემ და აღნიშნა რომ საგალობლის „მეორე ნაწილში, სადაც ჩამოთვლილია ახალი აღთქმის წვალებანი, ზედმიწევნით გამოყენებულია, სხვათა შორის, გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფის" ქართული თარგმანი. საქმე ისაა, რომ გიორგი ამარტოლი, როდესაც ლაპარაკობს რომის კეისრების შესახებ ქრისტეს დაბადების შემდეგ, აღნიშნავს ხოლმე, თუ რომელ მეფობაში რომელი წვალება და მწვალებელი გამოჩნდა და იმავე დროს ხან მოკლედ, ხან შედარებით ვრცლად ახასიათებს კიდევაც მათ მოძღვრებას. ამას კვალდაკვალ მისდევს ჩვენი ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებიც"[65]

64 **Irenaues**. Adv. Hacr. I 23,2.

65 კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, გვ. 264.

მივყვეთ საგალობლის ტექსტს და განვიხილოთ თითოეული ციტატა ცალ-ცალკე. „ხრონოგრაფის“ ციტირება იწყება პირველივე გალობაში (I.5), სადაც არსენ იყალთოელის თარგმანიდან გამოყენებულია რამდენიმე ფრაგმენტი, კერძოდ:

„შემდგომად უკუჱ გაიოჲსა მეფე იქმნა კლავდიოს... რომლისა-ზე იაკობ ზებედესი იწამა, და სიმონ მოგჳ წინაგანეწყობოდა პეტრეს“[66]. ხაზგასმულ ფრაგმენტზეა აგებული დასდებლის დასაწყისი[67] საგალობელში სიმონის წვალების დახასიათებაც „ხრონოგრაფიდან“ არის აღებული: „შემდგომად კლავდისა მეფე იქმნა ნერონ... რომლისა ზე მოვიდა სიმონ მოგჳ ჰრომს და მრავალნი სასწაულნი ქმნნა მოგობითა რაჲთამე და გრძნებითა და ღმერთად უწოდდა თავსა თჳსსა“ (გვ. 183):

„კლავდის კეისრის
ზე იყო სჳმონ
ბოროტი, თავსა თჳსსა ქრისტედ მეტყუელი“.

ამ დასდებლის ბოლო ნაწილი, სადაც ცნობილი გნოსტიკოსები არიან ჩამოთვლილნი, ასევე „ხრონოგრაფის“ ტექსტს მისდევს: „შემდგომად ტრაიანჱსა მეფე იქმნა ანდრიანე... რომლისა ზე კერდონ, უალენტინო და მარკიონ და მუნტანი და სატორნილოს და კარპოკრატის წვალებათ-მთავარნი და აკჳლა იცნობებოდეს“(გვ. 234).

შდრ.: „...სხუათაცა
წვალებათა ძმაცუვიდა მიმდგომით მისით:
მანენდროს, კირინთისს.
ნიკოლაოზ. ანდრიანეს ზე მყოფნი:
უვალენტიანონ,
კერდონ, მარკიონ,
მუნტანი, სატორნილოს, კარპუკრატი, აკჳლა“

აქვე აღვნიშნავთ, რომ მანენდრო (ანუ მენანდრე), კირინთისი

66 ს. ყაუხჩიშვილი, ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისაჲ, ნაწილი I (ტექსტი). ტფ., 1920, გვ. 165.

67 კ. კეკელიძე, ეტიუდები, I, გვ. 264.

(კერინთოსი) და ნიკოლაოზი „ხრონოგრაფში" არ იხსენებიან. მათ შესახებ ტბელ აბუსერისძე ცნობას სხვა, ჩვენთვის უცნობი თხზულებიდან იღებს. მენანდრე მართლაც სიმონ მოგვის მიმდევარია. ამის შესახებ ცნობა სათავეს იღებს ირინეოს ლიონელის ანტიერეტიკული თხზულებიდან[68], ან მისგან მომდინარე სხვა ტექსტიდან. კერინთოსიც გნოსტიკოსია, წარმოშობით ეგვიპტელი. რაც შეეხება ნიკოლაოზს, ის არის ნიკოლაელთა წვალების ფუძემდებელი. ნიკოლაიტები ითვლებიან ასურელ-ქალდეველი გნოსტიკოსების წინამორბედებად[69], ამიტომ ნიკოლაოზის გნოსტიკოსთა შორის დასახელება გამართლებულია.

ტბელ აბუსერისძე ჰიმნოგრაფიული კანონის მესამე გალობას (III.1-2) „ხრონოგრაფიდან" აღებულ ციტატებზე აგებს[70]:

„ანტონინოს... ზე... ტატიანე და ვარდისანი წვალების-მთავარნი და პრისკილლა და მაქსიმილლა ცრუწინაჲსწარმეტყუელნი დედანი... იცნობებოდეს" (გვ. 234); „კომოდ... რომელსა ზე თეოდოტოს, უპირატეს დამწყებელი პავლე სამუსატელისა და ნისტორის წვალებისაჲ და თეოდოტიონ იცნობებოდეს" (იქვე).

შდრ.: ანტონინეს ზე შუჩუენებულნი
ტატიანე, ვარდისან
და პრისკილა და მაქსიმილა
— ცრუწინასწარმეტყუელნი დედანი.
და კომოდ მეფისა ზე იყვნეს: თეოდოტოს
და თეოდოტონ — პირველ დამწყებელნი პავლე
სამოსატელისა და ნისტორის წვალებისანი. (III.1)

(1) „სევეროს... რომელსა ზე... კლიმი სტრომატელი და სჳმმახოს და ორიგენი იცნობებოდეს (გვ. 235); (2) ორიგენმა „თქუა „დაწყებასავე", ვითარმედ მხოლოდშობილსა ძესა ხილვაჲ მამისაჲ ვერ ძალუც, ვერცა სულსა წმიდასა

68 **Irenaues**. Adv. Haer. I 23,5.

69 Православие и христианские разделения. Составитель М. Воскресенский. М., 1996, с. 12.

70 კ. კეკელიძე, ეტიუდები, I, გვ. 264.

ძისაჲ, ვერცა ანგელოზთა ანგელოზთაჲ, და არსებისაგან მამისა არა არს ძე, არამედ დაბადებული და მადლით სახელდებული, ხოლო კაცობრივი სული პირველვე იყო ჴორცთასა" (გვ. 237-238).

შდრ.: „სევეროზის ზე — კლიმი სტრომატელი, სჯნმახოს,
ორიგენი, მეტყუელი
ძისაგან მამისა ვერხილვასა,
ვერცა ძისასა სულისაგან და ვერცა ანგელოზთა
ანგელოზთაჲ და: „არსებისაგან მამისა ძე
არა არსო, ხოლო დაბადებულ
და მადლით სახელდებულ" (III.2)

„კაცობრივი სული ჴორცთა პირველ ყოფად თქუა" (III.3)

ერთ შემთხვევაში (III.2) ტბელ აბუსერისძე აერთიანებს „ხრონოგრაფის" სხვადასხვა ადგილას მოცემულ ორ ციტატას. მათგან ერთ-ერთ ფრაგმენტს (1) ის იყენებს III.3 დასდებელში. „ხრონოგრაფის" ტექსტის ციტირება გრძელდება მეოთხე გალობაშიც[71]:

„ონორის ზე — საბელიოს[72].
დეკეოჲს ზე — ნავატ და ელკესიოს[73];
ნავატ სიძვაჲ შეუნდობ-ყო,
არამედ ხოლო
ვეცხლისმოყუარებაჲ ყოვლად უბრალო-ყო.
და კუალად — ღალინო მეფისა ზე
იყვნეს არტემონ და სჯნეპოს დრკუნი"[74]. (IV.1)

საგალობლის მომდევნო სამი დასდებელი (IV.2-4) მანიქეველთა მოძღვრებას შეეხება და როგორც კ. კეკელიძემ აღნიშნა, „პირდაპირ

---

71 კ. კეკელიძე, ეტიუდები, I, გვ. 264.

72 შდრ.: „უნიორ... რომლისა ზე საბელიოს წვალების-მთავარი იცნობებოდა" (გვ. 240);

73 შდრ.: „დეკეოზ... რომელსა ზე ნავატ ეკლესიასა განეყო და ელკესიოს წვალების-მთავარი იცნობებოდა" (გვ. 243);

74 შდრ.: „ღალლინოს... რომელსა ზე არტემონ და სჯნეპო წვალებისმთავარნი იცნობებოდეს" (იქვე).

სიტყვასიტყვით იმეორებს ხრონოგრაფის შესატყვის ადგილს"[75]

ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ, დაგვესრულებინა კ. კეკელიძის მიერ დაწყებული საქმე და ტბელ აბუსერისძის საგალობელი ბოლომდე შევადარეთ „ხრონოგრაფის" ქართულ თარგმანს. აღმოჩნდა, რომ ციტირება მეტ-ნაკლები ინტენსიობით გრძელდება V, V(II), VI და VII გალობების მანძილზე. თანხვედრები იმდენად ბევრია და თვალსაჩინო, რომ ჩვენ ხაზს ვუსვამთ მხოლოდ განსხვავებულ წაკითხვებს:

„ხრონოგრაფი": „კუალად პავლე (სამოსატელი) ვინმე ჟამითა თანაზიარი ამის მანენტოსი... ლიტონად კაცად ჰგმობდა უფალსა, და ვითარმედ ვითარცა ერთისა წინაჲსწარმეტყუელთაგანისა შორის იქმნა დამკჳდრებაჲ სიტყჳსა ღმრთისაჲ" (გვ. 245); „ვინაჲცა ესე არიან პირველ აღმოცენებულნი ერთისა ბუნებისა და ორთა ბოროტად... მეტყუელნი, ერთი იგი უარისყოფითა კაცებისაჲთა, ხოლო მეორე ღმრთეებისაჲთა" (იქვე).

შდრ.: V.1. „სამოსატელი,
მანენტოჲს ზიარი,
უფალსა ლიტონ კაც
და წინასწარმეტყუელთ თანად
ჰგმობდა ბილწი
— ვინაჲ ესე არიან პირველ
აღმოცენებულნი და ერთ
ბუნებისა და ორთა ბორრტად მეტყუელნი:
V.2. პირველი იგი
უვარისყოფითა
კაცებისაჲთ, ხოლო
მეორე — ღმრთეებისაჲთა"

„ხრონოგრაფი": „გამოჩნდა აპოლინარი... არიანოზნი ყოვლითურთ უსულოდ იტყოდეს ჴორცთა უფლისათა, ხოლო მან თქუა, ვითარმედ ვითარ-მე ცხოველობითითა სულითა სული-

75 კ. კეკელიძე, ეტიუდები, I, გვ. 264-265.

ერნი მიიჴუნა ღმერთმან, ხოლო გონებაჲ ჩუენი არა მიიღო" (გვ. 245).

შდრ.: V.3. „არიანოზთა,
უსულოდ მეტყუელთა
ჴორცთა უფლისათა,
აპოლინარი გამოჩნდა
წინააღმმდგომად,
ვითარმედ „ცხოველობითითა
სულითა სულიერნი მიიხუნა,
ხოლო გონებაჲ ჩუენი არა მიიღო"

„ხრონოგრაფი": „ვინაჲცა ამის განმჩინებელი ერთყოფასა წარმოაჩენდა სიტყჳსა და ჴორცთა ბუნებისასა, ვითარმცა ჴორცნი უსრულ იყვნეს კაცყოფისა მიმართ და ამისთჳს არა ღირს იყვნეს ბუნებად სახელის-დებასა" (გვ. 245).

შდრ.: V.4. „ვინაჲ ამისი
მთქუმელი ერთყოფასა
ცხადჰყოფდა სიტყჳსა
და ჴორცთა ბუნებისასა,
ვითარმცა ჴორცნი
უსრულ იყვნეს კაცყოფისა
და ამისთჳს არა ღირს იყვნეს
ბუნებად სახელისდებასა"

„ხრონოგრაფი": „თეოდორე ვინმე ქალაქისა მომფსუესტელთაჲსა... (ქრისტეს)... კაცად ერთად ჩუენებურად და საზოგადოდ უწოდდა და წარმატებითა მიერ მოღებითა მადლისა ღმრთისასა... ვითარმედ იორდანეს ნათლისღებითა ღირს-იქმნაო ნიჭსა სულისა წმიდისასა" (გვ. 245-246).

შდრ.: V. 6. „კუალად — თევდორე
მომფსუესტელ, რომელი
ქრისტესა ლიტონად
ერთად ჩუენგანად უწოდდა
და „იორდანეს
ნათლისღებითა ღირს-იქმნა

ნიჭსა წმიდისა სულისსა,
წარმატებითა მადლსა მომღებით".

„ხრონოგრაფი": „გარდამეტებულისათჳს სათნოებისა... მისცა მას საღმრთოჲ პატივი... ერთისა ბუნებისა და ორთა ბუნებათა ქრისტეს შორის არა მართლისა სიტყჳსაებრ აღმსაარებელი" (გვ. 246).

შდრ.: V(II).1.„იტყოდა ბილწი თევდორე,
ვითარმედ „გარდამეტებულისათჳს
სათნოებისა მიეცა
საღმრთოჲ პატივი ერთბუნებასა
და კუალად ორთა
ქრისტეს შორის" — არა
მართლისა სიტყჳსაებრ აღმსაარებელი".

„ხრონოგრაფი": „ნესტორ... მსგავსად პავლე სამუსატელისა და თეოდორე მომფსუესტელისა იჭუმია ქრისტესა ზედა სახელი ორთა ბუნებათაჲ, ვითარცა მისვე მათისა ბოროტისა ძირისაგან აღმოცენებულმან, რამეთუ ძე უკუე იყო კილიკელისაჲ, ხოლო შვილის-წული სამოსატელისაჲ" (გვ. 246).

შდრ.: V(II).2. „ნესტორ, ძე კილიკელისა
და ძისწული სამოსატელისაჲ,
რომელმან, მსგავსად მისსა და
თევდორე მომფსუესტელისა,
ქრისტესა ზედა
იჭუმია სახელი
ორთ ბუნებათაჲ, ბოროტთ ძირთაგან აღმოსრულმან".

ბოლო ორ დასდებელში (V(II).1-2) ტბელ აბუსერისძე, მართალია, „ხრონოგრაფს" ისევ სიტყვა-სიტყვით მიჰყვება, მაგრამ მიმართავს წინადადებათა გადასმას. მომდევნო დასდებლებში „ხრონოგრაფის" ციტირება ისევ გრძელდება:

„ხრონოგრაფი": „ნესტორ... სხუა-ყოფაჲ განთჳსებულად ქრისტესი და სხუაობაჲ სიტყჳსა ღმრთისაჲ სჯულდებულ-ყო" (გვ. 246).

შდრ.: V(II).3. „სხუა
ყოფაჲ განთჳსებულად

ქრისტესი, სხუაობაჲ სიტყჳსა ღმრთისა სჯულდებულ-ყო"

„ხრონოგრაფი": „არა ამას ოდენ, არამედ... ზეცით გარდამოსრულად იტყოდა ჴორცთა უფლისათა და ვითარმედ ვითარცა სოლინარი განვლო სიტყუამან ღმერთმან ქალწული ზეცით შემმოსველმან ჴორცთამან... და ერთსა ბუნებასა ქრისტესსა აღიარებდა" (გვ. 246).

შდრ.: V(II).5. „არ ამას ოდენ, არამედ
ზეცით მოსრულად ჴორცთა უფლისათა
ყეფდა, ვითარმედ, ვითარმცა
სოლინარი, განვლო სიტყუამან ღმრთისამან ქალწული,
ზეცით მიმხუმელმან
ჴორცთამან; და ერთსა
ბუნებასა ქრისტესასა აღიარებდა ბოროტად"

„ხრონოგრაფი": „სევეროს... უჴდებოდა მას ივლიანე... რამეთუ სევეროზ ერთსა ბუნებასა იტყოდა ქრისტესსა და მიითუალვიდა ქრისტეს შორის განყოფილებასა, ხოლო ივლიანე ერთსა... იტყოდა ბუნებასა... უარ-ჰყოფდა განყოფილებასა" (გვ. 247).

შდრ.: VI.1. „ბილწნი ვინმე
სევეროზ-ივლიანე
მბრძოლობდეს ურთიერთას,
რამეთუ სევეროზ ერთსა
ბუნებასა იტყოდა
ქრისტესსა და მიითუალვიდა
ქრისტეს შორის განყოფილებასა,
ხოლო ივლიანე,
ერთსა ბუნებასა
მეტყუელი, უარჰყოფდა განყოფილებასა"

„ხრონოგრაფი" „(დიოკლეტიანეს და მაქსიმიანოს)... რომელთა-ზე სავვატოს ვინმე ათოთხმეტიანთა წვალებისა შემნივთებელი იცნობებოდა" (გვ. 249).

შდრ.: VI. 2. „სავვატოს
დეოკლიტიანეს
ზე იყო, ათოთხმეტიანთ
წვალების შემნივთებელი
ბოროტი"

მეშვიდე გალობის („კურთხეულ არსა“) პირველ დასდებელში, ისევე როგორც V(II) გალობის მესამე დასდებელში, ტბელ აბუსერისძე გვახსენებს გიორგი ამარტოლის შემდეგ განსაზღვრებას: „თითოსახეთა უკუე ბუნებათა აღსაარებაჲ ელენებრი არს, ხოლო ერთისა პირისა, ესე იგი არს გუამისა ქადაგებაჲ — ჰურიაებრი, ხოლო წმიდისა და თანაარსისა სამებისა ერთობად არსებისა შემოკრებაჲ მართლმადიდებლობითი არს და კეთილ-მსახური სარწმუნოებაჲ“ (გვ. 277). „ჰურიაებრივი“ ქადაგების მაგალითია საბელიოს ლიბიელის მოძღვრება — „საბელიოს ლიბიელი, რომელი ერთსა პირსა აღიარებდა წმიდისა სამებისასა“ (გვ. 303). „ხრონოგრაფის“ ამ ორ ფრაგმენტს ემყარება საგალობლის მოცემული დასდებელი:

VII.1. „დრკუჲ საბელიოს
ლიბიელი, ჰურიაებრსა
ერთსა პირსა აღსარებით
ცთომილი, ერთად
გუამსა უხრწნელისა მის
სამებისსა
იტყოდა უბადრუკი“.

საგალობელში ვხვდებით „ხრონოგრაფის“ კიდევ რამდენიმე ფრაგმენტს: „ა რ ი ა ნ ო ზ ნ ი ყოვლად უსულოდ იტყოდეს ჴორცთა უფლისათა“ (გვ. 245) — შდრ.: „ა რ ი ო ჲ ს მ ი მ დ გ ო მ ნ ი... (რ ო მ ლ ე ბ მ ა ც) ჴორცნი უფლისანი უსულოდ თქუეს ბილწთა“ (VI.3); „მ ო წ ა ფ ე თ ა თ ჳ ს ევსტათი სევასტიელისათა, რომელნი მესალიანელად იწოდებიან... ე ს რ ე თ უ კ უ ე მ ა ს ა ლ ი ა ნ ე ლ თ ა, რომელ არიან ევჰიტად და ენთუსიასტად სახელდებულნი იგი ადელფოჲსგან და დადოისსა“ (გვ. 281) — შდრ.:

„და მაშინვე იყო ევსტატი სევასტიელი
და ევჰიტთ წვალების
მთავარი, მესალიანად რომელ
იწოდებიან
და ენთჳსიასტად ადელფოჲსგან, დადოჲსა“ (VIII.3)

განსაკუთრებით საინტერესოა ბოლო ფრაგმენტი: „პორფი-

რიცა ტჳრელი, რომელმან ფრიადითა სივერაგითა იძმაცუა მაშინ სარწმუნოებისა ჩუენისა ზედა“ (გვ. 282). ტბელ აბუსერისძე პორფირ ტვირელის ამ დახასიათებას განავრცობს სავატსა და პოლემონზეც:

„სავვატ, პოლემონ,
პორფირ ტჳრიელი,
რომელნი სარწმუნოებასა ზედა
ჩუენსა ძმაცუვიდეს
მრავლითა სივერაგითა. (VIII.5)

ინტერტექსტზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ტბელ აბუსერისძე, „გალობანის“ ლექსითი სტრუქტურიდან გამომდინარე, ხშირად მიმართავს „ხრონოგრაფიდან“ აღებული ციტატების გრამატიკულ და ლექსიკოლოგიურ ტრანსფორმაციას. ხშირია ზმნა-შემასმენლის მიმღეობებით ჩანაცვლება. ნათესაობითი ბრუნვის ნაცვლად მიცემითის ხმარება. „ხრონოგრაფისა“ და „გალობანის“ პარალელურ ტექსტზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება სინონიმურ წყვილთა ლექსიკონის შედგენა:

| არსენ იყალთოელი: | ტბელ აბუსერისძე: |
|---|---|
| იყვნეს | იცნობებოდეს (III.1; IV.1...) |
| უპირატეს | პირველ (III.1) |
| არამედ | ხოლო (III.2) |
| დამსახველი | მთქუმელი (IV.2) |
| შემწყნარებელი | მპყრობი (IV.2) |
| ღმრთისა მიერად | ღმრთისაგანად (IV.2) |
| (შემყუარებელისა) | შემტკბობისა (IV.3) |
| წინაალმდგომთა | მჴდომთა (IV.3) |
| (მომპოვნებელი) | მთქუმელი (IV.3) |
| აგებულებისაჲ | აგებულისაჲ (IV.4) |
| (უსჯულოთა) | უჯეროთა (IV.4) |
| ქამითა თანაზიარი | ზიარი (V.1) |
| (წინასწარმეყუელთაგანად) | წინასწარმეტყუელთ თანად (V.1) |
| ვინაჲცა | ვინაჲ (V.1, 5) |

| | |
|---|---|
| განმჩინებელი | მთქუმელი (V.4) |
| ჩუენებური | ჩუენგანი (V.6) |
| საზოგადო | ლიტონი (V.6) |
| შვილის-წული | ძისწული (V-II.2) |
| აღმოცენებული | აღმოსრული (V-II.2) |
| გარდამოსრულად | მოსრულად (V-II.5) |
| შემმოსელი | მიმხუმელი (V-II.5) |
| უჳდებოდა მას | მბრძოლებდეს ურთიერთას (VI.1) |
| არიანოზნი | არიოჲს მიმდგომნი (VI.3) |
| ფრიადითა | მრავლითა (VII.5) |

ამგვარად, გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფის" ქართული თარგმანი წარმოადგენს ტბელ აბუსერისძის ჰიმნოგრაფიული კანონის — „გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანის" ძირითად ლიტერატურულ წყაროს. ჰიმნოგრაფი მისგან იღებს არა მარტო ისტორიულ-ქრონოლოგიურ პროგრამას, არამედ ცალკეულ მწვალებელთა დახასიათებას და ენობრივ-გრამატიკულ სტილს.

## ციტატები ეფრემ მცირის „სამოციქულოს განმარტებიდან"

ძველი აღთქმის წვალებათა ჩამონათვალი და მოკლე დახასიათება (I.3-4) ტბელ აბუსერისძეს აუღია არა ეპიფანე კვიპრელის თხზულებიდან, როგორც ამას კ. კეკელიძე ვარაუდობდა, არამედ ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი „სამოციქულოს განმარტებიდან"[76]. ავტორს პროზაული ტექსტი თითქმის უცვლელად გადმოაქვს ჰიმნოგრაფიულ კანონში და გალობის რიტმულ-მელოდიური სტრუქტურის გათვალისწინებით, ციტატაში შეაქვს უმნიშვნელო ცვლილებები:

76 განმარტება სამოციქულოსი, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭისძის) მიერ, I; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბილისი, 2000, გვ. 191-192.

„სამოციქულოს განმარტება“:

„ძუელითგანი... შჳდნი წვალებანი იყვნეს: პირველი მწიგნობართაჲ, რომელნი-იგი არა კმა-იყოფდეს შჯულისა მცნებათა, არამედ თავით თჳსით სხუათაცა რათმე წესთა მოიპოვებდეს უწრელად მოგონებულთა. მეორედ ფარისეველთაჲ, რომელნი-იგი დალაცათუ სხუათა უმჯობეს იყვნეს, არამედ შობისა დღესა იზმნიდეს. მესამედ სადუკეველნი, უარისმყოფელნი მკუდართა აღდგომისა და ანგელოზთა და სულთა ყოფისანი. მეოთხედ დღითი-დღე ნათლისმღებელნი... მეხუთედ ოსინელნი, რომელნი სხუათაცა რათმე უცხოთა წიგნთა შემოიღებდეს... წინაჲსწარმეტყუელთა. მეექუსედ ნაზარეველნი, რომელნი ყოველსა ჴორცისა ჭამასა შეგინებულად შეჰრაცხიდეს და წინაჲსწარმეტყუელთა არა შეიწყნარებდეს. მეშჳდედ ჰეროდიანნი, რომელნი ჰეროდესთჳს იტყოდეს, ვითარმედ იგი არს ქრისტე“

„გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი“:
I.3. „შჳდ წვალებანი
იყვნეს ძუელითგან:
პირველ — მწიგნობართაჲ,
სჯულ-მცნებათა არაჲ
კმამყოფელნი, სხუათაცა რათმე უწრელად
მომპოვნნი; და ფარისეველნი
— შობისა დღისა მზმნელნი;
სამ — სადუკეველნი,
აღდგომისა
და სულთა და ანგელოზთა უვარისმყოფელნი;
I.4. „სხუანი — დღითი-დღე
ნათლისმღებელნი;
ხუთ — ოსინელნი, არმჯერნი წინასწარმეტყუელთა;
მეექუსედ — ნაზარეველნი,
ჴორცისმჭამელთა მძაგნი და წინასწარმეტყუელთა
არშემწყნარებელნი;
შჳდ — ჰეროდიანნი,
ჰეროდეს ქრისტედ
მეტყუელნი.

ამგვარად, საგალობლის ამ ორ დასდებელში თითქმის ყველა სიტყვა „სამოციქულოს განმარტების" ქართული თარგმანიდან მომდინარეობს. მოცემული მაგალითი იმასაც ცხადყოფს, რომ „ხრონოგრაფის" ენობრივი სტილისთვის დამახასიათებელი მიმღეობების სიუხვე ტბელ აბუსერისძის მთელ საგალობელზე ვრცელდება:

| ეფრემ მცირე | ტბელ აბუსერისძე |
|---|---|
| კმა-იყოფდეს | კმამყოფელნი |
| მოიპოვებდეს | მომპოვნებელნი |
| იზმნიდეს | მზმნელნი |
| შეგინებულად შეპრაცხიდეს | მძაგნი |
| არა შეიწყნარებდეს | არშემწყნარებელნი |
| იტყოდეს | მეტყუელნი |

## ციტატები არსენ ვაჩესძის „დოგმატიკონიდან"

სრულიად ლოგიკურია, რომ ტბელ აბუსერისძეს საგალობელზე მუშაობის დროს უხელმძღვანელია არსენ ვაჩესძის „დოგმატიკონში" შემავალი თხზულებებით. „დოგმატიკონის" კვალი შეინიშნება ანტინესტორიანული და ანტიმონოფიზიტური პოლემიკის შემცველ დასდებლებში.

ტბელ აბუსერისძე არსენ ვაჩესძის „დოგმატიკონიდან" ძირითადად ორი ავტორის თხზულებებს ეყრდნობა. ესენია: ანასტასი სინელის „წინამძღუარი" და კირილე ალექსანდრიელის ანტინესტორიანული ტრაქტატები.

ანასტასი სინელის პოლემიკური თხზულება „წინამძღუარი" მიმართულია მონოფიზიტობისა და მისი სხვადასხვა ფრაქციის წინააღმდეგ (ქართული თარგმანი ეკუთვნის არსენ იყალთოელს)[77] ანასტასი სინელი ასახელებს ერთბუნებიანთა ათ წვალებისმთავარს, რომლებსაც „დანიელის წინასწარმეტყველების" ანალოგიით „ათ რქას" უწოდებს (დან. 7.10). ამასვე გვაუწყებს ქართველი მთარგმნელის „შეისწავე": „ათთა მათ წვალების-მთავართა სახელ-სდებს

77 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 489.

ათ რქად, რომელ არიან: ევტჳქი და დიოსკორე, პეტრე და ტიმოთე, თევდოსი და ივლიანე, გაიანე და ბარსანოფი, იაკობ და წიანმძღუარი მათი და ბეჭედი მათი სევეროს“[78]. ამავე ათ მონოფიზიტს ჩამოთვლის ტბელ აბუსერისძე IX.2 დასდებელში:

„ევტუქი, დიოსკორე,
ტიმოთ, სევეროზ, იაკობ,
თევდოსი და გაიანოს,
ივლიანისთან
პეტრე, ბარსანოფი“.

„წინამძღუარში“ ნესტორის წინამორბედებად დასახელებული არიან თეოდორე ანტიოქელი და დიოდორე ტარსელი: „ჴორცთა ქრისტესთა განყოფასა ღმრთეებისაგან და ორად ერთისა განკუეთასა ქრისტესსა, რომლისა განყოფისა დასაბამ იქმნნეს თეოდორე ანტიოქელი და დიოდორე ტარსელი და რომელთაგან ვითარცა ძირისა რაჲსმე ელევენად წოდებულისა აღმოეცენა ქალდეველი ასური ასურასტანელი ნესტორ“[79] მსგავს კონტექსტში, ნესტორის წინ, ასახელებს თეოდორე ანტიოქიელსა და დიოდორე ტარსელს ტბელ აბუსერისძეც:

„კუალად — თევდორე ანტიოქელი
და დიოდორე
ტარსელი ჴორცთა ქრისტესთა
ღმრთისაგან კიდე
განჰყოფდეს“ (VIII.5).

ნესტორის წვალებას ტბელ აბუსერისძე გვიხასიათებს V(II).2-3 და IX.1 დასდებლებში, სადაც შეინიშნება კირილე ალექსანდრიელის ანტინესტორიანული ტრაქტატების გავლენის კვალი: „ნესტორ ორთა არსებათა, ესე იგი არს ბუნებათა იტყოდა ქრისტესთა, არამედ განწვალებულთა იტყოდა ამათ. და არა ხოლო ამას, არამედ ორ ძედ და ორ ქრისტედ

---

78 ანასტასი სინელი, წინამძღუარი, არსენ იყალთოელის თარგმანი, დედნიდან გადმოწერილი ტექსტი მოგვაწოდა ნ. ჩიქვატიამ.
79 იქვე.

ერთსა ქრისტესა აღიარებდა და ამათ თანა არა ღმრთისმშობელად არამედ კაცისმშობელად ჰრწმენა წმიდაჲ ქალწული"[80] — წერს კირილე ალექსანდრიელი. მისი ეს ბრალდებები მრავალ პოლემიკურ თხზულებაში მეორდება, მათ შორის ტბელ აბუსერისძის საგალობელშიც:

„ორ ძედ და ორ ქრისტედ განყო
ერთი უფალი ამან ბოროტმან,
ხოლო უბიწოჲ ქალწული
კაცისმშობელად იყეფა ჰურიაებრ" (V(II).3).

ამავე თემას ტბელ აბუსერისძე უბრუნდება IX გალობაში, რომელიც, ჩვეულებრივ, ღვთისმშობლის სადიდებლად არის მიმართული. ამიტომ IX.1 დასდებელში პოლემიკა ღვთისმშობლის მგმობარი ნესტორის წინააღმდეგ უფრო მძაფრდება:

„ნისტორ, დაწყეულმან მან,
ერთი ქრისტე და ძე ორ ძედ
და ორ ქრისტედ განყო დრკუმან;
არამედ წმიდაჲ
ქალწული არა ღმრთისმშობელად,
არამედ კაცისმშობელად თქუა
ცოფმან მძჳნვარემან მან"

„დოგმატიკონის" ჰიპერტექსტი არ გამორიცხავს ტბელ აბუსერისძის მიმართებას მის სხვა წიგნებთანაც. ყველა ციტატასა და პერიფრაზზე თვალის გადევნება ამ ეტაპზე შეუძლებელია, რადგან „დოგმატიკონის" დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული.

* * *

საგალობელში ზოგიერთი მწვალებლისა და ერესის შესახებ ინფორმაცია ერდროულად რამდენიმე ლიტერატურული

80 ანტინესტორიანული ტრაქტატები არსენ ვაჩეს ძის „დოგმატიკონში", ქართული თარგმანების ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და ლექსიკონები დაურთო ა. ჩანტლაძემ, თბ., 1997, გვ. 160.

წყაროდან მომდინარეობს. ასეთია, მაგალითად, ორიგენისადმი მიძღვნილი მონაკვეთი (III.2-4).

ორიგენისა და ორიგენიზმის შესახებ „დოგმატიკონის" სხვადასხვა ნუსხაში ორი საკითხავია დაცული: „მეტყუელთა მიმართ, ვითარმედ სულნი კაცთანი პირველვე იყვნეს ჴორცთასა"[81] და თეოდორე აბუკურას „სიტყჳსგებაჲ ორიგენიანისა მიმართ"[82]. თეოდორე აბუკურას ტრაქტატში „თუ ვითარ სათანადო არს გულისჴმისყოფაჲ საღმრთოჲსა და გარეშისა ფილოსოფოსობისა სიტყუათაჲ" ბოლო პარაგრაფი ორიგენს ეძვნება[83]

S-312 ხელნაწერში ცალკე საკითხავად შეუტანიათ „მოთხრობაჲ საწყალობელისა ფილასოფოსისა ორიგენისი" (ფურც. 19-20), რომელიც წარმოადგენს ვრცელ ციტატას „ხრონოგრაფის" არსენ იყალთოელისეული თარგმანიდან[84]: „ესრეთ შემდგომად დადისა მეფე იქმნა სევიროს... რომლისა ზე... ორიგენი ალექსანდრიაჲთ აღმოეცენა... ....ხოლო რაოდენნი რაჲ სარწმუნოებისათჳს აღწერნა და გარდამოსცნა, ყოვლითა გმობითა და ფრიადითა უშუერებითა აღსავსედ იპოებიან"[85] (შდრ.: „ჟამთა უკუჱ სევეროსისთა აღმოეცენა ორიგენი ალექსანდრიაჲთ.... ...ხოლო რაოდენი სარწმუნოებისათჳს აღწერნა და გარდამოსცნა, ყოვლითა გმობითა და ფრიადითა უშუჱრებითა აღსავსედ იპოებიან").

ტბელ აბუსერისძის საგალობლის III.3-4 დასდებლები არცერთ დასახელებულ წყაროს არ ეყრდნობა. ამ დასდებლების ლიტერატურული წყარო შინაარსით ახლოს დგას მეხუთე

---

81 „მეტყუელთა მიმართ, ვითარმედ სულნი კაცთანი პირველვე იყვნეს ჴორცთასა", გამოსაცემად მოამზადა ი. ლოლაშვილმა: ლიტერატურული ძიებანი, თბ., 1983, გვ. 262-278.

82 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 283-284.

83 თეოდორე აბუკურა, ტრაქტატები და დიალოგები, თარგმნილი ბერძნულიდან არსენ იყალთოელის მიერ, გამოსცა ლ. დათიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 75-77.

84 შდრ.: კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 484.

85 გიორგი ამარტოლი, ხრონოგრაფი, გვ. 235-238.

მსოფლიო საეკლესიო კრების საქმეებთან (იხ. კომენტარები).

„გალობანის" ტექსტის ზოგიერთ ადგილს პარალელი ჩვენთვის ცნობილ ქართულ ტექსტებში არ ეძებნება. ასეთია III.4; V.5; VII.2-5; VIII.2,4 დასდებლები და აგრეთვე რამდენიმე სხვა დასდებლის ფრაგმენტი. ლიტერატურულ წყაროთა სიუხვესთან ერთად მხედველობაშია მისაღები ტბელ აბუსერისძის ფართო ცოდნა საეკლესიო მწერლობაში, რომელიც მას უთუოდ ქართულ სკოლაში აქვს მიღებული, რადგან მწერლის შემოქმედებაში დადასტურებული ყველა ციტატა აღებულია ქართულენოვანი ტექსტებიდან.

ტბელ აბუსერისძის საგალობელმა ორი ძველი ნუსხით მოაღწია ჩვენამდე. პირველი ნუსხა დაცულია A-85 ხელნაწერში (1233 წ.). მეორე — S-312 გადაწერილია 1541 წელს. მათგან მომდინარეობს საგალობლის ორი გვიანდელი ნუსხა, რომლებიც XVIII საუკუნეშია შესრულებული.

A-85 ხელნაწერში საგალობლის ტექსტს უკავია შვიდი სრული გვერდი: 338v — სათაური და პრისკილა (I.1-III.1); 339r — და მაქსიმილა ბოროტსა მას ვოდდა (III.1-IV.3); 339v — ნტოს ტერევნითად ... ეჰა, უგუნურებაჲ (IV.3-V.5); 340r — კუალად — თევდორე შევაჩუენნეთ (V.6-VI.2); 340v — კოსტანტინეს ძისა არამართლად (VI.3-VIII.2); 341r — აღსწერდეს ... ისავრი და (VIII.2-IX.3); 341v — სკორიანი კომენტარი (IX.3-IX(II).3).

საგალობლის ტექსტში რამდენიმე სიტყვას დასმული აქვს მახვილის ნიშანი: თავს' თჳსსა (IV.2); ვოდდანტ'ოს (IV.3); ორთ' დამბადებელთა (VII.4); ფოტინე'; ევჰიტთ', მესალიანად' (VIII.3); მოჰ'მედ (IX.3). ამ ნიშნის ხმარება არ ატარებს სტაბილურ ხასიათს. მისი ეთრთადერთი ფუნქციაა უჩვეულო გრამატიკულ ფორმებსა და სახელებზე ყურადღების გამახვილება. უფრო მოსალოდნელია, მახვილის ნიშნები ნუსხაში მოგვიანებით დაესვათ.

ხელნაწერში ზოგიერთი ადგილი გადასულია, განსაკუთრებით, ბოლო (341v) გვერდი, რომლის სრულად ამოკითხვა ლუპითაც კი შეუძლებელია. გადასული ადგილების აღდგენაში S-312 ხელნაწერი გვეხმარება.

S-312 ხელნაწერი (108 ფურცელი) წარმოადგენს პოლემიკურ-დოგმატურ და სამეცნიერო კრებულს, რომელიც გადაუწერია საფარის მონასტრის დეკანოზს სიმონ კარგარეთელს. მასში შეტანილია 55 თხზულება[86] „გალობანი

86 ქრ. შარაშიძე, S-312 ხელნაწერის აღწერილობა, წიგნში: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (A) კოლექციისა, ტ. I, ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 365-375; მ. შანიძე, „სიტყუაჲ ართრონთათვს", ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი, თბ., 1990, გვ. 32-34:

მწვალებელთა შეჩუენებისანი" მოთავსებულია 101r-103r გვერდებზე. მის წინ მოთავსებულია ტბელ აბუსერისძის „ქრონიკონი სრული მისითა საუწყებლითა განგებითა" ორივე ტექსტის დედანი A-85 ხელნაწერია, რომელიც იმავე პერიოდში აღადგინა და განავრცო საფარელმა მოღვაწემ გიორგი კარგარეთელმა. A-85 ხელნაწერს მან დაუმატა 386-488 ფურცლები.

S-312 ხელნაწერში საგალობლის ბევრი ადგილი დამახინჯებულია, განსაკუთრებით, მწვალებელთა სახელები. მთლიანად არის გამოტოვებული VII.4 დასდებელი. ს. კარგარეთელისათვის გაუგებარი დარჩენილა IX გალობის ღმთისმშობლისაჲ — „წმიდაო სამებაო", რომელიც მას ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ბოლო დასდებლის გაგრძელებად მიუჩნევია და წაუკითხავს, როგორც „წმიდაო ღმრთისმშობელო"

S-312 ხელნაწერზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება საგალობლის პირველი ნუსხის სრული სახით აღდგენა.

XVIII საუკუნის ნუსხები (ცსსა № 264 და 268 და ქუთ. 101) შესრულებულია ნიკოლოზ ორბელიანისა და მიტროფანე დიაკვნის მიერ. ორივე მათგანს „გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი" გადაუნუსხავს ტბელ აბუსერისძის „ქრონიკონთან" ერთად. ნ. ორბელიანი ამის შესახებ წერს: „ერთი ძველი ძლისპირი (ე. ი. ხელნაწერი A-85) მეფეს არჩილს გელათიდამ წამოეღო რუსეთსა... მოვიწიენით სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს, ვიხილე იგი ძლისპირი და გარდმოვწერე მუნით დასაბამითგან წელთა რიცხუნი და ხარება შვიდეულისა, დიდის მცხრალისა, ზედნადებთა, დღის საძიებელთა, მზის მოქცევათა, მთვარის მოქცევათა, ხუთეულთა, ექვსეულთა, თუ სადაჲთ მოვალს, ანუ ვერ მპოვნელსა ვით მართებს პოვნა (ანუ „ქრონიკონი სრული მისითა საუწყებლითა განგებითა" — რ. ხ.)... მწვალებელთა შეჩუენების გალობა"[87]

---

87 ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, I, შედგენილი ს. კაკაბაძისა და პ. გაგოშიძის მიერ, ქ. კეკელიძის რედაქციით, თბ., 1949, გვ. 232.

ქუთ. 101 ნუსხა მომდინარეობს S-312 ხელნაწერიდან და გადაწერილია 1778 წელს[88].

საგალობლის ტექსტის ბოლომდე დადგენა ძველ ნუსხებზე დაყრდნობითაც ვერ ხერხდება, რადგან არასწორ წაკითხვებს თვით A-85 ხელნაწერშიც ვხვდებით. ამ ხელნაწერში ხარვეზებით არის წარმოდგენილი ტბელ აბუსერისძის მეორე საგალობელიც — „გალობანი სამთა იოვანეთანი"[89]. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ ავტორი თავის ჰიმნოგრაფიულ კანონებს მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა. სამაგიეროდ, რედაქტორული მუშაობის დროს ტბელ აბუსერისძე დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს „ქრონიკონის" და „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნის" ტექსტებს. „ქრონიკონზე" დართულ ერთ კომენტარში ავტორი ყურადღებას ამახვილებს გადამწერის მიერ დაშვებულ შეცდომაზე: „ესე რიცხუნი შავთელისა იამბიკონთა ქუემოჲთ მოსაკიდებელ იყო და პირველ მას ხოლე წაიკითხევდით და მერმე ამას. მწერალმან მუნ სხუაჲ რაჲმე მოჰკიდა და ესე აღარ დაიწერებოდა"[90].

„სამთა იოვანეთა" საგალობელი XIII საუკუნის ორ ხელნაწერშია შეტანილი. ერთი მათგანი — A-85 ხიხანშია დაწერილი, ხოლო მეორე (ქუთ. 22) — გელათში. ორივე ნუსხა ავტორის სიცოცხლეშია შესრულებული, ავტორისავე დედნის მიხედვით, რაც საგალობლის ტექსტის დადგენას აადვილებს. სხვა ვითარებაა „გალობანი მწვალებელთა შერცხვენებისანის" შემთხვევაში. მისი ავტოგრაფული დედნიდან მხოლოდ ერთი ნუსხაა გადაწერილი, ისიც გარკვეული ხარვეზებით. გადამწერის შეცდომების გასწორება მხოლოდ საგალობლის ინტერტექსტის გათვალისწინებით ხერხდება.

ამგვარი სამუშაოს შესრულება კ. კეკელიძემ დაიწყო. მან გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფის" ტექსტზე დაყრდნობით გაასწორა გადამწერის მიერ დაშვებული ერთი შეცდომა:

---

88 ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ე. ნიკოლაძის მიერ, ტ. I, თბ., 1953, გვ. 262.

89 რ. ხალვაში, ტბელ აბუსერისძის სახისმეტყველება, გვ. 76-78.

90 აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 73,

„ორთა დასაბამთა ურთიერთას მჴდომთ მეტყუელისაჲ“[91]
A-85 და S-312 ხელნაწერებში „ორთა დასაბამთა“-ს ნაცვლად წერია „ორთა და სამთა“

„ხრონოგრაფის“ ტექსტთან შედარება გვიცნაურებს გადამწერის მიერ დაშვებულ სხვა შეცდომებსაც:

1. ხელნაწერებშია: „ორთა ბოროტად მეტყუელი“ (V.1); „ხრონოგრაფშია“: „ორთა ბოროტად... მეტყუელნი“[92]. რა თქმა უნდა, სწორია „მეტყუელნი“, რადგან საგალობელშიც და აქაც იგულისხმება ორი მწვალებელი: პავლე სამოსატელი და მანი.

2. ასევე გასწორდა V.4 დასდებელი:

„ვითარმცა ჴორცნი
უსრულ იყვნეს კაცყოფისა“

საგალობლის ნუსხებშია: „უსულო იყვნეს კაცყოფისა“; „ხრონოგრაფის“ შესაბამის ადგილზე წერია: „ვითარმცა ჴორცნი უსრულ იყვნეს კაცყოფისა მიმართ“ (გვ. 245).

3. VIII.4 დასდებელში A-85 ხელნაწერის გადამწერს გამოუტოვებია მწვალებელ სვიმეონის სახელი. უნდა იყოს „საბა, სჳმეონ“, როგორც „ხრონოგრაფშია“[93]. ნუსხაში კი გვაქვს: „საბას რომელმან“ ნათელია, რომ გადამწერმა სახელ „სიმეონის“ ქარაგმა (სნ) არასწორად ამოიკითხა როგორც „რომელმან“ (რნ), რის გამოც მივიღეთ ამგვარი შეუსაბამობა:

„საბას, რომელმან
ბოროტად მზრახვალნი:
„ნათლისღებისგან შენდობაჲ არ იქმნებისო“

ცხადია, „მზრახვალნი“ გულისხმობს მასალიელთა წვალების ყველა წარმომადგენელს, რადგან ამ სიტყვის შემდეგ დამოწმებული ფრაზა მხოლოდ საბას არ ეკუთვნის.

ტექსტის დადგენაში ასევე გვეხმარება ეფრემ მცირის

91 კ. კეკელიძე, ეტიუდები, I, გვ. 265.
92 იქვე, გვ. 245.
93 იქვე, გვ. 281.

„სამოციქულოს განმარტება" VIII.1 დასდებელი A-85 ხელნაწერში ასე იკითხება:

„მ ა ღ ნ ი ვინმე ცით
და ეთერისა ჴორცთა
თავისა თჳსისა თანა
გარდამოტანებასა
და ამით ჴორცთშესხმასა ქრისტესასა იტყოდა".

გადამწერის შეცდომას იმთავითვე გვიცნაურებს რიცხვში შეუთანხმებლობა: „მაღნი... იტყოდა" დასდებელი ემყარება „სამოციქულოს განმარტებას": „იყვნეს ვინმე, რომელთა თქუეს, ვითარმედ ოცნებით ჩემებითა კაცებისაჲთა ზეცით გარდამოიხუნა ჴორცნი უფალმან, რომელთა წვალებაჲ განიჩემეს მ ა ნ ი ქ ე ვ ე ლ თ ა"[94]

თავის მხრივ ტბელ აბუსერისძის საგალობელს ემყარება ე. წ. „აბდულმესიანის" ავტორი:

„მ ა ღ ნ ი ვინმე ცით იტყოდა რეცით
გარდმოტანასა ხორცთა მისთასა"[95].

სახოტბო პოემაში საგალობლის ნუსხიდან გადმოსული „მაღნი" გაასწორა ნ. მარმა და გამოცემაში შეიტანა: „მანი ვინმე ცით" ამდენად, ჩვენეულ წაკითხვას მხარს უჭერს ნ. მარის კონიექტურაც.

აქვე აღნიშნავთ, რომ იმავე VIII.1 დასდებელში დაშვებულია სხვა შეცდომაც:

„ს ი ს რ ი ს ივლიანე
ალიკარნელი (და)
გაიანე ალექსანდრელი"

დასდებლის ეს მონაკვეთი ეძღვნება ალექსანდრიელ მონოფიზიტებს: ივლიანე ჰალიკარნასელს და გაიანე ალექსანდრიელს. ორივე მათგანი ეგვიპტეში ცხოვრობდა. ამიტომ, ნათელია, რომ ხაზგასმულ ადგილზე უნდა ეწეროს „მისრის" (ანუ ეგვიპტეში). შდრ.: „ინდოეთს მისრით მოსრულთა გვივლია გზა

94 სამოციქულოს განმარტება, გვ. 440.
95 იოანე შავთელი, აბდულმესიანი, გვ. 145.

უგრძესია"[96]. როგორც ჩანს, გადამწერისათვის გაუგებარი დარჩა გეოგრაფიული სახელი „მისრი", რის გამოც ის დაუკავშირა ზმნა „სისრას" (ანუ სროლას).

აქვე აღვნიშნავთ, რომ, როგორც მეტრული ინტერტექსტი მიუთითებს, სახელ თეოდორეს ტბელ აბუსერისძე წერდა ფორმით „თევდორე".

როგორც აღვნიშნეთ, „გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი" ფრაგმენტული სახით თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა. მის გამოცემაში შეტანილია: I.5; III.2-4; IV.2-4; V.1-3; VIII.1 დასდებლები და IV.1; V.6; V(II).1-5; VI.1-3; IX.2 დასდებელთა ფრაგმენტები. ჩვენს გამოცემაში ვიზიარებთ თ. ჟორდანიასეულ ერთ კონიექტურას. III.4 დასდებლის დასაწყისი A-85 ხელნაწერში დამახინჯებულია:

„წარწყმედად მოსლვა მტკიცებს"

დამახინჯებული ადგილი თ. ჟორდანიამ ასე გაასწორა: „წარწყმედად მოსლვა(სა) (ა)მტკიცებს"[97]

თ. ჟორდანიამ „გალობანის" ფრაგმენტები „რკონის სიგელთან" დაკავშირებით გამოაქვეყნა და ამ ორ ტექსტს შორის რამდენიმე თანხვედრაზე მიგვანიშნა კიდეც — საგალობლის შესაბამისი ადგილები განსხვავებული შრიფტით დაბეჭდა. ყურადღებას იქცევს მწვალებელთა სახელების დაწერილობაში დაშვებული შეცდომები, რომლებსაც იმეორებენ როგორც საგალობლის და რკონის სიგელის გადამწერები, ისე თ. ჟორდანია. ამავე შეცდომებს ვხვდებით ნ. შოშიაშვილის გამოცემაში: „მუნტანოს, სატურნიონს, აკვილას, ლოსკარს, პოკრატის, აკროლას და თეოდორე მომფესოესტელსა და პოლიხრონიოს ცოფსამცა თანა არს ნაწილი მისი"[98].

---

96 შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1957, სტრ. 1580.

97 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 139.

98 დაწერილი კახა თორელისა რკონის ღმრთისმშობლისადმი (1260 წ.), წიგნში: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 152.

შესაძლებელია, შეცდომა მომდინარეობდეს საგალობლის უძველესი ნუსხიდან (ხელნაწერი A-85), სადაც შესაბამის ადგილზე გნოსტიკოსი სატორნილოსის და კარპუკრატის სახელები ერთმანეთზე გადაბმით წერია: „სატორნი ლოსკარპუკრატი აკვილა“ სახელ სატორნილოსის დაბოლოებით (ლოს) და კარპუკრატის დასაწყისით (კარ) კახა თორელის დაწერილში („რკონის სიგელში“) და ტბელ აბუსერისძის საგალობლის თ. ჟორდანიასეულ გამოცემაში მივიღეთ მესამე „სახელი“ (ლოსკარ) — სატორნიონი, ლოსკარი, პოკრატი[99]. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ ამავე საგალობლს უნდა უკავშირდებოდეს „დაწერილში“ მწვალებელ მანის მოხსენიება მანინად (შდრ.: IV.2 დასდებელი — „წყეული მანინ... ათორმეტთა მოწაფეთა იგიცა მპყრობი“) და მანენტოდ (შდრ.: „სამოსატელი, მანენტოჲს ზიარი“ — V.1): „... მანინას შეჩუენებულსა და ათორმეტთა მოწაფეთა მისთა, მანენტოს, პავლე სამოსატელისა და არიოზ სამგზის დაწყეულსამცა თანა დაისჯების“[100] — ცხადია, რომ „დაწერილის“ ავტორმა მანინი და მანენტო შეცდომით ორ სხვადასხვა მწვალებლად მიიჩნია.

გამოცემაში ჩვენ ვითვალისწინებთ „გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანის“ ორივე ძველ ნუსხას, ასევე გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფის“ ტექსტს. კითხვასხვაობებში ვიყენებთ შემდეგ ლიტერებს: A — ხელნაწერი A-85, S — ხელნაწერი S-312, X — გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფი“

99 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 138, 139.

100 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, ქართული ისტორიული საბუთები IX–XIII სს., გვ. 152.

# გალობანი მწვალებელთა ყოველთა თჳთეულისა წვალებისა შერჩენებისანი

I. უგალობდითსა
ჴმაჲ ბ გუერდი
„ზღუაჲ მეწამული"

1. ღმრთისმეტყუელითა
პირითა, ერნო,
მოვედით, ვადიდებდეთ სამებასა წმიდასა
სარწმუნოებითა მართლითა:
სამგუამოვნად ცნობილსა,
ერთარსებით ქებულსა[1],
დაუსაბამოსა
და[2] ცხოველსა
და უკუდავსა, ყოველთა შემოქმედსა.

2. ჩუენ, მორწმუნენი,
მართლადსარებით
აღვიარებდეთ წმიდასა სამებასა
შეურევნელად და განუყოფელად,
ხოლო უღმრთონი მწვალებელნი
მეტყუელ-იქმნნეს წვალებით,
რომელთა სახელებსა
მოვიჴსენებთ
და საქმეთ[3] თანა — სიტყუათა მათთა ბოროტთა.

3. შჳდ წვალებანი
იყვნეს ძუელითგან:
პირველ — მწიგნობართაჲ სჯულ-მცნებათა
არა[4] კმამყოფელნი, სხუათაცა რათმე

1. სამგუამოვნად ცნობილსა ~ ერთარსებით ქებულსა S. 2. — S. 3. საქმეთა S. 4 არაჲ AS.

უწრელად მომპოვნნი; და
ფარისეველნი — შობისა
დღისა მზმნელნი; სამ — სადუკეველნი,
აღდგომისა
და სულთა და ანგელოზთა უვარისმყოფელნი[5];

4. სხუანი — დღითი-დღე
ნათლისმღებელნი;
ხუთ — ოსინელნი, არმჯერნი წინასწარმეტყუელთა;
მეექუსედ — ნაზარეველნი,
ჴორცისმჭამელთა მძაგნი და წინასწარმეტყუელთა
არშემწყნარებელნი;
შჳდ — ჰეროდიანნი,
ჰეროდეს ქრისტედ
მეტყუელნი. ესე — ძუელ, აწ ახალნი იტყოდედ:

5. კლავდის კეისრის
ზე იყო სჳმონ
ბოროტი, თავსა თჳსსა ქრისტედ მეტყუელი; სხუათაცა
წვალებათა ძმაცუვიდა[6] მიმდგომით მისით:
მანენდროს, კირინთის[7],
ნიკოლაოზ. ანდრიანეს ზე მყოფნი:
უვალენტიანონ,
კერდონ[8], მარკიონ,
მუნტანი, სატორნილოს, კარპუკრატი, აკჳლა.

### III. ႢႠႬႻႪႨႤႰႣႠႱႠ
„სამებაო წმიდაო“

1. ანტონინეს ზე იყვნეს შეჩუენებულნი
ტატიანე, ვარდისან

5. უარისმყოფელნი S. 6. ძმაცვიდა S. 7. მანენდროს, კირინთისს A. მანენდოროს, კრინთისის S. 8. კერდიონ S.

და პრისკილა და მაქსიმილა[9]
— ცრუწინასწარმეტყუელნი დედანი.
და კომოდ მეფისა ზე იყვნეს: თეოდოტოს[10]
და თეოდოტონ — პირველ დამწყებელნი პავლე
სამოსატელისა და ნისტორის[11] წვალებისანი.

2. სევეროზის ზე — კლიმი სტრომატელი, სჳნმახოს,
ორიგენი, მეტყუელი
ძისაგან მამისა ვერხილვასა,
ვერცა ძისასა სულისაგან და ვერცა ანგელოზთა
ანგელოზთაჲ და: „არსებისაგან მამისა ძე
არა არსო, ხოლო დაბადებულ
და მადლით სახელდებულ";

3. კაცობრივი სული ჴორცთა[12] პირველ ყოფად თქუა;
და ყოველთა მიმწთომად
მამაჲ ოდენ განაჩინა და ძე
— სიტყჳერთა ზედა, ხოლო სული წმიდაჲ
მორწმუნეთა ოდენ განუწესა; და არა
ერთად სამებისგანად იტყჳს ქრისტესა;
და „სოფლის არდამბადებელ არსო სამებაჲ";

4. აღდგომისგანთა გუამთა ჩუენთა პირველ ქრისტესა
წარწყმედად მოსლვასა ამტკიცებს[13];
„შემდგომად აღდგომისა სიტყჳერთ ძალ-ედვას,
თჳთ ეშმაკთამდეცა, საუკუნეთა დაბადებაჲ,
რამეთუ ეთეროანი და მომრგულებულნი აღდგებიან გუამნიო";
ხოლო ესრეთ იტყჳს აღდგომასა ქრისტესასა
და ვითარმედ სწორ მისსა ვიქმნებით აღდგომასა.

---

9. მაქსიმია S. 10. თეოდოტე S. 11. ნისტორ S. 12. ჴორცთაჲ AS. 13. „მოსლვასა ამტკიცებს" (თ. ჟორდანიას კონიექტურა) ] მოსლვა მტკიცებს A, მოსე ამტკიცებს S.

IV. გესმაასა

„რაჟამს წინასწარმეტყუელმან"

1. ონორის ზე — საბელიოს.
დეკეოჲს ზე — ნავატ და ელკესიოს;
ნავატ სიძვაჲ შეუნდობ-ყო[14],
არამედ ხოლო
ვეცხლისმოყუარებაჲ ყოვლად უბრალო-ყო.
და კუალად — ღალინო[15] მეფისა ზე
იყვნეს არტემონ და სჳნეპოს დრკუნი.

2. შემდგომად — წყეული მანინ,
ქრისტედ და სულად წმიდად თავს თჳსსა მთქუმელი;
ათორმეტთა მოწაფეთა
იგიცა მპყრობი;
სპარსეთით საბერძნეთად გარდმოიხრწნა[16];
„სახიერსა"[17] ვისმე ახალსა ღმრთისგანად მეტყუელი;
და ოცნებით ქრისტეს გამოჩენასა მზღაპრობი[18];

3. მოძღურად აქუნდა ბოროტსა მას
ვოდდანტოს, ტერევნითად სახელდებული,
სკჳთანესგან, სწავლულისა
ემპოდოკლოჲსგან
— მრავალთ წვალებათ შემტკბობისა
და ორთა დასაბამთა[19] ურთიერთას მჴდომთ მეტყუელისაჲ
და გუამითი-გუამად სულთა ცვალებად[20] მთქუმელისაჲ;

4. განმგდებელი ყოვლისავე
აგებულისა და ძუელისა აღთქუმისა

---

14. შეუნდოყო S. 15. ღალნო S. 16. გარდამოიხრწნა S. 17. „ხრონოგრაფში" შესაბამის ადგილზე წერია „რეცა სახიერსა" 18. მზღაპრობით S. 19. „დასაბამთა" X] და სამთა AS. 20. სულთა ცვალებად ] სლვითა წვალებად S.

და შესაქმეს კაცთასა არ[21]
სახიერისა
ღმრთისგან ქმნილად მეტყუელი, ვინაჲთგან[22]
„ხრწნილებასა და ცვალებასა შინა არსო“;
და უჯეროთა შეყოფათა მომპოვნებელი.

## V. ᲓᲐᲛᲘᲗᲑᲐᲜᲪᲐ
„შენდა ალ“

1. სამოსატელი,
მანენტოჲს ზიარი,
უფალსა ლიტონ კაც
და წინასწარმეტყუელთ თანად
ჰგონებდა ბილწი
— ვინაჲ ესე არიან პირველ
აღმოცენებულნი და ერთ
ბუნებისა და ორთა ბოროტად მეტყუელნი[23]:

2. პირველი იგი
უვარისყოფითა[24]
კაცებისაჲთ[25], ხოლო
მეორე — ღმრთეებისაჲთა[26],
პავლე ბოროტი
და სხუანი მიმდგომნი მისნი:
ტატიანე და არტემონ,
ვარდისანი[27], ფოტინა და ევვიონ.

3. არიანოზთა,
უსულოდ მეტყუელთა
ჴორცთა უფლისათა,
აპოლინარი გამოჩნდა

21. არა S. 22. ვინათგან S. 23. „მეტყუელნი“ X ] მეტყუელი AS. 24. უარისყოფითა S. 25. კაცებისათჳს S. 26. ღმრთეებისათა S. 27. ვარდისნი AS.

წინააღმდგომად,
ვითარმედ „ცხოველობითითა
სულითა სულიერნი მიიხუნა,
ხოლო გონებაჲ ჩუენი არა მიიღო"

4. ვინაჲ ამისი
მთქუმელი[28] ერთყოფასა
ცხად-ჰყოფდა სიტყჳსა
და ჴორცთა ბუნებისასა[29],
ვითარმცა ჴორცნი
უსრულ[30] იყვნეს კაცყოფისა
და ამისთჳს არა ღირს იყვნეს
ბუნებად სახელისდებასა.

5. ამათ წვალებათ[31]
ზემო თქუმულთა[32] თანა
ამასცა იტყოდა:
„მამისა უდიდესობაჲ,
ხოლო ძისა
უკნინესობაჲ და წმიდისა
სულისა უმცირესობაჲ
ჯერ-არსო თქუმად"[33] ეჰა, უგუნურებაჲ!

6. კუალად — თევდორე
მომფსუესტელი[34], რომელი
ქრისტესა ლიტონად
ერთად ჩუენგანად უწოდდა
და „იორდანეს
ნათლისღებითა ღირს-იქმნა
ნიჭსა წმიდისა სულისსა,
წარმატებითა მადლსა მომღებით"[35].

28. მთქმელი S. 29. ბუნებისსა S. 30. „უსრულ" X, უსულო AS. 31. წვალებათა S. 32. თქმულთათა S. 33. თქმად S. 34. მომფსუჱსტელ A. 35. მადლისა მომღებელ S.

## V (II). ღამითგანსა
„ბნელისაგან“

1. იტყოდა ბილწი თევდორე,
ვითარმედ „გარდამატებულისათჳს
სათნოებისა მიეცა
საღმრთოჲ პატივი ერთბუნებასა
და კუალად ორთა
ქრისტეს შორის“ — არა
მართლისა სიტყჳსაებრ აღმსარებელი[36].

2. ნესტორ, ძე კილიკელისა[37]
და ძისწული სამოსატელისაჲ[38],
რომელმან, მსგავსად მისსა და[39]
თევდორე მომფსუესტელისა,
ქრისტესა ზედა
იჴუმია სახელი
ორთ ბუნებათაჲ, ბოროტთ[40] ძირთაგან აღმოსრულმან.

3. ორ ძედ და ორ ქრისტედ განყო
ერთი უფალი ამან ბოროტმან,
ხოლო უბიწოჲ[41] ქალწული
კაცისმშობელად იყეფა ჰურიაებრ
მწვალებელმან; სხუა
ყოფაჲ განთჳსებულად
ქრისტესი, სხუაობაჲ სიტყჳსა ღმრთისა[42] სჯულდებულ-ყო.

4. ევტუქი და დიოსკორე,
ბოროტის მზრახნი, ორთ[43] ბუნებათა პირველ
შეერთებისა აზმნობდეს

---

36. აღმსარებელი S] აღმასრულებელი A. 37. „კილიკიელისა“ X ] კლიკელისა AS. 38. სამოსატელისა S. 39. მისისადა S. 40. ორთ ბუნებათაჲ, ბოროტთ ] ორთა ბუნებათა ბოროტთა S. 41. უბიწო S. 42. + და S. 43. მზრახავნი ორთა S.

და კუალად შეერთებისა ერთ ბუნებად
წერდეს, ვითარმცა
მათისაებრ თქუმისა:
„ერთ ბუნებად შერევნულ იყვნეს ჴორცნი და ღმრთეებაჲ"

5. არ ამას ოდენ, არამედ
ზეცით მოსრულად ჴორცთა უფლისათა
ყეფდა, ვითარმედ, ვითარმცა
სოლინარი, განვლო სიტყუამან ღმრთისამან ქალწული,
ზეცით მიმხუმელმან[44]
ჴორცთამან; და ერთსა
ბუნებასა ქრისტესსა აღიარებდა ბოროტად.

## VI. ᲦᲐᲦᲐᲓᲧᲐᲕᲡᲐ

„მუცლად ილო"

1. ბილწნი ვინმე[45]
სევეროზ-ივლიანე
მბრძოლებდეს ურთიერთას,
რამეთუ სევეროზ ერთსა
ბუნებასა იტყოდა
ქრისტესსა[46] და მიითუალვიდა
ქრისტეს შორის განყოფილებასა,
ხოლო ივლიანე,
ერთსა ბუნებასა
მეტყუელი, უარ-ჰყოფდა განყოფილებასა.

2. სავვატოს[47]
დეოკლიტიანეს
ზე იყო, ათოთხმეტიანთ[48]

---

44. მიმხმელმან S. 45. ვიმე A. 46. ქრისტესასა S. 47. „სავვატოს" X] სავვატოს AS. 48. ათოთხმეტიანთა S.

წვალების შემნივთებელი
ბოროტი. და არიოზ
ბილწი — კონსტანტინეს ზე
დიდისა და მისთან ევნომი, აეტი[49],
ევსევი, ევდუქსი,
პოლიმონ, ნავატ და
მუნტანი — ყოველნი შევაჩუენნეთ.

3. კონსტანტინეს
ძისა კონსტანტის ზე[50]
იყვნეს არიოჲს[51] მიმდგომნი,
ერთისა ბუნებისა და
არსების[52] ღმრთეებისა
განმყოფელნი; და თქუნეს სამნი
არსებანი და ბუნებანი — მამისა[53],
ძისა და სულისა
წმიდისანი; ხოლო
ჴორცნი უფლისანი უსულოდ თქუეს ბილწთა.

## VII. ქართხეულ არსა
## „ჵ სასწაული"

1. დრკუჲ საბელიოს[54]
ლიბიელი, ჰურიაებრსა[55]
ერთსა პირსა აღსარებით
ცთომილი, ერთად
გუამსა უხრწნელისა მის
სამებისსა
იტყოდა უბადრუკი.
კუალად გამოჩნდა სხუაჲ[56] ბოროტმგმობარი

---

49. მისთან ევნომი, აეტი] მის თანა ევნომეანტი S. 50. „კონსტანტის ზე" X] კონსტანტინე ძე A კონსტანტინეს ზე S. 51. არიოზის S. 52. არსებისა S. 53. მამისა ~ ბუნებანი S ] მამის ბუნებანი A. 54. საბელიოზ S. 55. ლიბიელი ჰურიაებრსა ] ლიბელი ურიაებრსა S. 56. — S.

2. მაკედონიოს,
რომელიცა სულსა წმიდასა
აგებულსა ბუნებად
იტყოდა ბილწი,
და ძისა მიერ ყოფად
მოყვანებულად,
რამეთუ ერთად ძისაგან
შექმნილთაგანად ჰგმობდა მას[57] ბოროტი.

3. კუალად — მარკელლე[58],
რომელი არა ერთგუამოვნად
განასაზღვრებს ღმრთის სიტყუასა[59],
არამედ რადმე
გამოკლთოლვილად; და შეკრებად,
მამისა ძალისაგან
გამომავალად, კუალად
მისდავე მართ შეკრებილად იჩქურა.

4[60] მანიქეველი
ნაცვალად ერთის კეთილდასაბამისა
და ერთის დამბადებელისა
კეთილ-ბოროტთა
ორთა დასაბამთა და
ორთ დამბადებელთა
— კეთილსა და ბოროტსა
და ორსა ბუნებასა დაბადებულთასა

5. კეთილ-ბოროტსა[61]
იტყჳს უბადრუკი იგი. და კუალად:
ვალენტიოს[62], ვასილიოს

57. — S. 58. მარკელლე ] მალკელილე AS. 59. სიტყჳსა S. 60. S-312 ხელნაწერში ეს დასდებელი გამოტოვებულია. 61. კეთილ-ბოროტთა S. 62. ვალენტოს S.

და საბელიოს[63]
— მანიქეოს[64] საშნი,
მარკიონ, არ[65] ჭეშმარიტებით
ჴორცთაგან და სულისა
გამოცხადებაჲ ქრისტესი, არამედ კაცთად იოცნეს.

## VIII. ႠႩႳႰႧႾႤႥႪႨႧႠ
## „ყრმათა საღმრთოთა“

1. მანი[66] ვინმე ცით[67]
და ეთერისა ჴორცთა
თავისა თჳსისა თანა[68]
გარდმოტანებასა
და ამით ჴორცთშესხმასა ქრისტესასა იტყოდა;
მისრის[69] ივლიანე[70]
ალიკარნელი და[71]
გაიანე ალექსანდრელი
ჩუენგან მიხუმულთა
ჴორცთა ქრისტესათა შეერთებისგანვე უხრწნელად აზმნობდეს.

2. დამიანოს დრკუჲ
და მარწმუნებელნი
არამართლად აღსწერდეს
ჴორცთა შესხმასა
ღმრთისა სიტყჳსასა, არამედ ვითართუმცა
ხატი იყო იგი
განთჳსებულის[72]
გუამისაჲ[73] და ძეობით პირებისა
თჳთებაყოფად[74]
იკადრებდეს განჴორციელებასა მისსა.

---

63. საბელიოზ S. 64. მანიდრეოზ S. 65. მარკიონ არ] მარკონ არა S. 66. მალნი AS. 67. ცათ S. 68. თჳსისა თანა] თჳსისთა S. 69. სისრის AS. 70. ივბიმიანე A. ივიბმიანე S. 71. — AS. 72. განთჳსებულისა S. 73. გუამისა S.
74. თჳთებად ყოფად S.

3. კუალად: ფოტინე,
მარკელლე[75] — ქრისტესა
ღმერთად და ღმრთისა სიტყჳსა
ერთგუამოვნებად
უვარმქმნელნი[76]; და მაშინვე იყო ევსტატი
სევასტიელი
— ევჰიტთ წვალების[77]
მთავარი, მესალიანად[78] რომელ
იწოდებიან
და ენთჳსიასტად: ადელფოჲსგან[79], დადოჲსა,

4. საბა, სჳმეონ[80],
ბოროტად მზრახვალნი:
„ნათლისღებისგან შენდობაჲ
არ[81] იქმნებისო,
არცა სული წმიდაჲ მოეფინებისო,
არამედ ეშმაკი
მოღუაწებითა
და მარხვითა განიდევნების“[82].
და ელიანოს ზე
მეფისა იყვნეს ასტერიპპოს და მაქსიმოს[83];

5. სავვატ, პოლემონ,
პორფირ[84] ტჳრიელი,
რომელნი სარწმუნოებასა ზედა
ჩუენსა ძმაცუვიდეს[85]
მრავლითა სივერაგითა; და კუალად თევდორე
ანტიოქელი
და დიოდორე

75. მარკელე AS. 76. უარმქნელნი S. 77. ევჰიტთ წვალების ] და ევჰიტთ წვალების A. და ევჰიტით წვალებასა S. 78. მესალიონად S. 79. ადელფეოჲსგან S. 80. საბა, სჳმეონ ] „საბა და სჳმეონ“ X. საბას, რომელმან AS. 81. არა S. 82. განიდევნებისო S. 83. მაქსიმოის S. 84. პორფირი S. 85. ძმაცვიდეს S.

ტარსელი[86] ჴორცთა ქრისტესთა
ღმრთისგან კიდე
განჰყოფდეს — შეჩუენებულნი, უკეთურნი[87]!

## IX. ადიდებდითსა
„შენ მხოლოჲ სანატრელ ხარ"

1. ნისტორ, დაწყეულმან მან,
ერთი ქრისტე და ძე ორ[88] ძედ
და ორ[89] ქრისტედ განყო დრკუმან;
არამედ წმიდაჲ
ქალწული არა ღმრთისმშობელად,
არამედ კაცისმშობელად თქუა
ცოფმან მძჳნვარემან მან.
ხოლო სხუანიცა ვინმე გამოჩნდეს:

2. ევტუქი, დიოსკორე[90],
ტიმოთ[91], სევეროზ, იაკობ,
თევდოსი[92] და გაიანოს
ივლიანისთან[93],
პეტრე, ბარსანოფი — რომელნი[94]
საოცრად კაცქმნასა ქრისტესასა
ყეფდეს და ორ ბუნებად
უარ-ჰყოფდეს ქრისტესა.

3. ჰერაკლე მეფისა ზე
იყვნეს: ზოსიმე და ზენონ,
სერგი, პიროს, კჳროს, მაკარი,
ონორი, მოჰმედ.
შემდგომად — მეფენი ხატთამბრძოლნი
და სხუანი მიმდგომნი მათნივე:

---

86. ტარასელი S. 87. უკუეთურნი AS. 88. ორად S. 89. ორად S. 90. დიოსკორი S. 91. ტიმოთე S. 92. თეოდოსი S. 93. ივლიანის თანა S. 94. ბარსანოფი რომელნი] ბარსანოფირინ S.

ლეონ მეფე ისავრი[95]
და კონსტანტინე სკორიანი[96],

4. ლეონ მეფე სომეხი;
ანასტასი, კონსტანტინე
და ნიკიტა წვალებითა
დამპყრობელ იქმნნეს საყდარსა
კონსტანტინეპოლისასა;
ბოროტნი, კერპთმსახურთა სწორად[97]
ულმრთონი, პირველნი და
შემდგომნი — ერთობით[98]

5. თეოდოტი, ანტონი[99],
იოვანე და პავლე ისავრი[100]
და თევდორე, რომელსაცა[101]
ეწოდებოდა
ლასტი[102] და სტეფანე მულიტი[103],
თევდორე მექრთილე[104] და ლალუდი.
კუალად სხუანიცა[105] გამოჩნდეს
ერთის ბუნების[106] მეტყუელნი.

IX(II). ადიდებდითსა
„ნუ მტირ მე, დედაო"

1. თევდორე ფარანელი და
სერგი[107] და პიროს თანა,
პავლე, პეტრე, ონორი
— ჰრომის[108] მოძღუარნი, კჳროზ
— ალექსანდრიისაჲ[109]
და ანტიოქელი

95. მეფე ისავრი] მეფისა ავრი S. 96. (სკორიანი) A. 97. სწორნი S. 98. შემდგომნი ერთობით] შემდგომითნი ყოველნი S. 99. ანტონინე S. 100. (ისავრი) A. 101. რომელსა S. 102. „ლასტი" Ⴑ-1396] პასტირი AS. 103. (მულიტი) A. 104. მექრ~თლე S. 105. სხუანიცა S. 106. ერთისა ბუნებისა S. 107. სერგის S. 108. ჰრომისა S. 109. ალექსანდრისა S.

მაკარი და სტეფანე,
ერთ ბუნების[110] მეტყუელნი
ყოველნი[111] შევაჩუენნეთ
ყოველნი მწვალებელნი!

2. ჵ სამებაო წმიდაო,
რომელიცა გქადაგეს[112]
მოციქულთა, მარტჳლთა,
მღდელთმოძღუართა მამათა
და ყოველთა წმიდათა
და სათნო-გეყვნეს შენ
მართლმადიდებლობითა[113],
ღირს-მყვენ ჩუენ, მორწმუნენი,
ქებად შენდა მარადის
და შეგჳწყალენ ჩუენ.

3. მამათა მოძღურებისაებრ,
ჭეშმარიტად ღმრთისმშობელად
აღგიარებთ, ქალწულო,
და ყოველსა წვალებასა
განვიოტებთ ჩუენგან
და შენ, კურთხეულსა
დედასა მჴსნელისასა,
ძისა შენისა თანა
სურვილით ამბორს-გიყოფთ
და ძრწოლით თაყუანის-გცემთ[114]

ღმრთისმშობლისაჲ: „წმიდაო სამებაო“[115]*

---

110. ბუნებისა S. 111. — S. 112. გქადაგებდეს S. 113. + და S. 114. + წმიდაო ღმრთისმშობელო S. 115. „წმიდაო სამებაო“ — S.

* ტექსტს ახლავს ტბელ აბუსერისძის შენიშვნა: „ესე „გალობანი მწვალებელთა ყოველთა შეჩუენებისანი“ ითქუნენ განქიქებასა მათისათჳს, უკუეთუ ვისმე გენებოს, პირველსა კჳრიაკესა წმიდათა მარხვათასა“.

# კომენტარები

## *I გალობა*

### I. 3. „შჳდ წვალებანი იყვნეს ძუელითგან“

შვიდ ძველ წვალებაში იგულისხმება ქრისტეს დროს ებრაელთა შორის არსებული რელიგიური და პოლიტიკური მიმდინარეობები, რომელთა რიცხვი შვიდს აღწევდა: მწიგნობარნი, ფარისეველნი, სადუკეველნი, ჰემეროპაპტისტები ანუ დღითი-დღე ნათლისმცემელნი, ოსინელნი, ნაზარეველნი და ჰეროდიანნი. საეკლესიო ლიტერატურაში ტრადიციულად ეს მიმდინარეობები სექტებად (წვალებებად) იწოდებოდნენ. ასეა, მაგალითად, ეპიფანე კვიპრელის „ანაკეფალაიოსისში“: „ჰურიათა წვალება არს შჳდი: მწიგნობართაჲ... ფარისეველნი... სადუკეველნი... დღითი-დღე ნათელღებულნი... ოსინი... ნასსარეჲ... ჰეროდიანელნი“[1].

ანალოგიური ვითარებაა ეფრემ მცირის „სამოციქულოს განმარტებაში“ (საქმე მოც. 15.5-11-ის თარგმანი): „უწყებაჲ ჯერ-არს, რამეთუ სახელი მწვალებელთაჲ ძუელითგანი არს, და პირველთა ჟამთა ფრიად უწინარეს ქრისტეს მოსლვისა. ვინაჲცა თჳთ ერთსა მას შინა ნათესავსა ჰურიათასა შჳდნი წვალებანი იყვნეს: პირველი მწიგნობართაჲ... მეორედ ფარისეველთაჲ... მესამედ სადუკეველნი... მეოთხედ დღითი-დღე ნათლის-მღებელნი... მეხუთედ ოსინელნი... მეექუსედ ნაზარეველნი... მეშჳდედ ჰეროდიანნი“[2].

ტბელ აბუსერისძე, ეფრემ მცირის „სამოციქულოს განმარტებაზე“ დაყრდნობით, თითოეული ძველებრაული სექტის შესახებ გვაწვდის მოკლე ცნობებს.

---

1 ეპიფანე კვიპრელი, ოთხმეოცთა წვალებათათჳს, თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანი, ტექსტი დაადგინა ს. მახარაშვილმა და დანართის სახით შეიტანა თავის საკანდიდატო დისერტაციაში. ტექსტს ვიმოწმებთ აღნიშნული დანართიდან და ვუთითებთ თხზულების პარაგრაფის ნომერს.

2 განმარტება სამოციქულოსი, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ე. კოჭლამაზაშვილმა, თბ., 2000, გვ. 191-192.

## I.3. „პირველ — მწიგნობართაჲ სჯულ-მცნებათა არა კმამყოფელნი, სხუათაცა რათმე უწერელად მომპოვნნი“.

მათეს სახარებაში მწიგნობარნი იხსენებიან მღვდელთმთავრებთან (2.4) ან ფარისევლებთან (15.1; 20.4) ერთად. ისინი იყვნენ სწავლულები, ხელმძღვანელობდნენ სკოლებს, სინედრიონში კი მსაჯულის ფუნქციასაც ასრულებდნენ. გამოირჩეოდნენ ფორმალიზმით და კმაყოფილდებოდნენ გარეგნული წესების აღსრულებით. ამის საპირისპიროდ, იესო ქრისტე მიუთითებდა სჯულის (კანონის) შინაგან არსზე და მას ათავისუფლებდა მწიგნობრების მიერ მოგონილი დამატებებისაგან. მწიგნობრები მალე მიხვდნენ, რომ ქრისტეს მოძღვრება ეწინააღმდეგებოდა მათი სწავლების სულისკვეთებას, რის გამოც მას მტრობა დაუწყეს. ჯვარცმის დროს ისინი მღვდელთმთავრებთან ერთად დასცინოდნენ მაცხოვარს (მარკ. 15.31)[3]

ყველა მწიგნობარი ფარისეველთა სექტის წევრი იყო. სჯულის ცოდნასთან ერთად ისინი მტკიცედ ინახავდნენ გარდამოცემას: „არა კმაიყოფდეს შჯულისა მცნებათა, არამედ თავით თჳსით სხუათაცა რათმე წესთა მოიპოვებდეს უწერელად მოგონებულთა“, როგორც „სამოციქულოს განმარტებაშია“ აღნიშნული.

## I.3. „ფარისეველნი — შობისა დღისა მზმნელნი“.

ფარისევლები (ებრ. „ფერუშიმ“ — განცალკევებული, გამორჩეული) თავიანთ თავს იუდეველი ხალხის საუკეთესო, რჩეულ ნაწილად მიიჩნევდნენ, რაც კარგად ჩანს სახარების იგავში მებაჟისა და ფარისეველის შესახებ (ლუკა 18.9–14). ამ სექტის წევრები ქრისტეს შურითა და სიძულვილით უყურებდნენ, მაგრამ იუდეველთა სექტებს შორის სწორედ ისინი იდგნენ ყველაზე ახლოს მაცხოვართან. ფარისეველთა შორის ქრისტეს მეგობრებიც ჰყავდა: ნიკოდემოსი და იოსებ არიმათიელი. სინედრიონში მხოლოდ ფარისეველი, სახელად გამალიელი გამოვიდა მოციქულთა დევნის წინააღმდეგ (საქმე 5.34–42). აქედან გამომდინარე, საფუძველს არ არის მოკლებული გარკვეული სიმპათია ფარისევლებისადმი, რასაც „სამოციქულოს

[3] Новый Завет. С паралельными местами и приложениями. Брюссель, 1988, с. 591.

განმარტებაში" ვხვდებით: „რომელნი-იგი დაღაცათუ სხუათა უმჯობეს იყვნეს, არამედ შობისა დღესა იზმნიდეს".

იოანე დამასკელის ცნობით, ფარისევლებმა შემოიღეს სწავლება შობის, ბედისწერისა და გრძნეულების შესახებ[4]. ამასვე გვაუწყებს ეპიფანე კვიპრელი: „რომელთა შეჰყვა ზმნაჲცა და შობათა-მეტყუელებაჲ, რომელ არს იმარმენი"[5]. ეფრემ მცირე ამის შესახებ წერს, რომ ფარისეველნი „შობისა დღესა იზმნიდეს". შობის დღეზე ბედის მკითხაობას თვლის ფარისეველთა დამახასიათებელ ნიშნად ტბელ აბუსერისძეც: „ფარისეველნი — შობის დღის მზმნელნი".

### I.3. „სამ — სადუკეველნი, აღდგომისა და სულთა და ანგელოზთა უვარისმყოფელნი".

სადუკეველთა პარტია ძირეულად განსხვავდებოდა ფარისეველთა სექტისაგან. ლიბერალიზმით გამორჩეული სადუკეველები უარყოფდნენ იუდეველთა ღვთივრჩეულობის იდეას და უპირატესობას ანიჭებდნენ ბერძნულ-რომაულ ცივილიზაციას. აქედან გამომდინარე, ფარისეველთათვის მისაღები იყო ბერძენ ფილოსოფოსთა მოძღვრება, რომელთანაც მრავალ თანხვედრას პოულობდნენ ბიბლიის ტექსტში[6]. სადუკეველნი ქრისტეს დაუცხრომელი მტრები იყვნენ (მათე 16.1,6-12; 22.23 და შემდგ.; მარკ. 8.15; 12.18 და შემდგ.; ლუკა 20.27). მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ ისინი დევნიდნენ იერუსალიმის ეკლესიას და პირველ ქრისტიანებს (საქმე 4.1).

სადუკეველები ფარისეველებისგან იმითაც განსხვავდებოდნენ, რომ უარყოფდნენ გარდამოცემას, ასევე ანგელოზთა და ეშმაკთა არსებობას, მკვდართა აღდგომასა და საიქიო ცხოვრებას. სწორედ ამ ნიშნით არიან ისინი დახასიათებულნი „სამოციქულოს განმარტებაში": „სადუკეველნი, უარისმყოფელნი მკუდართა აღდგომისა და ანგელოზთა და სულთა ყოფისანი". ამგვარადვე ახასიათებს სადუკეველებს ტბელ აბუსერისძე.

### I. 4. „დღითი-დღე ნათლისმღებელნი"

დღითი-დღე ნათლის-მღებელნი ანუ ჰემერობაპტისტები „ყოვლითუ-

4 იოანე დამასკელი, მწვალებლობათა შესახებ, ფ. ბურკაძის თარგმანი, წიგნში: სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, IV, თბ., 1992, გვ. 118.

5 ეპიფანე კვიპრელი, ოთხმეოცთა წვალებათათჳს, 15.

6 Новый Завет. С паралельными местами и приложениями, с. 590.

რთ ჰურიანი იყვნეს", ამბობს ეპიფანე კვიპრელი. ყველა იუდეველისაგან იმით განსხვავდებოდნენ, რომ მოითხოვდნენ ყოველდღიურ ნათლისღებას: „არცა ერთი ვინ მიმთხუევად არს ცხორებასა საუკუნესა, არათუ დღითი-დღე ნათელს-იღებდეს" — ამტკიცებდნენ ისინი[7]. აქედან მომდინარეობს მათი სახელწოდება.

### I. 4. „ხუთ — ოსინელნი, არმჯერნი წინასწარმეტყუელთა".

ოსინელთა სექტა გამოირჩეოდა იუდეველთა სჯულისადმი მორჩილებით, თუმცა „სხუათაცა რათმე უცხოთა წიგნთა შემოიღებდეს თჳნიერ შჯულისა და წინაჲსწარმეტყუელთა"[8]. გარდა ამისა, ოსინელნი უარყოფდნენ გვიანდელ წინასწარმეტყველთა უმრავლესობას: „ხოლო უმეტესსა შემდგომთა მათ წინასწარმეტყუელთასა განაგდებდეს"[9]. ამას გულისხმობს ტბელ აბუსერისძის სიტყვები — „ოსინელნი, არმჯერნი წინასწარმეტყუელთა".

### I. 4. „მეექუსედ — ნაზარეველნი, ჴორცისმჭამელთა მძაგნი და წინასწარმეტყუელთა არშემწყნარებელნი".

ნაზარეველნი კრძალავდნენ ხორცის ჭამას. როგორც ეპიფანე კვიპრელი გვაუწყებს, ისინი „სულიერისა არარაჲსა გემოს იხილვენ"[10]. ნაზარეველთა შესახებ ამგვარსავე ცნობას გვაწვდის ეფრემ მცირე: „ყოველსა ჴორცისა ჭამასა შეგინებულად შეჰრაცხიდეს" ამიტომ ეწოდებათ ნაზარეველებს საგალობელში „ჴორცის მჭამელთა მძაგნი".

გარდა ამისა, ნაზარეველნი პატივს მიაგებდნენ მხოლოდ იმ მამათმთავრებს, რომლებიც „ხუთწიგნეულში" არიან მოხსენებული. თანაც „ხუთწიგნეულს" ისინი არ მიიჩნევდნენ მოსე წინასწარმეტყველის მიერ დაწერილად. ეფრემ მცირის თქმით, ნაზარეველნი „წინაჲსწარმეტყუელთა არა შეიწყნარებდეს"[11].

7 ეპიფანე კვიპრელი, ოთხმეოცთა წვალებათათჳს, 17.
8 „განმარტება სამოციქულოსი", გვ. 192.
9 ეპიფანე კვიპრელი, ოთხმეოცთა წვალებათათჳს, 18.
10 იქვე, 19.
11 „განმარტება სამოციქულოსი", გვ. 192.

## I. 4. „შჯდ — ჰეროდიანნი, ჰეროდეს ქრისტედ მეტყუელნი“

იუდეველ ჰეროდიანთა პოლიტიკური პარტია ემხრობოდა ჰეროდეს სამეფო დინასტიას. რომაელთა ბატონობის შეწყნარებით ისინი იმედოვნებდნენ იმპერატორისაგან წყალობის მიღებას და ოდესმე პოლიტიკური ავტონომიის მიღწევასაც. იესო ქრისტეში ჰეროდიანნი იმპერატორის ტახტის პრეტენდენტს ხედავდნენ, რომელსაც შეეძლო, ხელი შეეშალა მათი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის, ამიტომ მტრობდნენ მას[12].

ჰეროდიანნი ამტკიცებდნენ, რომ ქრისტეს და მესიის პატივი უნდა მიეგოთ ჰეროდესთვის — „იტყოდეს, ვითარმედ იგი არს ქრისტე“ თავის მხრივ, ამის საბაბს ჰეროდეც იძლეოდა, რადგან მან „სამღდელთ-მოძღურობ შესამოსელი შეიმოსა“[13].

## I. 4. „ესე — ძუელ, აწ ახალნი იტყოდედ“.

ტბელ აბუსერისძე ძველ წვალებებში გულისხმობს ებრაელთა შვიდ სექტას, ხოლო ახალში — ქრისტიანულ ერესებს. სიტყვა „ძველი“ ამასთანავე შეესაბამება „ძველი აღთქმის“ ეპოქას, ისევე როგორც „ახალი“ — „ახალი აღთქმის“ ეპოქას.

ეპიფანე კვიპრელის „ოთხმეოცთა წვალებათაგან“ განსხვავებით, ტბელ აბუსერისძის „გალობანში“ ძველ ერესებს შორის არ იგულისხმება: ბარბაროსობა, სკვითობა, წარმართობა, იუდაიზმი, პითაგორელობა, პლატონიზმი, სტოიციზმი და ეპიკურიზმი[14].

პიმნოგრაფიულ კანონში ახალი აღთქმის წვალებათა ისტორია გნოსტიციზმით იწყება, რომლის მამამთავარია სიმონ მოგვი.

### გნოსტიციზმი

გნოსტიციზმი I-II საუკუნეების ძირითად ერეტიკულ მიმდინარეობას

---

12 Новый Завет. С паралельными местами и приложениями, с. 591.

13 ეპიფანე კვიპრელი, ოთხმეოცთა წვალებათათჳს, 20.

14 იქვე, 1-6.

წარმოადგენდა. გნოსტიკოსები იყვნენ იუდეველებიც — ებიონიტების და კერინთოსის მოწაფეების მსგავსად; წარმართებიც — ბასილიდეს მსგავსად; გახრწნილი ცხოვრების მიმდევრებიც — ნიკოლაიტთა და კარპოკრატიანელთა მსგავსად. იყვნენ ისეთი გნოსტიკოსები, რომლებიც ასწავლიდნენ უგუნურ უაზრობას — კაინიტების და ოფიტების მსგავსად; სიძულვილით უარყოფდნენ ძველ აღთქმას და ძველი აღთქმის ღმერთში ხედავდნენ გაბოროტებულ დემიურგს — მარკიონის მსგავსად; არსებობდნენ ზოგადი განათლების და განვითარებული წარმოსახვის მქონე გნოსტიკოსებიც — ვალენტინეს მსგავსად; ყველა ეს სექტა პრეტენზიას აცხადებდა განსაკუთრებულ, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ ცოდნაზე. ამიტომ ერთიანდებოდნენ ისინი გნოსტიკოსთა საერთო სახელწოდებით[15].

გვიანანტიკური პერიოდის ფილოსოფიაში, როგორც ეს კლიმენტი ალექსანდრიელის „სტრომატებშია“ ნათქვამი, გამოიყოფოდა ცოდნის რამდენიმე სახე: სინამდვილის მეცნიერული ცოდნა επιστημη, „გამოცდილებისეული“ შემეცნება εμπειρια, სახეობითი (სახეების განმასხვავებელი) შემეცნება ειδεσις, „შემდარებლობითი“ ცოდნა συνεσις და „გონისმიერი“ ცოდნა, გონებით ჭვრეტა νοεσις. მათი მომცველია ცოდნის უმაღლესი სახე Γνωσις-ი, რომელსაც შეუძლია საგნის არსში ჩაწვდომა[16]. გნოსისს ქრისტიანულ სისტემაში ყოველთვის ეკავა გამორჩეული ადგილი, განსაკუთრებით, გნოსტიციზმში, რომლის წარმომადგენლები ცოდნას რწმენაზე მაღლა აყენებდნენ. ნიშანდობლივია, რომ სწორედ მათ მიითვისეს გნოსისის, ჭეშმარიტი ცოდნის მატარებელთა წოდება. სინამდვილეში, გნოსტიკოსებმა შექმნეს შერეული ქრისტიანობა. ისინი ქადაგებდნენ სხვა ქრისტეს და სხვა სახარებას.

გნოსტიკოსები ანტიკურ ფილოსოფიაზე დაყრდნობით იესო ქრისტეს და სული წმიდას ღვთაების ემანაციად მიიჩნევდნენ და მათ ღმერთზე დაბლა აყენებდნენ. მათი ერთი ნაწილი (სატორნილოსი, ბასილიდე და ვალენტინე) ეკუთვნოდა ქრისტოლოგიურ ერესებს. მეორე ნაწილი კი (კერინთი და მარკიონი) ავითარებდა ანტიტრინიტარულ იდეებს[17]

15 **F. W. Farrar.** Lives of the Fathers. P. 196.

16 **В. В. Бычков.** Эстетика поздней античности (II-III вв.). М., 1981, с. 117-118.

17 Догматика Православне Цркве, од јеромонаха Др. **Јустина**| Београд, 1980: I, с. 181-184; II, с. 224-227.

I. 5. „კლავდის კეისრის
ზე იყო სჳმონ
ბოროტი, თავსა თჳსსა ქრისტედ მეტყუელი"

გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფზე" დაყრდნობით, ტბელ აბუსერისძე სიმონ მოგვის ცხოვრებას კლავდიუს კეისრის ზეობით (41-54 წწ.) ათარიღებს.

სიმონ მოგვი (I ს.) — პეტრე მოციქულის ანტაგონისტი. ადრევე ეწეოდა გრძნეულებას და აოცებდა სამარიელ ხალხს, რის გამოც დიდი „ღვთიური ძალის" სახელიც კი მოიხვეჭა. სიმონი ქრისტიანულად ფილიპე მოციქულმა მონათლა. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს პეტრე და იოანე მოციქულებმა, რომელთა ლოცვითა და ხელდასხმით მონათლულ სამარიელებზე სული წმიდა გადადიოდა. სიმონ მოგვმა ამგვარი მადლის მოხვეჭა ქრთამით დააპირა და მოციქულებს ფული მიუტანა, რის გამოც წმ. პეტრემ შეაჩვენა ის (საქმე 8.9-24). აქედან მომდინარეობს ტერმინი „სიმონია" — საეკლესიო თანამდებობების ყიდვა-გაყიდვის პრაქტიკა. ნიშანდობლივია, რომ სიმონიის წინააღმდეგ მიმართული კანონი პეტრე მოციქულს ეკუთვნის (მოციქულთა 29-ე კანონი)[18].

სიმონ მოგვის შემდგომი ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს პეტრე მოციქულის „მიმოსვლა" რომში. აპოკრიფულ საკითხავთა ამ ციკლში ღრმავდება მოციქულისა და მოგვის პაექრობის მოტივი. მაგალითად, ერთ-ერთი ეპიზოდი შეეხება სიმონ მოგვის ძაღლს: „ესე იყო პირველი საკჳრველებაჲ, რომელი განაკრთობდა შემავალთა მისა მიმართ. ხოლო პეტრე, იხილა-რაჲ ძაღლისა მის ეგოდენი სიდიდე და ველურებაჲ სახისაჲ... განჴსნა იგი და ჰრქუა: „შევედ სიმონისა და არქუ მას კაცობრივითა ჴმითა: „პეტრეს, მონასა ქრისტჱსსა, შენდა მომართ შემოსლვაჲ ჰნებავს". და ვითარ მყის სრბით შევიდა ძაღლი იგი და თქუა ესრეთ, განცჳფრდეს სიმონისთანანი... რომელთა მიმართ თქუა სიმონ: „ესე ნუ უცხო გიჩნს თქუენ, რომელი მეცა ვყო აწ". და მიუწოდა ძაღლსა მას და ეგრეთვე უბრძანა, რათა თქუას კაცობრივითა ჴმითა პეტრეს შესლვაჲ... ინება რაჲ სიმონ სწორყოფაჲ მისი საკჳრველთ-მოქმედებითა, სძლო პეტრე კურნებათა

18 იხ. დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადა ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1973, გვ. 218.

ალსრულებითა, და მრავალთა პრწმენა და ნათელ-იღეს"[19]

სიმონ მოგვს პეტრე მოციქულმა „დასაბამი ახალთა წვალებათაჲ" უწოდა[20], ამიტომ ქრისტიან მწვალებელთა ჩამონათვალში ის ყოველთვის პირველ ადგილზე დგას, როგორც „დასაბამი ყოვლისა წვალებისაჲ"[21] და „პირველი მწვალებელი"[22].

სიმონ მოგვის მიმდევრები „სიმონიანებად" იწოდებოდნენ. ტბელ ხბუსერისძე მათ სიმონ მოგვის „მიმდგომებად" იხსენიებს. ესენი არიან: მანენდრო და კირინთისი. საგალობელში მათ გვერდით დასახელებული არიან პირველდიაკონი ნიკოლაოზი და I-II საუკუნეების სხვა მწვალებლები — ძირითადად გნოსტიკოსები:

I. 5. „ანდრიანეს ზე მყოფნი:
უვალენტიანონ,
კერდონ, მარკიონ,
მუნტანი, სატორნილოს, კარპუკრატი, აკჳლა".

მანენდროს (I ს.) — მენანდრე, სიმონ მოგვის მიმდევარი. იუსტინე ფილოსოფოსის ცნობით, ის სამარიტელი იყო და სახელი გაითქვა ანტიოქიაში, სადაც მრავალი აცდუნა თავისი მაგიური ხელოვნებით[23]. მენანდრემ საფუძველი ჩაუყარა მენანდრიანელთა სექტას. მათ შესახებ ეპიფანე კვიპრელი ძუნწ ცნობებს გვაწვდის: „სიმონის გამო მენანდროჲს ვისგანმე იწყეს და განყოფილ იყვნეს სიმონიანთაგან რაჲთამე; რომელნიიგი ანგელოზთაგან იტყოდეს სოფელსა შექმნულად" (22).

კირინთისი (I-II ს.) — კერინთოსი, ეგვიპტელი გნოსტიკოსი, იოანე მახარებლის თანამედროვე. მის მოძღვრებას გადმოგვცემს ირინეოს ლიონელი: კერინთოსი განასხვავებდა უზენაეს ღმერთს, დემიურგსა და მიწიერ იესოს. მისი მტკიცებით, „იესო ქალწულს არ უშვია, რადგან ეს შეუძლებელია, ის

19 გიორგი ამარტოლი, ხრონოგრაფი, გვ. 183-184.
20 იქვე, გვ. 188.
21 მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები, X საუკუნე, წიგნი II, ტექსტი გადმოწერა დედნიდან და გამოსცა ვ. გვახარიამ, თბ., 1978, გვ. 539.
22 მ. რაფავა, უცნობი ავტორის ანტიმონოფიზიტური ტრაქტატი. — მაცნე (ელს), №1, 1975, გვ. 28.
23 **Justinus Martyr**. Apologia I 26,4.

იოსების და მარიამის ძეა, ყველასაგან გამორჩეული სამართლიანობით, კეთილგონიერებით და სიბრძნით. ნათლისღების დროს უმაღლესი პირველსაწყისისაგან მასზე ქრისტე გადმოვიდა მტრედის სახით, რის შემდეგაც დაიწყო შეუცნობელი მამის ცხადყოფა და სასწაულმოქმედებები. ბოლოს ქრისტემ დატოვა იესო, რომელიც მარტო ევნო და აღდგა, ქრისტეს კი, როგორც სულიერი ბუნების მქონეს, ტანჯვა არ შეხებია"[24].

ნიკოლაოზი (I ს.) — ანტიოქიელი მწირი, ერთ-ერთი შვიდ დიაკონს შორის, რომლებიც მოციქულებმა ქვრივ-ობოლთა მომსახურებისათვის აირჩიეს (საქმე 6.5). ნიკოლაოზი ისეთივე გამცემი აღმოჩნდა დიაკონთა შორის, როგორც იუდა — მოციქულთა შორის. თავისი ცოლის შურის გამო, ის უკეთურების გზას დაადგა, რადგან სიძვას ცოდვად არ მიიჩნევდა. მისმა მიმდევრებმა შექმნეს ნიკოლაიტთა სექტა. ნიკოლაიტები ორგზის იხსენიებიან „იოანეს გამოცხადებაში" (2.6,15). მათი მემკვიდრეები იყვნენ სირო-ქალდეველი გნოსტიკოსები.

უვალენტიანონ (II ს.) — ვალენტინე, ეგვიპტელი (ალექსანდრიელი) გნოსტიკოსი. გნოსტიკური ფილოსოფიის ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელი. მოღვაწეობა ალექსანდრიაში დაიწყო. 130-160 წლებს შორის ასწავლიდა რომში. რომის ქრისტიანულმა საზოგადოებამ ვალენტინეს მოძღვრება არ მიიღო, მაგრამ ეგვიპტეში, მცირე აზიასა და იტალიის ზოგიერთ ქალაქში მას მრავალი მომხრე ჰყავდა[25]. მისი ფილოსოფიურ-მითოლოგიური სისტემის საფუძველია რაღაც შეუცნობელი, ყოველმხრივ განურჩეველი და გაუფორმებელი აბსოლუტური „სისავსის" (ბერძნ. πλήρωμα) აღიარება, რომლისგანაც წარმოდგება 30 „ეონი" (ბერძნ. αιων — „მარადარსებული"). ამით ამოიწურება ვალენტინეს მოძღვრება „სისავსის" შესახებ. ეონებს შორის გვხვდება სხვადასხვა სახის აბსტრაქტულ-მითოლოგიური არსებები, რომელთა ურთიერთდამოკიდებულებანი ქმნიან ერთიან კოსმოგონიას: გამოუთქმელისა და დუმილის ეონები შობენ მამისა და ჭეშმარიტების წყვილს; მათგან მომდინარეობენ სიტყვისა და სიცოცხლის, ადამიანისა და ეკლესიის წყვილები; სიტყვა და სიცოცხლე წარმოშობენ ათ ძალას, ადამიანი და ეკლესია — თორმეტს[26].

---

24 **Irenaues.** Adversus haereses. I 26,1.

25 **И. С. Свенцицкая.** Тайные писания древних христиан. М., 1980, с.135.

26 **Я. А. Ленцман.** Происхождение христианства. М., 1958, с. 251-252.

ვალენტინეს სწავლებით, ტრანსცენდენციასა და მატერიას შორის შუამავალია დემიურგი (δημιουργός — თავდაპირველი მნიშვნელობით [„ხალხისთვის მქმნელი"), რომლის შინაარსიც გნოსტიციზმში დამამცირებელ [ელფერს იძენს და აღნიშნავს „ხელოსანს", „მშენებელს", ვისი შრომაც არ მოითხოვს გონებრივ შრომას. სამყაროს შესაქმის ვალენტინესეულ კონცეფციას ირინეოსი ამგვარად გადმოგვცემს: „დემიურგს ყველაფერი მისი შექმნილი ეგონა, მაგრამ მან ცა ისე შექმნა, რომ არ იცოდა, რა იყო ცა; მან შექმნა ადამიანი, მაგრამ არ იცოდა, რა იყო ადამიანი; შექმნა მიწა, მაგრამ არ იცოდა, რა იყო მიწა. ასე შექმნა ყველაფერი და არ იცოდა იმის იდეა, რასაც ქმნიდა"[27]

სამყაროს ვალენტინესეული გაგება დუალისტურია. მისი წარმოდგენით, ქრისტე ზეციდან მოვლენილი სულიერი სუბსტანციაა, რომელიც მარიამის სხეულის გავლით მოევლინა კაცობრიობას. რაც შეეხება დემიურგს, ის მოკლებულია ამგვარ სუბსტანციას, ამიტომაც არის დემიურგის მიერ შექმნილი მატერიალური სამყარო ბოროტებისა და ცოდვის წყარო. ა. ლოსევის შეფასებით, ვალენტინეს მოძღვრება ქრისტიანობის წარმართულ მითოლოგიზაციას წარმოადგენს, ის არის ერთგვარი გარდამავალი რგოლი წარმართობასა და ქრისტიანობას შორის[28]

კერდონ (I ს. ბოლო — II ს. დასაწყისი) — მცირეაზიელი გნოსტიკოსი, სიმონიანთა სექტის მიმდევარი. მისი სწავლების მიხედვით, ძველი აღთქმის ღმერთი არ არის იესო ქრისტეს მამა, რადგან ის მკაცრი და მრისხანეა, ახალი აღთქმის ღმერთი კი — მოწყალე და კეთილი. ამის შესაბამისად, კერდონი ორ მარადიულ საწყისს აღიარებდა. მისი წარმოდგენით, სამყაროსა და ძველი აღთქმის შემოქმედი ბოროტი საწყისი იყო, ხოლო ახალი აღთქმის წყარო — კეთილი საწყისი.

კერდონი თვლიდა, რომ იესო ქრისტეს აჩრდილისებური სხეული ჰქონდა. ადამიანთა მომავალი აღდგომაც მას წარმოედგინა, როგორც სულის აღდგომა სხეულის გარეშე. რომის პაპმა ჰიგინიუსმა (136-140) კერდონი ეკლესიიდან განკვეთა.

მარკიონი (80-155) — გნოსტიციზმის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი. მის შესახებ ერესიოლოგებმა მრავალი ცნობა შემოგვინახეს.

27 **Irenaues.** Adversus haereses. I 5,12.

28 **А. Лосев.** Валентин // Философская энциклопедия, т. 1, М., 1960, с. 223.

ტერტულიანემ (160-220) დაწერა სპეციალური ანტიერეტიკული თხზულება, რომელშიც მარკიონს — სინოპის ეპისკოპოსის შვილსა და მდიდარ პონტოელ გემთმფლობელს ირონიულად „ევქსინის ზღვის შტურმანი" უწოდა[29]

140 წელს მარკიონი მშობლიური პონტოდან რომში გადავიდა, რადგან მამამ ის უღირსი საქციელის თუ რელიგიური იდეების გამო ეკლესიიდან განდევნა. რომში ჩასვლისთანავე მარკიონმა მთელი თავისი ქონება ეკლესიას გადასცა და მალე გაითქვა სახელი ახალი იდეებით და მკაცრი ასკეტიზმის ქადაგებით (კრძალავდა ქორწინებას და ხორცის მიღებას)[30]

მარკიონის მოძღვრებაში გამორჩეული მოტივი იყო, არ ჩაესხათ ახალი ღვინო ძველ ტიკებში (შდრ.: ლუკა 5.37). ის უარყოფდა ძველ აღთქმას, რადგან მასში ქვეყნის შემოქმედი დაუნდობელი და არასრულყოფილია. ძველი აღთქმის კრიტიკას ეძღვნებოდა მარკიონის ნაშრომი „ანტითეზები". ახალი აღთქმიდან მარკიონი ცნობდა მხოლოდ ლუკას სახარებას და პავლე მოციქულის ათ ეპისტოლეს, რომელთა შესახებაც უძველესი მოწმობა სწორედ მას ეკუთვნის. აქედან გამომდინარე, მარკიონს ახალი აღთქმის შემდგენელთა წინამორბედად მიიჩნევენ[31]

მარკიონი ქადაგებდა ე. წ. დოკეტიზმს. ამ სწავლების მიხედვით, ქრისტემ მიიღო მხოლოდ „მოჩვენებითი სხეული" და გოლგოთაზე ასევე მოჩვენებითად ეწამა. ამგვარი საეჭვო იდეების გამო, რომის ეკლესიის უხუცესებმა მარკიონს თავისი ქონება დაუბრუნეს და 144 წელს ეკლესიიდან განკვეთეს.

მ. თამარაშვილი მიიჩნევს, რომ მარკიონი პონტოს სამეფოდან განდევნამდე დასავლეთ საქართველოს უძველესი ქალაქის, ფაზისის ეპისკოპოსი იყო[32].

## მონტანი და მონტანიზმი

მუნტანი (მონტანი) გნოსტიციზმის შემდეგ ყველაზე მასობრივი ერეტიკული მიმდინარეობის — მონტანიზმის ფუძემდებელია. ის მიზიის დაბა არტაბში დაიბადა. თავდაპირველად ღმერთქალ კიბელას ქურუმი იყო ფრიგიაში (მცირე აზია), სადაც ერთ-ერთი მისტერიის დროს თავი

29 **Я. А. Ленцман.** Происхождение христианства. с. 254.

30 **В. В. Болотов.** Лекции по истории древней церкви, т. 2, СПб., 1910, с. 226-230.

31 **Р. Ю. Виппер.** Рим и раннее христианство. М., 1954, с. 230.

32 მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 190.

დაისაჭურისა. 156 წელს ქრისტიანულად მოინათლა. ქადაგებდა ცოცხალ კავშირს ღვთაებასთან სული წმიდის განსაკუთრებულ ნიჭთა (ქარიზმათა) მეშვეობით. მისი განუყოფელი თანამგზავრები იყვნენ წინასწარმეტყველი ქალები — პრისკილა დ მაქსიმილა, რომლებიც სხვა მონტანისტებთან ერთად თავიანთ ბელადს „ნუგეშისმცემელ სულად" ანუ პარაკლეტად, იმავე სულიწმიდად (შდრ.: იოანე 15.26) აცხადებდნენ, ამიტომ „ნათელს-სცემდნენ მამისა მიმართ და ძისა და მონტანისსა"

წარმოშობის ადგილის მიხედვით, მონტანისტებს ძველ წყაროებში ფრიგიელები ან კატაფრიგიელები ეწოდებოდათ. მათ პეპუზიტებსაც უწოდებდნენ, რადგან ქრისტეს მეორედ მოსვლის ადგილად მიიჩნევდნენ მცირე აზიის პატარა ქალაქ პეპუზას. ევსები კესარიელის ცნობით, მათ თავიანთი „წმინდა" წიგნებიც ჰქონდათ: მონტანის ოდები, ფსალმუნები, ფემიზონის ეპისტოლეები და მაქსიმილას წინასწარმეტყველებანი[33].

მონტანიზმი იყო უკიდურესი რეაქცია გნოსტიციზმის წინააღმდეგ. გნოსტიციზმი ცდილობდა ქრისტიანობაში შემოეტანა წარმართული ფილოსოფიური წარმოდგენები, მონტანიზმი კი საერთოდ უარყოფდა ფილოსოფიას. მონტანის, პრისკილას და მაქსიმილას ეგზალტირებული გამოსვლები მონტანიზმში წმინდა წერილის ავტორიტეტით სარგებლობდა. მოკლე დროის განმავლობაში ფრიგიელთა ერესი ისე ფართოდ გავრცელდა, რომ მოიცვა რომის იმპერია, გალია, ბალკანეთი და ჩრდილოეთი აფრიკა, სადაც „ახალმა წინასწარმეტყველებმა" მიიმხრეს განთქმული აპოლოგეტი, გნოსტიკოსთა დაუძინებელი მტერი ტერტულიანე[34].

ყოველგვარი იერარქიისა და ღვთისმსახურების ფორმის უარყოფით მონტანის მიმდევრები ეკლესიას უპირისპირდებოდნენ. ამიტომ ნიშანდობლივია, რომ ეპისკოპოსთა პირველი კრებები სწორედ მონტანისტების წინააღმდეგ იქნა მოწვეული. მოგვიანებით მონტანიზმი დაგმო ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ. მიუხედავად ამისა, ეს სექტა არსებობას განაგრძობდა VI საუკუნემდე, როცა იუსტინიანემ მწვალებელთა სასტიკი დევნა დაიწყო. პროკოფი კესარიელი გვაუწყებს, რომ ამ დროს ფრიგიაში მცხოვრები მონტანისტები „თავიანთ ტაძრებში ჩაიკეტნენ, ტაძრებს ცეცხლი წაუკიდეს და ასე დაიღუპნენ თავიანთ უგუნურებას აყოლილნი"[35].

33 **Eusebii Pamphili**. Historia Ecclesiastica. V.16-19.

34 **А. Донини**. У истоков христианства. М., 1989. с. 151.

35 პროკოფი კესარიელი, საიდუმლო ისტორია, თარგმნა ნ. ეფრემიძემ, თბ., 1989, გვ. 57.

სატორნილოს (II ს.) — სირიული გნოსტიციზმის ფუძემდებელი. ისევე როგორც მენანდრე, ასწავლიდა ერთი და შეუცნობელი მამის შესახებ, რომელმაც შექმნა სამყაროსა და ადამიანის შემოქმედი ანგელოზები. სატორნილოსის მიხედვით, შეუცნობელი მამის ხატად და მსგავსად შექმნილმა ჭიასავით უმწეო ადამიანმა თავდაპირველად ფეხზე წამოდგომა ვერ შეძლო, რადგან ამის ძალა ანგელოზებმა ვერ მიანიჭეს. მაშინ ღმერთმა ადამიანს „სიცოცხლის ნაპერწკალი" გაუგზავნა, რამაც ის ფეხზე დააყენა და გააცოცხლა[36].

სატორნილოსის ქრისტოლოგიით, მაცხოვარი უშობელი, უსხეულო და უფორმოა, თუმცა ის მოგვევლინა ადამიანის სახით. მისი თქმით, იუდეველთა ღმერთი იყო ერთ-ერთი ანგელოზთაგანი და რადგანაც არქონტებს სურდათ მამის განადგურება, ქრისტეს მოსვლის მიზანს შეადგენდა იუდეველთა ღმერთთან ბრძოლა და იმათი ხსნა, ვისშიც ცოცხლობდა მამის ნაპერწკალი. სატორნილოსი ასწავლიდა, რომ არსებობს ადამიანთა ორი ტიპი: ბოროტთა მოდგმა, რომელსაც ეშმაკი შეეწევა და კეთილთა მოდგმა, რომელთა გადასარჩენადაც მოვიდა ქრისტე. მისი მიმდევრები ეშმაკის საქმედ აცხადებდნენ შეუღლებას და მშობიარობას. გარდა ამისა, თავს არიდებდნენ ხორცის ჭამას და მრავალს აცთუნებდნენ ამგვარი მოჩვენებითი უბიწოებით[37]

კარპოკრატი (II ს.) — ალექსანდრიელი გნოსტიკოსი. მის სახელთან არის დაკავშირებული ყველაზე ძველი გნოსტიკური სკოლის დარსება[38]. ევსები კესარიელი მას „გნოსტიკოსთა წვალების მამამთავარს" უწოდებს („საეკლესიო ისტორია" IV.7). ეპიფანე კვიპრელის ცნობით, კარპოკრატე „ასწავებდა ყოველსავე ხენეშის-მოქმედებასა (ე. ი. ურცხვინო ქმედების) აღსრულებად და საქმედ ყოველსავე საქმესა ცოდვისასა. და იტყოდა, ვითარმედ: უკუეთუ ვინმე არ მოვლოს ყოველი სახე ცოდვისაჲ და ნებაჲ ყოველთა ეშმაკთა და კაცთაჲ აღასრულოს, ვერ უძლოს აღსლვად ზემოსა ცათა ცათა" (27). კარპოკრატი უარყოფდა ძველ აღთქმას და მკვდართა აღდგომას.

---

36 **Irenaues.** Adversus haereses. I 24,1.

37 იქვე, I 24,2.

38 **В. В. Болотов.** Лекции по истории древней церкви, т. 2, с. 224.

აკვილა (I ს. ბოლო — II ს. დასაწყისი) — რომაელი მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე. იუდეველი პროზელიტი, რომელმაც ბერძნულ ენაზე თარგმნა ძველი აღთქმა. ბიბლიის მისეული თარგმანი ემყარებოდა რაბინისტულ განმარტებებს და ეწინააღმდეგებოდა სეპტუაგინტაში არსებულ წინასწარმეტყველებებს ქრისტეს შესახებ. აკვილას თარგმანი გამოჩნდა 129 წელს. ჩვენამდე მოაღწია მისმა ფრაგმენტებმა, რომელთა ერთი ნაწილი ორიგენეს „ჰეგზაპლებშია" დაცული, მეორე ნაწილი კი პალიმფსესტებში აღმოჩნდა.

## *III გალობა*

III. 1. „ანტონინეს ზე იყვნეს შუჩუენებულნი
ტატიანე, ვარდისან
და პრისკილა და მაქსიმილა
— ცრუწინასწარმეტყუელნი დედანი".

„გალობანის" ეს ადგილი ემყარება გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფის" ქართულ თარგმანს: „მერმე შემდგომად ანდრიანესსა მეფე იქმნა ანტონინოს ოც და ორ წელ. რომლისა ზე პოლჳკარპოს, მოწაფე იოვანე მახარებლისაჲ, და იუსტინოს ფილოსოფოსი და დიონჳსი ეპისკოპოსი კორინთისაჲ იწამნეს, და ტატიანე და ვარდისანი წვალებისმთავარნი და პრისკილლა და მაქსიმილლა ცრუწინაჲსწარმეტყუჱლნი დედანი ფრჳგიით კერძოთა ადგილთა შინა იცნობებოდეს"[39]

იმპერატორი ანტონინე მეფობდა 138-161 წლებში.

ტატიანე (120-180) — ტატიანე სირიელი, აპოლოგეტური მწერლობის ცნობილი წარმომადგენელი. ბევრს მოგზაურობდა აღმოსავლეთსა და დასავლეთში. კარგად შეისწავლა ანტიკური მითოლოგია, ფილოსოფია, ისტორია და ლიტერატურა. რომში ქრისტიანები და მათი ლიტერატურა გაიცნო. აქვე დაემოწაფა იუსტინე ფილოსოფოსს, რომელთან ერთადაც მრავალი დევნა დაითმინა. იუსტინეს წამების შემდეგ, 172 წელს აღმოსავლეთში დაბრუნდა და მიემხრო ენკრატიტთა გნოსტიკურ სექტას. ტატიანე, მარკიონელთა მსგავსად ქადაგებდა მკაცრ ასკეტიზმს, კრძალავდა ქორწინებას, ასევე ხორცისა და ღვინის მიღებას. ზიარების დროს ღვინის

39 გიორგი ამარტოლი, „ხრონოგრაფი, გვ. 234.

ნაცვლად წყლის გამოყენებას მოითხოვდა, ამიტომ მის მიმდევრებს წყლისშემწირველნი (ὑδροπαραστάται) და აკვარიანები ეწოდებოდათ. პოპულარობით სარგებლობდა მისი ნაწარმოებები „სიტყვა ელინთა წინააღმდეგ" და „დიატესარონი".

აღსანიშნავია, რომ ადრეული ქრისტიანობის ცნობილმა მკვლევარმა ხდოლფ ჰარნაკმა „დიატესარონის" გავლენის კვალი ივარაუდა VI საუკუნის ქართულ ჰაგიოგრაფილ თხზულებაში „ევსტათი მცხეთელის წამებაში"[40].

ვარდისანი (154-225) — ბარდესან ედესელი, ბიბლიის სირიულ ენაზე მთარგმნელი და რელიგიური ჰიმნების ავტორი. ეპიფანე კვიპრელის მოწმობით, „პირველად იყო... ჭეშმარიტისა სარწმუნოებისაჲ და ფილოსოფოსობითა იყო ბრწყინვალე. ხოლო მიდრკა ჭეშმარიტებისაგან და მსგავსად უალენტინიანესსა შჯულდვა" (56). ბარდესანის დუალისტური მოძღვრების მიხედვით, ადამიანს მართავს ორი მამოძრავებელი ძალა: სულიერი და მატერიალური. სულიერი შობს საღვთო სიბრძნეს, ხოლო მატერიალური — ემორჩილება ბედს. ბარდესანი, ვალენტინეს მსგავსად, ქრისტეს აჩრდილად მიიჩნევდა და უარყოფდა მკვდართა აღდგომას.

პრისკილა (II ს.) — მონტანის მიმდევარი ქალი. ცნობილი იყო თავისი ცრუ წინასწარმეტყველებებით. ქადაგებდა ქვეყნის აღსასრულის მოახლოებას და ქრისტეს ძლევამოსილ დაბრუნებას მეორე „იერუსალიმში" — ქალაქ პეპუზაში.

მაქსიმილა (გარდ. 179) — მცირეაზიელი მონტანისტი. თავის თავს უკანასკნელ წინასწარმეტყველად აცხადებდა, რადგან, მისი აზრით, ქვეყნის აღსასრული მალე უნდა დამდგარიყო. ქრისტეს მეორედ მოსვლის სავარაუდო თარიღად მაქსიმილა 176 წელს ასახელებდა. ამ დროს ელოდა ის ახალი იერუსალიმის ჩამოსვლას დაბლობზე, სადაც ქალაქი პეპუზა იყო გაშენებული[41].

---

40 Das Martyrium des heiligen Eustatius von Mzcheta, aus dem georgischen übersetzt von **Dschawachoff**. Vorgelegt und bearbeitet von Hrn. **Harnack** // Sitzungsberichte der Königlich-Preussischen Akademie der Wissenschaften zu Berlin. Gesammtsitzung vom 25 Iuli, 1901, XXXVIII, S. 26.

41 **А. Донини**. У истоков христианства. с. 152.

III. 1. „კომოდ მეფისა ზე იყვნეს: თეოდოტოს და თეოდოტონ — პირველ დამწყებელნი პავლე სამოსატელისა და ნისტორის წვალებისანი“.

კომოდ მეფე — ანტონინების დინასტიის უკანასკნელი იმპერატორი კომოდუსი (180-192).

ტბელ აბუსერისძე იმეორებს „ხრონოგრაფის“ ცნობას: „მერმე შემდგომად ვიროჱსსა მეფე იქმნა კომოდ, ძმაჲ მისი, ათორმეტ წელ და გარდარეულებითა სისხლისა და ნაღვლისაჲთა იჩქითად მოკუდა. რომლისა ზე თეოდოტოს უპირატეს დამწყებელი პავლე სამუსატელისა და ნისტორის წვალებისაჲ და თეოდოტონ იცნობებოდეს“[42].

## მონარქიანიზმი

ამ სწავლების მიმდევრები ამბობდნენ: monarchiam tenemus, ე. ი. „თაყვანს ვცემთ მონარქიას“. არსებობდა მონარქიანიზმის ორი სახეობა: დინამიზმი და მოდალიზმი. დინამისტები ლოგოსს მიიჩნევდნენ არაჰიპოსტასურ საღვთო ძალად. აქედან მომდინარეობს მათი სახელწოდება (δυναμις — ბერძნ. „ძალა“). დინამისტები „თეოდოტიანელებადაც“ იწოდებოდნენ, მათი ერესიარქის — თეოდოტი ბიზანტიელის სახელის მიხედვით. დასავლეთში მონარქიანელი დინამისტები ადოპტაციონისტებად (Adoptare — ლათ. შვილად მიღება) იწოდებიან. დინამიზმის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია პავლე სამოსატელი.

მოდალისტებს (modus — ლათ. „სახე“, „ზომა“) ღმერთი მონადად მიაჩნდათ, რომელსაც აქვს სამი ასპექტი და მოდუსი. ამ მიმდინარეობის ფუძემდებელია ნოეტი, რომელიც მცირე აზიაში (სმირნაში) ქადაგებდა. შემდგომში მოდალიზმის ცენტრმა რომში გადაინაცვლა და დასრულებული სახე მიიღო რომაელი ხუცესის საბელიოსის სწავლებაში.

თეოდოტოს (II ს. ბოლო — III ს. დასაწყისი) — თეოდოტი ბიზანტიელი, „მეტყავე“, პირველი დინამისტი. თავდაპირველად ეკუთვნოდა ალოგთა სექტას, რომელიც უარყოფდა იოანეს სახარებას და

---

42 გიორგი ამარტოლი, ხრონოგრაფი, გვ. 234.

გამოცხადებას. განსწავლული იყო ანტიკურ ფილოსოფიაში. ქრისტიანთა დევნის დროს „დაეცა იგი ოდენ მარტოდ და სხუანი იწამნეს ღმრთისათჳს" — წერს ეპიფანე კვიპრელი. დაცემის შემდეგ, 192 წელს თეოდოტი რომში გადავიდა და დაიწყო დინამიზმის იდეათა ქადაგება.

თეოდოტის მტკიცებით, ქრისტე უბრალო ადამიანია — ψιλος ανθρωπος, რომელიც ღვთის განსაკუთრებული წყალობით იშვა ქალწულის მიერ და ამდენად, ის არ არის ხორცშესხმული ზეციური არსება. ღვთისმოსაობის გამო მას მიენიჭა უმაღლესი ძალმოსილება და გახდა ქრისტე, ღმერთი კი ის არასოდეს ყოფილა[43]

თეოდოტოსი შეაჩვენა პაპმა ვიქტორ I-მა (189-199). ეს არის ისტორიაში ერთ-ერთი პირველი სარწმუნოდ დამოწმებული შემთხვევა ქრისტიანის ეკლესიიდან განკვეთისა.

თეოდოტონ (II ს. ბოლო — III ს. დასაწყისი) — „ბანკირად" წოდებული, თეოდოტი ბიზანტიელის მოწაფე. აღმოსავლეთიდან რომში გადასულ მეორე თეოდოტიანელთან — ასკლეპიოდოტთან ერთად აცდუნა რომაელი აღმსარებელი ნატალისი და ფულადი ჯილდოს სანაცვლოდ (თვეში 150 დინარი) მიაღებინა თავიანთი პარტიის ეპისკოპოსობა. ნატალისმა ეპისკოპოსად დიდხანს ვერ გაძლო და ხილვებით გამოფხიზლებული ჩამოცილდა თეოდოტიანელებს. თავისი საქციელის საჯაროდ მონანიების შემდეგ ის ეკლესიაში დააბრუნა პაპმა ზეფირონმა[44]

თეოდოტი ბანკირი განასხვავებდა უმაღლეს და უდაბლეს ქრისტეს. პირველს ის უწოდებდა მელქისედეკს, რომელიც შუამდგომლად წარმოედგინა ანგელოზებსა და ღმერთს შორის; მეორე — სახარებისეულ ქრისტეს თეოდოტი მიიჩნევდა უბრალო ადამიანად. გვიანდელი ერესიოლოგები თეოდოტიანელთა მეორე თაობას მელქისედეკიანებს უწოდებენ[45].

## III. 2. „სევეროზის ზე — კლიმი სტრომატელი, სჳნმახოს, ორიგენი"

ამ შემთხვევაშიც ტბელ აბუსერისძე ეყრდნობა „ხრონოგრაფის"

43 А. Спасский. История догматических движений в эпоху Вселенских Соборов. Тринитарный вопрос. Сергиев Посад. 1914, с. 36.

44 იქვე, გვ. 35-36.

45 ეპიფანე კვიპრელი, ოთხმეოცთა წვალებათათჳს, 55.

ტექსტს: „მეფე იქმნა სევიროს ათვრამეტ წელ... რომლისა ზე ლეონიდოს ეპისკოპოსი და მამაჲ ორიგენისი იწამა, და კლიმი სტრომატელი და სჳმმახოს და ორიგენი იცნობებოდეს"[46]

სევეროზი — იმპერატორი სევერუს სეპტიმიუსი, მეფობდა 193-211 წლებში.

კლიმი სტრომატელი (150-215) — კლიმენტი ალექსანდრიელი (ქრისტიანობის მიღებამდე ერქვა ტიტუს ფლავიუსი). დაიბადა ათენში და იქვე მიიღო კლასიკური განათლება. ფილოსოფიაში იზიარებდა სტოიკურ-პლატონურ შეხედულებებს. ქრისტიანობის მიღების შემდეგ ბევრს მოგზაურობდა. ეწვია იტალიას, სირიას, პალესტინას და ბოლოს ალექსანდრიაში დასახლდა. აქ გაიცნო ყოფილი სტოიკოსი პანტენი, რომელიც 179 წლიდან ქრისტიანულ სკოლას ხელმძღვანელობდა. კლიმენტი ჯერ დაემოწაფა მას, 190 წლიდან კი, როცა პანტენი ინდოეთში ქრისტიანობის საქადაგებლად წავიდა, სათავეში ჩაუდგა კატეხიზმურ სკოლას. 203 წელს სეპტიმიუს სევერუსის მიერ გამოცხადებული ქრისტიანთა დევნის გამო იძულებული შეიქმნა, მცირე აზიაში გადასულიყო, სადაც სიცოცხლის ბოლომდე იმოღვაწევა და გარდაიცვალა 65 წლის ასაკში. მისი რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებები გადმოცემულია სამ ტრაქტატში, რომელთა სათაურებია „სტრომატები" (ხალიჩები), „რჩევა-დარიგება წარმართთათვის" (ანუ „სიტყვა — მომაქცეველი") და „სიტყვა — პედაგოგი". ამ ტრილოგიაში, განსაკუთრებით კი „სტრომატებში", კლიმენტი ალექსანდრიელი ცდილობდა ქრისტიანული მოძღვრების სინთეზს წარმართულ ფილოსოფიასთან. ის აცხადებდა, რომ ბერძნული ფილოსოფია, ძველი აღთქმის მსგავსად, იყო მოსამზადებელი საფეხური ახალი აღთქმისათვის.

სჳნმახოს — ბიბლიის ბერძნულ ენაზე მთარგმნელი. მისი თარგმანი შესრულებულია იმპერატორ სევერუსის დროს და პოპულარობით სარგებლობდა ქრისტიანთა შორის. სვიმაქოსი ცდილობდა ბიბლიის ორიგინალი წმინდა ბერძნული ენით ეთარგმნა. მისი დასახელება მწვალებელთა შორის შემთხვევითი არ არის, რადგან ჯერ იუდეველი იყო, ქრისტიანობაზე მოქცევის შემდეგ კი გახდა ებიონიტთა სექტის წევრი[47]

46 გ ი ო რ გ ი  ა მ ა რ ტ ო ლ ი, ხრონოგრაფი, გვ. 235.

47 Архиепископ **Филарет (Гумилевский)**. Историческое учение об Отцах Церкви, т. 1, Свято-Троицкая Сергиева лавра, 1996, с. 219.

# ორიგენე და ორიგენიზმი

ორიგენი (185-254) — მეტსახელად „ანდამატი", ცნობილი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი. დაიბადა ალექსანდრიაში. მისი მამა ლეონიდე აწამეს იმპერატორ სეპტიმიუს სევერუსის დროს, რომელმაც 202 წელს ქრისტიანთა წინააღმდეგ ედიქტი გამოსცა. ორიგენეს პირველი მასწავლებელი მამა იყო. შემდეგ ის სწავლობდა ამონიუს საკასთან და კლიმენტი ალექსანდრიელთან. მალე სახელი გაითქვა ქალაქის ინტელიგენციაში და 217 წელს ეპისკოპოსმა დიმიტრიუსმა ალექსანდრიის სკოლის კატეხიზატორად დანიშნა, სადაც მოღვაწეობდა 231 წლამდე. დიდ ერუდიციასთან ერთად ორიგენე მაქსიმალიზმითაც გამოირჩეოდა. როგორც ევსები კესარიელი გვაუწყებს (საეკლესიო ისტორია, VI. 8,1-3), მან თავი დაისაჭურისა (შდრ.: მათე 19.12). ორიგენეს ცხოვრების მეორე პერიოდს ქმნის მისი მოღვაწეობა პალესტინის კესარიაში, სადაც ეპისკოპოსთა თხოვნით ბიბლიის ტექსტს განმარტავდა. 231 წელს ის მღვდლად აკურთხეს. ამის გამო დიმიტრიოსმა ეკლესიიდან განკვეთა, რადგან მოციქულთა 22-ე კანონი კრძალავდა საჭურისის მღვდლად კურთხევას[48]. იმპერატორ დეკეუსის ზეობისას ორიგენე დააპატიმრეს. ის წამებით გარდაიცვალა ტვიროსის ციხეში[49]

ორიგენეს ლიტერატურული მემკვიდრეობა 6000 წიგნს (გრაგნილს) მოიცავდა, რომლისგანაც ჩვენამდე ფრაგმენტულად მესამედმა ნაწილმა მოაღწია[50]. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთ ფუნდამენტურ ნაშრომებს, როგორიცაა „ჰეგზაპლები", „დასაბამთა შესახებ" და „კელსიუსის წინააღმდეგ".

ორიგენეს დოგმატურ სისტემაში ცენტრალური ადგილი უკავია მოძღვრებას ადამიანის სულის პირველმყოფობის შესახებ. მისი აზრით, ღმერთმა თავდაპირველად შექმნა ადამიანთა სულები, რომლებიც წმინდა გონების სახით არსებობდნენ და მთელი არსებით ჭვრეტდნენ ღვთაებას. შემდგომში სულებს მოეწყინათ თავიანთი შემოქმედის ჭვრეტა და ღმერთს ჩამოშორდნენ. ამის გამო სულები დაისაჯნენ და წარიგზავნნენ სხვადასხვა სხეულში. მცირედ ცოდვილმა სულებმა მიიღეს ეთეროვანი

---

48 დიდი სჯულის კანონი, ქართულად თარგმნა და საძიებლები დაურთო ე. ჭელიძემ, წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1987, გვ. 165.

49 **А. Сидоров**. Жизненный путь Оригена // Патристика – новые переводы, статьи. Нижний Новгород. 2001, с. 290-332.

50 PG 11-17.

სხეულები და იქცნენ ანგელოზებად. უფრო მძიმე ცოდვის ჩამდენმა სულებმა მიიღეს მატერიალური და უხეში, ე. ი. ადამიანური სხეულები. ყველაზე ცოდვილმა სულებმა კი — განსაკუთრებით საზიზღარი, დემონური სხეულები. ორიგენეს ეს ჰიპოთეზა უკავშირდება სწავლებას საყოველთაო კვლავაღდგინების[51] (αποκαταστασις των παντων) შესახებ, რომლის თანახმად ყველა სული საბოლოოდ დაუბრუნდება თავის პირველად უბიწო (უსხეულო) მდგომარეობას[52].

ორთოდოქსულმა ეკლესიამ არ შეიწყნარა ორიგენეს მოძღვრება ძე ღვთისას მამა ღმერთზე დაქვემდებარების და აპოკატასტასისის შესახებ. გარდაცვალებიდან სამასი წლის შემდეგ ორიგენე იმპერატორმა იუსტინიანემ (482-565) მწვალებლად გამოაცხადა. იუსტინიანეს ეპოქაში ორიგენეს მოძღვრების კრიტიკას ხელი შეუწყო ორიგენიზმის აყვავებამ პალესტინის მონასტრებში, განსაკუთრებით, საბაწმიდასა და ახალ ლავრაში. ორიგენისტი ბერები პალესტინის მონასტრებში საღვთისმეტყველო უმრავლესობას ქმნიდნენ და იმდენად დიდი იყო მათი გავლენა, რომ იერუსალიმის კათედრაზე თავიანთი კანდიდატიც კი გაიყვანეს. იმპერიული ინტერესებიდან გამომდინარე, იუსტინიანე ცდილობდა, აღეკვეთა რელიგიური სეპარატიზმის ყოველგვარი გამოვლინება, ამიტომ დაინტერესდა პალესტინელი ორიგენისტი ბერების საკითხითაც. 543 წლის საეკლესიო კრებაზე მან ორიგენეს წინააღმდეგ მკაცრი ედიქტი გამოსცა, რომელიც 10 ანათემატიზმს შეიცავდა. ამის მიუხედავად, კრებამ ორიგენისტები ვერ მოათვინიერა. პალესტინაში მათ ციტადელად ისევ რჩებოდა ახალი ლავრა, სადაც ჩამოყალიბდა ორიგენიზმის უკიდურესი მიმართულება, „იზოქრისტების" სახელწოდებით. 552 წელს ორიგენეს წინააღმდეგ 15 ანათემატიზმი შეადგინეს, რომელსაც პალესტინის ყველა იღუმენმა მოაწერა ხელი, ახალი ლავრის იღუმენის გარდა. 553 წელს შემდგარმა კონსტანტინეპოლის V მსოფლიო საეკლესიო კრებამ ორიგენე და ორიგენისტები ანათემას გადასცა. იერუსალიმის მართლმადიდებელ პატრიარქს ამის შემდეგაც გაუჭირდა ახალი ლავრის დამორჩილება. ამ მონასტრის ორიგენისტებისაგან გაწმენდა მხოლოდ სამხედრო ძალის გამოყენებით გახდა შესაძლებელი[53].

---

51 ძველ ქართულში αποκαταστασις-ი ითარგმნება, როგორც „კუალადგება" — ე. ჭელიძე, მართლმადიდებლური ხატმეტყველება, თბ., 2001, გვ. 141-145.

52 Иерей **Олег Давыденков**. Догматическое Богословие. Курс лекций. ч. III, М., 1997, с. 74-75.

53 **А. В. Карташев**. Вселенские Соборы. М., 1994, с. 351-356.

ტბელ აბუსერისძე ორიგენესადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს. მისი წვალების დახასიათებისთვის მწერალი ერთდროულად რამდენიმე ლიტერატურულ წყაროს მიმართავს. საგალობელში ორიგენესადმი მიძღვნილი ნაწილის პირველი მონაკვეთი ემყარება გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფს":

III. 2-3. „ორიგენი, მეტყუელი
ძისაგან მამისა ვერხილვასა,
ვერცა ძისასა სულისაგან და ვერცა ანგელოზთა
ანგელოზთაჲ და: „არსებისაგან მამისა ძე
არა არსო, ხოლო დაბადებულ
და მადლით სახელდებულ".
კაცობრივი სული ჴორცთა პირველ ყოფად თქუა".

ეს არის ვრცელი ციტატა „ხრონოგრაფის" არსენ იყალთოელისეული თარგმანიდან: „ესრეთ იკადრა და თქუა დაწყებასავე, ვითარმედ მხოლოდშობილსა ძესა ხილვაჲ მამისაჲ ვერ ძალ-უც, ვერცა სულსა წმიდასა ძისაჲ, ვერცა ანგელოზთა სულისაჲ, ვერცა ანგელოზთა ანგელოზთაჲ, და არსებისაგან მამისა არა არს ძე, არამედ დაბადებული და მადლით ძედ სახელდებული, ხოლო კაცობრივი სული პირველვე იყო ჴორცთასა და შემდგომითი-შემდგომად სხუანი გმობანი მისნი"[54]. ამით სრულდება „ხრონოგრაფში" ორიგენეს წვალებაზე საუბარი. ტბელ აბუსერისძეს კი აინტერესებს უფრო მეტი — „შემდგომითი-შემდგომად სხუანი გმობანი მისნი" და განაგრძობს:

III. 3. „და ყოველთა მიმწთომად
მამაჲ ოდენ განაჩინა და ძე
— სიტყჳერთა ზედა, ხოლო სული წმიდაჲ
მორწმუნეთა ოდენ განუწესა; და არა
ერთად სამებისგანად იტყჳს ქრისტესა;
და „სოფლის არდამბადებელ არსო სამებაჲ".

ამ დასდებელში ტბელ აბუსერისძე გადმოგვცემს ორიგენეს ტრიადო-

---

54 გიორგი ამარტოლი, ხრონოგრაფი, გვ. 236-237.

ლოგიურ მოძღვრებას. ორიგენეს აზრით, სამების წევრები არ არიან თანასწორნი და თანაარსნი. წიგნში „დასაბამთა შესახებ“ (I.3,5) ის წერს: „ღმერთი და მამა ყოვლის მიმწვდომია, ზემოქმედებს ყველა არსებაზე, ყველას ანიჭებს არსებობას თავისი საკუთარი ყოფიერებიდან, რადგან ის არის არსებული. მამაზე დაბლა დგას ძე, რომლის მოქმედებაც ვრცელდება მხოლოდ გონიერ არსებებზე, რადგან ის მეორეა მამისაგან. უფრო მცირეა სული წმიდა, რომელიც ზემოქმედებს მხოლოდ წმინდანებზე“[55]

ფორმულა „სამი ჰიპოსტასი და ერთი სამება“ პირველად ორიგენემ წარმოთქვა. მანვე სცადა სამების ჰიპოსტასთა პიროვნული თვისებების განსაღვრა,.მაგრამ ვერ მივიდა მათი ერთარსებობის აღიარებამდე. ორიგენეს აზრით, დაუსაბამო მხოლოდ მამაა, ის არის უმაღლესი ძალა πρωτη δυναμις, ხოლო ძე — მისი არსების და თვისებების ადექვატური გამოხატულება ενεργεια. ლოცვაში მხოლოდ მამაზე შეიძლება მიმართვა, რადგან ძე თავისი არსებით არ ჰგავს მას[56]. ორიგენეს მიხედვით, ამიტომ არ არის ქრისტე „ერთი სამებისგანი“

ორიგენესადმი მიძღვნილ ბოლო დასდებელში ტბელ აბუსერისძე აკრიტიკებს აპოკატასტასისის იდეას:

III. 4. „აღდგომისგანთა გუამთა ჩუენთა პირველ ქრისტესა
წარწყმედად მოსლვასა ამტკიცებს;
„შემდგომად აღდგომისა სიტყჳერთ ძალედვას,
თჳთ ეშმაკთამდეცა, საუკუნეთა დაბადებაჲ,
რამეთუ ეთეროანი და მომრგულებულნი აღდგებიან
გუამნიო“;
ხოლო ესრეთ იტყჳს აღდგომასა ქრისტესასა
და ვითარმედ სწორ მისსა ვიქმნებით აღდგომასა“.

ორიგენეს აზრით, მარადიულია არა მარტო ღმერთი, არამედ მისი ყველა ქმნილება, რითაც ის უახლოვდებოდა არისტოტელეს სწავლებას სამყაროს მარადიულობის შესახებ. აქედან მომდინარეობს იდეა აპოკატასტასისის შესახებ, რომლის მიხედვითაც აღდგომა და ხსნა საბოლოოდ ყველა ქმნილებას შეეხება, მათ შორის ეშმაკსაც. აპოკატასტასისის ორ-

55 **А. Спасский.** История догматических движений в эпоху Вселенских Соборов. с. 106.

56 იქვე, გვ. 100-105.

იგენესეული იდეის წინააღმდეგ არის მიმართული იუსტინიანეს ორი ანათემატიზმი, რომლებშიც აღნიშნულია, რომ, ორიგენეს აზრით, „ქრისტეშ აღდგომის შემდეგ მიიღო ეთეროვანი (მომრგვალებული) სხეული; ამის მსგავსად ჩვენი სხეულის ბუნებაც აღდგომის შემდეგ განადგურდება"[57] სწორედ ეს აზრია გატარებული ტბელ აბუსერისძის დასდებელში.

## IV გალობა

IV. 1. „ონორის ზე — საბელიოს".

ონორ — რომის იმპერატორი ურანიუსი (248-253).

საბელიოს (III ს.) — რომაელი ხუცესი, მონარქიანიზმის ერთ-ერთი მთავარი ლიდერი. მის შესახებ ცოტა რამ ვიცით. ცნობილია, რომ წარმოშობით ლიბიის პტოლემაიდიდან იყო და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა თანამედროვეთა შორის. რომში გამოჩნდა 200 წლის ახლოს. სახელი გაითქვა ორიგენეს გარდაცვალების შემდეგ — III საუკუნის 60-იან წლებში (იხ. VII.1 დასდებლის კომენტარი).

საბელიოსის წინამორბედი იყო მონარქიანელი მოდალისტი ნოეტი, რომელმაც, ეპიფანე კვიპრელის თქმით, „ძე-მამად ქრისტე ასწავა და მასვე ერთსა იტყოდა მამად და ძედ და სულად წმიდად" (57). საბელიოსის მიხევითაც ქრისტე თავად არის მამა-ღმერთი და განკაცდა ჩვენი ხსნისათვის. მოდალისტთა შეხედულების კვალობაზე მან დაამკვიდრა ტერმინი „ძე-მამა" υιο–πατερ[58].

IV. 1. „დეკეოზს ზე — ნავატ და ელკესიოს".

დეკეოზ — რომის იმპერატორი დეკეუსი (249-251).

ნავატი (გარდ. 268) — ნოვატი, რომაელი ხუცესი. აქტიურ მონაწილეობას იღებდა მღვდელმოწამე კიპრიანეს წინააღმდეგ მიმართულ ამბოხებაში. კიპრიანე კართაგენის ეპისკოპოსი იმპერატორ დეკეუსის მიერ დაწყებული დევნის დროს ქალაქიდან გაიხიზნა და მოითხოვდა, შიშის

57 Деяния Вселенских Соборов, т. III, СПб, 1996, с. 537.

58 А. Спасский. История догматических движений в эпоху Вселенских Соборов. Тринитарный вопрос, с. 111.

გამო დაცემული ქრისტიანები მონანიების შემდეგ ეკლესიაში დაებრუნებინათ. მას წინ აღუდგნენ ნავატი და მისი მიმდევრები (ფელიქსიმე და ნოვატიანე). ნავატი ასევე კრძალავდა ბავშვების ნათლისცემას. აღნიშნული მიზეზების გამო, მისი მიმდევრები „წმიდად" καθαροι იწოდებოდნენ. 251 წელს კართაგენის ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ ნავატი ეკლესიიდან განკვეთა.

ელკესიოს — ცრუწინასწარმეტყველი, სამფსონელთა და ელკესეველთა ერესის მამამთავარი[59] მის შესახებ ცნობას ტბელ აბუსერისძე „ხრონოგრაფიდან" იღებს: „შემდგომად ღალოჲსა მეფე იქმნა დეკეოზ ერთ წელ და მოიკლა... რომლისა ზე... ელკესეოს წვალების-მთავარი იცნობებოდა"[60].

IV. 1. „ნავატ სიძვაჲ შეუნდობ-ყო,
არამედ ხოლო
ვეცხლისმოყუარებაჲ ყოვლად უბრალო-ყო".

ნავატის ცნობილი გამონათქვამი. დასტურდება გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიაში „ნათლისღებისათჳს", რომელიც ქართულ ენაზე ორჯერ ითარგმნა ექვთიმე ათონელისა და ეფრემ მცირის მიერ. შედარება ცხადყოფს, რომ საგალობელი ფრაზეოლოგიურად განსხვავდება ამ ჰომილიის ქართული თარგმანებისგან. მაგალითად, ექვთიმე ათონელის თარგმანში ნათქვამია: „რად შჯულ ჩემდა ნავატის კაცთმოძულებაჲ, რომელმან არა ტანჯა ანგაჰრებაჲ, მეორე კერპთმსახურებაჲ, ხოლო სიძვაჲ ესრეთ მწარედ დასაჯა, ვითარცა უჴორცომან და უგუამომან"[61]

IV. 1. „ღალინო მეფისა ზე
იყვნეს არტემონ და სჳნეპოს დრკუნი".

ღალინო — გალიენუსი, რომის იმპერატორი 260-268 წლებში.

არტემონ (III ს.) — თეოდოტი ბიზანტიელის მოძღვრების მიმდე-

59 ეპიფანე კვიპრელი, ოთხმეოცთა წვალებათათჳს, 53.
60 გიორგი ამარტოლი, ხრონოგრაფი, გვ. 243.
61 ჰომილიის გამოსაცემად მომზადებული ტექსტი მ. რაფავამ მოგვაწოდა.

ვარი. საფუძველი ჩაუყარა ალოგთა სექტის ახალ განშტოებას, რომელიც არტემონიზმის სახელწოდებით იყო ცნობილი. არტემონი უარყოფდა იესო ქრისტეს ღვთაებრიობას და მას არ თვლიდა სამების ჰიპოსტასად.

სჳნეპოს — III საუკუნის ერესიარქი.

IV. 2. „შემდგომად — წყეული მანინ".

მანინ — მანი (216-277), მანიქეიზმის ფუძემდებელი. ტბელ აბუსერისძე მის შესახებ ვრცლად მოგვითხრობს (IV.2-4). როგორც კ. კეკელიძემ ცხადყო, აღნიშნული ადგილი საგალობელში მთლიანად ემყარება გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფის" ქართულ თარგმანს[62].

### მანი და მანიქეიზმი

მანი წარმოშობით სპარსი იყო. დაიბადა მესოპოტამიაში, ეკუთვნოდა ბრაჰმანთა წრეს. თავდაპირველად ერქვა კუბრიკოსი, ქადაგება კი დაიწყო მანის (მანესის) სახელით. ღრმად შეისწავლა აღმოსავლური ფილოსოფია. მისი მოძღვარი იყო ტერებინთოსი, სპარსეთში ბუდად წოდებული[63]. გიორგი ამარტოლი ამის შესახებ წერს: „მოძღურად აქუნდა ვუდდანტოს (ე. ი. ბუდა — რ. ხ.), ტერევნითად სახელდებული პირველ". შემდგომში მანის მასწავლებელი სკვითიანე გამხდარა, რომელსაც მისთვის ემპედოკლეს მოძღვრება შეუსწავლებია: „განისწავლა რაჲ სხჳსა ვისმე სკჳთიანეს მიერ, სჯულითა ელენისა — ემპოდოკლოჲსი შეიყუარა წვალებაჲ"[64]. „ხრონოგრაფის" ამ ცნობებს ტბელ აბუსერისძე უცვლელად იმეორებს:

IV. 3. „მოძღურად აქუნდა ბოროტსა მას
ვოდდანტოს, ტერევნითად სახელდებული,
სკჳთანესგან, სწავლულისა
ემპოდოკლოჲსგან
— მრავალთ წვალებათ შემტკბობისა

62 კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956, გვ. 264-265.

63 პეტრე სიკელიოტესი, მანიქეველთა წვალების საჭირო ისტორია, გამოკვლევა და მხილება, წიგნში: ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათია, II ტომი, თბ., 1993, გვ. 165.

64 გიორგი ამარტოლი, ხრონოგრაფი, გვ. 244.

და ორთა დასაბამთა ურთიერთას მჴდომთ მეტყუელისაჲ
და გუამითი-გუამად სულთა ცვალებად მთქუმელისაჲ".

238 წელს მანიმ ირანში დაიწყო ქადაგება, მაგრამ მაზდეანი მოგვების დევნამ იძულებული გახადა, ირანი მიეტოვებინა და ჯერ შუა აზიაში, შემდეგ კი ინდოეთსა და ჩინეთში გადასულიყო. 277 წელს ის ირანში დაბრუნდა, სადაც მოწინააღმდეგეებმა წამებით მოკლეს: ცოცხლად გახადეს ტყავი და თავი მოკვეთეს. მანის მიეწერება რელიგიურ-ეთიკური შინაარსის შვიდი წიგნი: „სახარება" (22 თავად), „ცხოვრების საუნჯე", „საიდუმლოთა წიგნი", „ბუმბერაზთა წიგნი", „წერილები", „ფსალმუნები" და „თავები".

მანის მოძღვრება — მანიქეიზმი რომის იმპერიაში III საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყებს გავრცელებას. ის წარმოადგენდა ქალდეურ-ბაბილონური და სპარსული მითების სინთეზს. გარდა ამისა, მანიქეიზმში შეზავებული იყო გნოსტიციზმის და ზოროასტრიზმის დუალისტური მოძღვრებანი. ისტორიის საზრისს მანის მიმდევრები ორი საწყისის — კეთილისა და ბოროტის, ნათლისა და ბნელის დაპირისპირებაში ხედავდნენ. სახარებისეულ ქრისტეს ისინი ცრუ-ქრისტეს უწოდებდნენ, რადგან, მათი აზრით, ის ჩაერია ჭეშმარიტი ქრისტეს საქმეებში. ქრისტეს შემდეგ ნათლის საუფლომ მიწაზე გამოგზავნა ნუგეშისმცემელი (პარაკლეტი) — მანი. მანიქეიზმი ასე დაუახლოვდა ქრისტიანობას, რომელშიც ის ერთ-ერთ ერესად განიხილებოდა[65].

რომიდან ჩინეთამდე გავრცელებული მანიქეიზმი იდევნებოდა ჯერ ქრისტიანობის, ხოლო VIII-IX საუკუნეებში ისლამის მხრიდან. მისი დუალისტური მოძღვრება ევროპაში პავლიკიანელებმა, ბოგომილებმა, ალბიგოელებმა და მოლოკანებმა განავითარეს, აღმოსავლეთში კი მაზდაკიტებმა.

როგორც გ. წერეთელმა ივარაუდა, მანიქეიზმი საქართველოში III საუკუნეში გავრცელდა[66] V საუკუნის 30-იან წლებში ქართლის ეპისკოპოსის საყდარი დაიკავა მობიდანმა, რომელიც იყო „მოგჳ უსჯულო და

65 **А. Чанышев.** Манихейство // Философская энциклопедия, т. 3, М., 1964, с. 291.

66 პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. I, თბ., 1963, გვ. 130–139; თ. მგალობლიშვილი, ადრექრისტიანული ქართლი, კრებულში: საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები, თბ., 1998, გვ. 238–244.

შემშლელი წესთა და... ფარულად წერდა წიგნებსა ყოვლისა საცთურებისასა"[67] პ. ინგოროყვას აზრით, „მოგვი" მობიდანი მანიქეველი მწერალი იყო[68]. მას ასევე მიაჩნდა, რომ მანიქეიზმი საქართველოში XIII საუკუნემდე არსებობდა[69]

ტბელ აბუსერისძე მანის სწავლებას „ხრონოგრაფის" ტექსტზე დაყრდნობით გადმოგვცემს:

IV. 2. „წყეული მანინ,
ქრისტედ და სულად წმიდად თავს თჳსსა მთქუმელი;
ათორმეტთა მოწაფეთა
იგიცა მპყრობი; სპარსეთით საბერძნეთად გარდმოიხრწნა;
„სახიერსა" ვისმე ახალსა ღმრთისგანად მეტყუელი;
და ოცნებით ქრისტეს გამოჩენასა მზღაპრობი".

დასდებლის შინაარსი ამგვარია: წყეული მანინი (მანი) ქრისტედ და სული წმიდად აცხადებდა თავის თავს; მასაც ჰყავდა თორმეტი მოწაფე; სპარსეთიდან საბერძნეთში გადმოიხრწნა; ვიღაცა ახალ „სახიერს" ღვთისმიერად აცხადებდა; და ქრისტეს მოჩვენებით გამოჩენას მეზღაპრეობდა.

მანის თორმეტი მოწაფის შესახებ პეტრე სიკელიოტესი მოგვითხრობს: „თორმეტნი იყვნენ ანტიქრისტე მანესის მოწაფენი: სისინიოსი, მისი მემკვიდრე — თომა, რომელმაც თავად შექმნა მანიქეური სახარება, ბუდდა, ჰერმასი, ადანტოსი, ადემანტოსი, რომელსაც გზავნიდა საცთურის საქადაგებლად სხვადასხვა ქვეყანაში; მანესის განმმარტებელნი მისი მემატიანეებიც გახდნენ: ჰიერაქსი, ჰერაკლიდესი, აფთონიოსი; სამიც სხვა მოწაფე ჰყავდა: აგაპიოსი, რომელმაც დაალაგა შვიდწიგნედი, ძარუასი და გაბრიაბიოსი"[70].

---

67 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 142.

68 პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბ., 1978, გვ. 286.

69 პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. I, გვ. 124–126.

70 პეტრე სიკელიოტესი, მანიქეველთა წვალების საჭირო ისტორია, გამოკვლევა და მხილება, გვ. 170.

IV.4. „განმგდებელი ყოვლისავე
აგებულისა და ძუელისა აღთქუმისა;
და შესაქმეს კაცთასა არ სახიერისა
ღმრთისგან ქმნილად მეტყუელი, ვინაჲთგან
„ხრწნილებასა და ცვალებასა შინა არსო";
და უჯეროთა შეყოფათა მომპოვნებელი".

დასდებლის შინაარსი: უარყოფდა ყველაფერ მატერიალურს და ძველ აღთქმას; ადამიანის შექმნას სახიერ ღმერთს არ მიაწერდა, რადგან (ის) „ხრწნასა და ცვალებადობაშიაო"; და შეუფერებელი სქესობრივი კავშირები მოიგონა.

## V გალობა

V.1. „სამოსატელი,
მანენტოჲს ზიარი".

პავლე სამოსატელი მანენტოს, ანუ მანის — მანიქეიზმის ერესიარქის „ზიარი" დროით იყო, რადგან ორივე III საუკუნეში ცხოვრობდა. ამას საგალობლის დამოწმებული ადგილის ინტერტექსტი ცხადყოფს: „პავლე ვინმე (სამოსატელი) ჟამითა თანაზიარი ამის მანენტოსისი"[71] ტბელ აბუსერისძის ტექსტში სიტყვა „ჟამითა" ამოვარდნილია, ამიტომ „ზიარი" უკვე მათი საქმის ერთიანობაზე მიუთითებს, რაც თავისთავად სწორია — სამოსატელიც და მანიც მწვალებლები იყვნენ: „ესე არიან პირველ აღმოცენებულნი ერთისა ბუნებისა და ორთა ბოროტად და უკეთურებით ქრისტეს ზედა მეტყუელნი"[72].

პავლე სამოსატელი (III ს.) — მცირე აზიის ქალაქ სამოსატის მკვიდრი. ერთმანეთს უხამებდა საერო და საეკლესიო თანამდებობებს. 260 წლიდან ეპყრა ანტიოქიის ეპისკოპოსის საყდარი. ამავდროულად ასრულებდა პალმირის დუცენარიუსის (ე. ი. იმპერატორის პროკურატორის) მოვალეობას. ეპისკოპოსობის მიუხედავად, პავლე მისდევდა საერო

71 გ ი ო რ გ ი ა მ ა რ ტ ო ლ ი, ხრონოგრაფი, გვ. 245.
72 იქვე.

ცხოვრების წესს, დადიოდა მცველების თანხლებით, ცხოვრობდა ფუფუნებაში და უარყოფდა საეკლესიო ტრადიციებს. მან აკრძალა ქრისტეს სადიდებელი ჰიმნების გალობა. სამაგიეროდ, დიდ დღესასწაულებზე ქალთა გუნდს ავალებდა, ემღერათ მისდამი მიძღვნილი ჰიმნები. პავლე სამოსატელის დროს პირველად დამყარდა კავშირი სახელმწიფოსა და ქრისტიანულ ეკლესიას შორის, რაშიც მას მხარს უჭერდა პალმირის დედოფალი ზინოვია. ამასთან ერთად, სამოსატელი გამოხატავდა ასურელი ხალხის სეპარატისტულ მისწრაფებებს, რის გამოც 272 წელს, რომის ჯარების მიერ ანტიოქიის აღების შემდეგ, ქალაქიდან განდევნეს[73]

V.1. „სამოსატელი...
უფალსა ლიტონ კაც
და წინასწარმეტყუელთ თანად
ჰგონებდა ბილწი".

ღვთისმეტყველებაში პავლე სამოსატელი დინამისტური მონარქიანიზმის იდეას ავითარებდა და უარყოფდა როგორც ღვთის ძის, ისე სული წმიდის ღვთაებრიობას: „არა მასვე და ერთსა იტყოდა მამად და ძედ და სულად, არამედ მამასა ვიდრემე იტყოდა ღმერთად და დამბადებელად ყოვლისა და ძესა — ლიტონად კაცად, ხოლო სულსა წმიდასა — მოციქულთა ზედა გამოსრულად მადლად"[74].

პავლე სამოსატელის მოძღვრება განიხილა ანტიოქიის სამმა საეკლესიო კრებამ (264, 267 და 269 წლებში). პავლე ეპისკოპოსობიდან გადააყენეს და შეაჩვენეს. ამის მიუხედავად, სამოსატელის ერესი არსებობას განაგრძობდა V მსოფლიო საეკლესიო კრებამდე.

V.1-2. „ვინაჲ ესე არიან პირველ
აღმოცენებულნი და ერთ
ბუნებისა და ორთა ბოროტად მეტყუელნი:
პირველი იგი
უვარისყოფითა

73 **А. Спасский**. История догматических движений в эпоху Вселенских Соборов. с. 157-165.

74 თეოდორე აბუკურა, ტრაქტატები და დიალოგები, თარგმნილი ბერძნულიდან არსენ იყალთოელის მიერ, გამოსცა ლ. დათიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 39.

კაცებისაჲთ, ხოლო
მეორე — ღმრთეებისაჲთა,
პავლე, ბოროტი".

ტბელ აბუსერისძე გიორგი ამარტოლის კვალად მანისა და პავლე სამოსატელს უწოდებს ერთბუნებიანთა წინამორბედებს, რადგან მანი უარყოფდა იესო ქრისტეს ადამიანურ ბუნებას. ის განასხვავებდა ზეციურ ქრისტეს და მიწიერ იესოს, რომელშიც ქრისტეს სული მოქმედებდა ადამიანის აჩრდილის სახით[75]. პავლე სამოსატელი კი უარყოფდა ქრისტეს ღვთაებრივ ბუნებას: „უფალსა ლიტონ კაც და წინასწარმეტყუელთ თანად ჰგონებდა ბილწი" — როგორც ტბელ აბუსერისძის საგალობელშია ნათქვამი (V.1).

V.2. „პავლე ბოროტი
და სხუანი მიმდგომნი მისნი:
ტატიანე და არტემონ,
ვარდისანი, ფოტინა და ევვიონ".

პავლე სამოსატელის „მიმდგომთა" შორის დასახელებული არიან ასურეთში სხვადასხვა დროს მოღვაწე მწვალებლები: ტატიანე, არტემონი, ბარდესანი, ფოტინე და ებიონი.

V. 3. „არიანოზთა,
უსულოდ მეტყუელთა
ჴორცთა უფლისათა...

არიანოზნი — არიოზის სწავლების მიმდევრები, არიანელთა სექტის წარმომადგენლები (იხ. VI.2-3 დასდებლების კომენტარი).

მაცხოვრის სხეულს უსულოდ მიიჩნევდნენ არიანელები და ევნომიანელები. ჯვარცმის დროს ქრისტეს მიერ წარმოთქმულ სიტყვებს — „მამაო, ხელთა შენთა შევჰვედრებ სულსა (πνευμα) ჩემსა" (ლუკა 23.46) ისინი ასე განმარტავდნენ: πνευμα აქ აღნიშნავს ღმრთეებას, რადგ-

75 Православие и христианские разделения, составитель **М. Воскресенский**, М., 1996, с. 24.

ან მაცხოვარმა უსულო სხეული αψυχον σωμα მიიღო. მართლმადიდებლური გაგებით, πνευμα-ში აქ იგულისხმება არა ღმრთეება, არამედ სული ψυχη[76].

### V. 3. აპოლინარი გამოჩნდა წინააღმდგომად, ვითარმედ „ცხოველობითითა სულითა სულიერნი მიიხუნა, ხოლო გონებაჲ ჩუენი არა მიიღო“.

აპოლინარი (გარდ. 392) — ტომით სირიელი. 346-356 წლებში ეპყრა ლაოდიკიის ეპისკოპოსის საყდარი. საეკლესიო ისტორიკოსები ერთხმად მიუთითებენ მის ღრმად განსწავლულობაზე. თავდაპირველად ის იცავდა ნიკეის კრების მოძღვრებას. 362 წლიდან კი დაუპირისპირდა ანტიოქიის სკოლის წინამძღოლს — დიოდორე ტარსელს და უარყო იესო ქრისტეს კაცება[77]. ქრისტოლოგიაში ის იყენებდა პლატონისეული ტრიქოტომიის პრინციპს, რის საფუძველზეც ამტკიცებდა, რომ ადამიანის მსგავსად, რომელიც სხეულის, სამშვინველისა (ψυχη) და სულისაგან (πνευμα ანუ νους, გონება) შედგება, ღმერთ-კაცი შედგება სხეულის, საღვთო სულისა და საღვთო გონებისაგან. აპოლინარი ასწავლიდა, რომ მაცხოვარმა მიიღო სხეული და უგონებო (ირაციონალური) სული ψυχη. კაცობრივი გონება, აპოლინარის მიხედვით, ცვლადია და ემონება ბილწ გულისთქმებს, ამიტომ ქრისტეში მისი ადგილი დაიკავა უცვლელმა და ზეციურმა საღვთო გონებამ[78].

362 წელს ათანასე დიდის ინიციატივით მოწვეულმა ალექსანდრიის საეკლესიო კრებამ აპოლინარის სწავლება დაგმო. აპოლინარი ასევე შეაჩვენეს რომის ადგილობრივ კრებებზე (374, 376 და 380 წლები) და II მსოფლიო საეკლესიო კრებაზე.

ტბელ აბუსერისძე აპოლინარი ლაოდიკიელის სწავლებაზე ვრცლად ჩერდება, რადგან სწორედ ის იყო მსოფლიო საეკლესიო კრებების დროინდელი პირველი ქრისტოლოგიური ერესის მამამთავარი.

---

76 წმ. გრიგოლ პალამა, აღსარება მართლმადიდებლური სარწმუნოებისა, ე. ჭელიძის თარგმანი და შენიშვნები, წიგნში: სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, II, თბ., 1991, გვ. 285.

77 **Г. Флоровский**. Восточные Отцы IV-го века, Париж, 1931, с.23-24.

78 სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, II, გვ. 285-286.

V. 4. „ვინაჲ ამისი
მთქუმელი ერთყოფასა
ცხადჰყოფდა სიტყჳსა
და ჴორცთა ბუნებისასა,
ვითარმცა ჴორცნი
უსრულ იყვნეს კაცყოფისა
და ამისთჳს არა ღირს იყვნეს
ბუნებად სახელისდებასა".

აპოლინარის სწავლების მიხედვით, ქრისტე სრულია მხოლოდ საღვთო სრულყოფილებით (θεια τελειοτητι), და არა ადამიანურით, რადგან განკაცების დროს ლოგოსმა მხოლოდ ხორცი შეიმოსა, გონება·და სრული კაცება კი არ მიუღია[79]. ეს იგულისხმება „სიტყჳსა და ჴორცთა ბუნებისა" ერთყოფაში. ამ იდეის მიხედვით, რომელიც აპოლინარმა მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების დამთავრებისთანავე წამოაყენა, ქრისტეში უნდა დავინახოთ ერთიანი საღვთო ინდივიდუალობა. მოგვიანებით ეს იდეა განავითარეს, ერთი მხრივ, მონოფიზიტებმა, რომლებმაც მოახდინეს ქრისტეს ღვთაებრივი ბუნების აბსოლუტიზება და, მეორე მხრივ, მონოთელიტებმა, რომლებიც ღვთის სიტყვაში (ლოგოსში) ხედავდნენ საღვთო ნების განხორციელებას[80].

V.5. „ამათ წვალებათ
ზემო თქუმულთა თანა
ამასცა იტყოდა:
„მამისა უდიდესობაჲ,
ხოლო ძისა
უკნინესობაჲ და წმიდისა
სულისა უმცირესობაჲ
ჯერ-არსო თქუმად". ეჰა, უგუნურებაჲ!"

თეოდორე აბუკურას ცნობით, აპოლინარის ამ დებულების კრიტიკა

79 Догматика Православне Цркве, од јромонаха Др. **Јустина**, II, с. 228.

80 **В. И. Уколова**. Особенности культурной жизни запада (IV- первая половина VII в.) // Культура Византии (IV – первая половина VII в.), М., 1984, с. 82-83.

მოცემულია გრიგოლ ღვთისმეტყველისა და გრიგოლ ნოსელის თხზულებებში: „აპოლინარი ღმრთის-მეტყუელებისა მიმართ უკუე არა განცხადებულად მგმობრად იპოების, გარნა ამხილებენ მას გრიგოლნი ამისსაცა მგმობრობასა. რამეთუ დაბადებულობასა არა იტყჳს, ხოლო კიბესა შემოიღებს, რამეთუ მცირესა რასმე ხარისხსა აღსავალსა იტყჳს ძისა და სულისასა და მამისა მიმართ"[81].

## V. 6. „კუალად — თევდორე მომფსუესტელი".

თევდორე მომფსუესტელი (350-428) — ანტიოქიის სკოლის წარმომადგენელი, დიოდორე ტარსელის მოწაფე, იოანე ოქროპირის თანამედროვე და მეგობარი. მასთან ერთად დაიწყო მონასტერში მსახურება, მაგრამ მალე საერო ცხოვრებამ გაიტაცა და მონასტერი მიატოვა. ამის გამო ოქროპირმა ეპისტოლე გაუგზავნა მას — „დაცემულ თეოდორეს". მოფსუესტიელი ეკლესიაში დაბრუნდა. მოგვიანებით, 394 წლიდან, მოფსუესტიის ეპისკოპოსი გახდა და სახელი გაითქვა ეგზეგეტიკური ნაშრომებით. მისი მოწაფის — ნესტორის სახელთან არის დაკავშირებული ნესტორიანობის წარმოშობა. ნესტორიანელები თავდაპირველად მოფსუესტიელს თვლიდნენ თავიანთი ერესის და ეკლესიის მთავარ იდეოლოგად. ნიშანდობლივია, რომ კონსტანტინოპოლის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე თეოდორე მოფსუესტიელი (553 წ.) მონოფიზიტების გულის მოსაგებად შეაჩვენეს, რადგან ნესტორიანელები მისი სახელით ავრცელებდნენ თავიანთ თხზულებებს.

თეოდორე მოფსუესტიელის ქრისტოლოგიაში ძირითად მიმართულებას ქმნის ქრისტეს ადამიანური ბუნების აღწერა. ის ამბობდა, რომ სხვაა სიტყვა ღვთისა და სხვა ქრისტე, რომელიც შეპყრობილი იყო სულიერი მღელვარებით და ხორციელი ვნებებით. ქრისტემ თანდათან დათმო ამგვარი მიდრეკილებები, შემდეგ წარმატებებს მიაღწია კეთილ საქმეებში, უკეთესი მდგომარეობა მოიპოვა, უბიწოდ იცხოვრა და, როგორც წმინდა ადამიანი, მოინათლა სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ნათლისღებით სულიწმიდის მადლი მიიღო და შვილება მიენიჭა. ცოდვებისაგან კი სრულებით გათავისუფლდა აღდგომის შემდეგ[82]. „ხრონ-

81 თეოდორე აბუკურა, ტრაქტატები და დიალოგები, გვ. 42.
82 Деяния Вселенских Соборов, т. Ш, с. 562.

ოგრაფის" ტექსტზე დაყრდნობით, ტბელ აბუსერისძე თეოდორე მოფსუესტიელის ქრისტოლოგიურ სწავლებას ამგვარად გადმოგვცემს:

V. 6. „კუალად — თევდორე
მომფსუესტელი, რომელი
ქრისტესა ლიტონად
ერთად ჩუენგანად უწოდდა
და „იორდანეს
ნათლისღებითა ღირს-იქმნა
ნიჭსა წმიდისა სულისსა,
წარმატებითა მადლსა მომღებიო".

თეოდორე მოფსუესტიელის თემა გრძელდება მომდევნო გალობაში, რომელიც ძირითადად ეძღვნება ნესტორიანელთა წვალების ერესიარქს ნესტორს, აგრეთვე მონოფიზიტური წვალების დამფუძნებლებს ევტიქისა და დიოსკორეს.

## *V(II) გალობა*

V(II).1. „იტყოდა ბილწი თევდორე,
ვითარმედ „გარდამეტებულისათჳს
სათნოებისა მიეცა
საღმრთოჲ პატივი ერთბუნებასა
და კუალად ორთა
ქრისტეს შორის" — არა
მართლისა სიტყჳსაებრ აღმსარებელი".

თეოდორე მოფსუესტიელი ქრისტესა და ღვთის სიტყვის შეერთებას ცოლ-ქმრულ კავშირს ადარებდა, რის შესახებაც მოციქული ამბობს: „იყვნენ ორნივე იგი ერთ ჴორც" (ეფეს. 5.31)[83]. ეს კი, ბუნებრივია, არ არის ორი ბუნების შეერთება, არამედ „თჳსებითა რაჲთმე ოდენ" დაკავშირება ერთმანეთთან[84]. ანალოგიური აზრს ავითარებდა თეოდორე მოფსუესტიელის

83 Деяния Вселенских Соборов, т. III, с. 562.

84 გიორგი ამარტოლი, ხრონოგრაფი, გვ. 246.

მოწაფე — ნესტორი. მისი აზრით, ღვთაება ქრისტეში იმყოფებოდა, როგორც ტაძარში, ე. ი. ქრისტეში ორი ბუნება ისევ შეუერთებელი დარჩა.

### V(II).2. „ნესტორ, ძე კილიკელისა".

## ნესტორი და ნესტორიანელობა

ნესტორიანელთა ერესის და ეკლესიის ფუძემდებელი ნესტორი დაიბადა გერმანიკიის კესარიაში. რამდენიმე წელი დაჰყო მონასტერში ანტიოქიასთან ახლოს, რის შემდეგაც მღვდლად აკურთხეს. მალე სახელი გაითქვა ქადაგებებით. 428 წელს თეოდოსი მცირემ კონსტანტინოპოლის პატრიარქად მიიწვია. ნესტორი სასტიკად დევნიდა ყოველგვარ მწვალებლობას, განსაკუთრებით აპოლინარიზმს, მაგრამ მალე თვითონ ჩავარდა მწვალებლობაში. მისი სწავლების მიხედვით, ქალწულ მარიამს არ უნდა ეწოდოს ღვთისმშობელი, რადგან მან შვა არა ღმერთი, არამედ კაცი, რომელსაც მის გარეშე შეუერთდა მამისაგან შობილი ღვთისსიტყვა.

431 წელს კირილე ალექსანდრიელის ინიციატივით მოწვეულმა ეფესოს მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაგმო ნესტორის მოძღვრება ქრისტეში ორი ბუნების გათიშვის და პარალელურად თანაარსებობის შესახებ. ერესიარქი ანტიოქიაში გადაასახლეს, ხოლო იქიდან — ეგვიპტის მიყრუებულ ოაზისში, სადაც გარდაიცვალა 451 წლის შემდეგ.

ეფესოს კრებაზე ნესტორი ანტიოქიელ ეპისკოპოსთა აზრის გაუთვალისწინებლად შეაჩვენეს. ეს ნაჩქარევი და მკვეთრი გამოსვლა გაუგებრობისა და განხეთქილების მიზეზი გახდა. დევნის შიშით, კირილე ალექსანდრიელის მოწინააღმდეგეები (ე. წ. ქალდეველი ქრისტიანები) ბიზანტიისადმი მტრულად განწყობილ სპარსეთში გადავიდნენ. 499 წელს ემიგრაციაში მყოფი ნესტორიანელები კონსტანტინოპოლის ეკლესიას გამოეყვნენ და საკუთარი პატრიარქატი ჩამოაყალიბეს ქალაქ სელევკია-ქტეზიფონში (დღევანდელი ბაღდადი).

როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, „სპარსეთში ქრისტიანების დევნისას არა ერთ და ორ ნესტორიანს უპოვნია ჩვენში თავშესაფარი და, ალბათ, მიმდევარნიც, განსაკუთრებით მეხუთე საუკუნის გასულიდან, როდესაც, თუ ასემანის ცნობას დავუჯერებთ, ქართლში ნესტორიანთა

85 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 482.

საეპისკოპოსოც კი დაარსებულა"[85].

506 წლის დვინის კრებაზე საქართველოს, სომხეთის და ალბანეთის ეკლესიებმა, ბიზანტიის გავლენით, ანტინესტორიანული პოზიცია დაიკავეს[86]. მაგრამ მალე პოლიტიკური ვითარება შეიცვალა. 523-32 წლებში ირანელებმა ქართლი დაიპყრეს და სამეფო ხელისუფლება გააუქმეს, რამაც საქართველოს ეკლესიაში ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ნესტორიანელობის გავრცელებას. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივ ფაქტად უნდა ჩაითვალოს ქართლის კათალიკოსის კირიონის განსაკუთრებული დაინტერესება ნესტორიანელთა საკითხით. VII საუკუნის დასაწყიში მან რომის პაპს, გრიგოლ დიდს საგანგებო შეკითხვით მიმართა: „ნუთუ ყოველთა რჩეულთა კათოლიკე ეკლესიის წიაღში შესასვლელად, ნესტორის შეცთომათაგან მოქცეულ მღვდელთა და ერთათვის საჭიროა ნათლისღება, არ კმარა მარტო აღსარებაო?"[87]

ტბელ აბუსერისძე, გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფის" კვალად, ნესტორის წინამორბედებად ასახელებს პავლე სამოსატელსა და თეოდორე მოფსუესტიელს:

V (II). 2. „ნესტორ, ძე კილიკელისა
და ძისწული სამოსატელისაჲ,
რომელმან, მსგავსად მისსა და
თევდორე მომფსუესტელისა,
ქრისტესა ზედა
იჯუმია სახელი
ორთ ბუნებათაჲ, ბოროტთ ძირთაგან აღმოსრულმან".

ნესტორის აზრით, ქრისტეს აქვს გაორებული ბუნება და მარტივი უფლება (იხ.: IX.1 დასდებლის კომენტარი). ყველაზე რთული პუნქტი ნესტორისათვის იყო სახელთა ურთიერთშენაცვლება. მისი აზრით, ქრისტეს მიმართ გამოყენებული სახელები ერთ შემთხვევაში აღნიშნავენ მის ღვთაებრივ ბუნებას („სიტყვა", „ღმერთი"), მეორეში — კაცობრივს („ადამიანი", „ყრმა"), ზოგჯერ კი ორივეს („ქრისტე"). სახელთა ურთიერთშენაცვლების პრობლემა კირილე ალექსანდრიე-

86 ზ. ალექსიძე, მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის, ჟურნ. „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 3, 1973, გვ. 145-166.

87 მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 288.

ლმა გადაჭრა, რომელიც თვლიდა, რომ ქრისტეს ყველა სახელი თანასწორია და კონტექსტის მიხედვით არ უნდა იქნას გარჩეული[88].

V (II). 3. „ორ ძედ და ორ ქრისტედ განყო
ერთი უფალი ამან ბოროტმან,
ხოლო უბიწოჲ ქალწული
კაცისმშობელად იყეფა ჰურიაებრ
მწვალებელმან; სხუა
ყოფაჲ განთჳსებულად
ქრისტესი, სხუაობაჲ სიტყჳსა ღმრთისა სჯულდებულ-ყო“

ნესტორის სწავლებით, ქრისტეში არის არა ერთი, არამედ ორი პირი. ქალწულმა მარიამმა შვა ადამიანი ქრისტე და მას ღვთისმშობლის ნაცვლად უნდა ეწოდოს კაცისმშობელი. ნესტორის მიმდევარმა დოროთემ ანათემას გადასცა ყველა, ვინც მარიამს ღვთისმშობელს უწოდებდა.

V(II).4. ევტუქი და დიოსკორე,
ბოროტის მზრახნი, ორთ ბუნებათა პირველ
შეერთებისა აზმნობდეს
და კუალად შეერთებისა ერთ ბუნებად
წერდეს, ვითარმცა
მათისაებრ თქუმისა:
„ერთ ბუნებად შერევნულ იყვნეს ჴორცნი და ღმრთეებაჲ“.

ევტუქი (378-454) — კონსტანტინოპოლის ერთ-ერთი დიდი მონასტრის არქიმანდრიტი. კირილე ალექსანდრიელის ანტინესტორიანული მოძღვრების ვერგაგების შედეგად ევტიქი იესო ქრისტეში ერთი ბუნების აღიარებამდე მივიდა, რითაც საფუძველი ჩაუყარა მონოფიზიტურ წვალებას. ის ამტკიცებდა, რომ ქრისტე დაიბადა ორი ბუნებისაგან, მაგრამ მათი შეერთების აქტში ღვთაებრივმა ბუნებამ შთანთქა კაცობრივი. აქედან გამომდინარე, ევტიქი ფიქრობდა, რომ ქრისტე არ არის ჩვენი ერთარსი ადამიანობის მიხედვით.

---

88 ანტინესტორიანული ტრაქტატები არსენი ვაჩეს ძის „დოგმატიკონში“, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და ლექსიკონები დაურთო ა. ჩანტლაძემ, თბ., 1997, გვ. 195-196.

ეფესოს მეორე საეკლესიო კრებამ (449 წ.) კირილე ალექსანდრიელის მემკვიდრის — ეპისკოპოს დიოსკორეს მეთაურობით ძალისმიერად განამტკიცა აღმოსავლეთში მონოფიზიტური ერესი. პაპმა ლეონ დიდმა ამ კრებას „ყაჩაღური რბევა" უწოდა და მოითხოვა ახალი კრების ჩატარება. ქალკედონში მოწვეულმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ (451 წ.) ევტიქი და დიოსკორე ეკლესიიდან მოკვეთა.

დიოსკორე (გარდ. 454) — კირილე ალექსანდრიელის არქიდიაკონი. თავისი მოძღვრის გარდაცვალების შემდეგ ალექსანდრიის პატრიარქის საყდარი დაიკავა (444-451). ისწრაფოდა მთელ საქრისტიანოში ეგვიპტის ეკლესიის სრული ძალაუფლების დამყარებისთვის. ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა თეოდოსი მეორესთან[89].

დიოსკორე მონოფიზიტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი იყო. 449 წელს თავმჯდომარეობდა ეფესოს საეკლესიო კრებას. ის ევტიქის უჭერდა მხარს, ამიტომ კრებაზე შეაჩვენეს მისი მოწინააღმდეგეები — კონსტანტინოპოლის პატრიარქი ფლაბიანე და ხუცესი ევსები.

ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრებამ გააუქმა ეფესოს კრების გადაწყვეტილებები და დიოსკორე ეკლესიიდან განკვეთა.

## *VI გალობა*

VI.1. „ბილწნი ვინმე
სევეროზ-ივლიანე
მბრძოლებდეს ურთიერთას,
რამეთუ სევეროზ ერთსა
ბუნებასა იტყოდა
ქრისტესსა და მიითუალვიდა
ქრისტეს შორის განყოფილებასა,
ხოლო ივლიანე,
ერთსა ბუნებასა
მეტყუელი, უარჰყოფდა განყოფილებასა".

სევეროზი (465-538) — ანტიოქიის პატრიარქი 513-518 წლებში:

89 **М. Я. Сюзюмов.** Внутренняя и внешняя политика Византии и народное движение в первой половине V в. // История Византии, т. 1, М., 1967, с. 194.

„მიიტაცა რაჲ საყდარი ანტიოქიისაჲ, იგივე მანინისი და აპოლინარისი და ევტიქისი განაახლა წვალებაჲ" — გვამცნობს გიორგი ამარტოლი[90]. სევეროზი იყო მონოფიზიტობის უკიდურესი მემარჯვენე სექტის ერესიარქი. ის ქრისტეს სხეულს აღდგომამდე ხრწნადად თვლიდა — „მიითუალვიდა ქრისტეს შორის განყოფილებასა", რითაც მკვეთრად უპირისპირდებოდა მონოფიზიტების მემარცხენე სექტის ერესიარქის — ივლიანე ჰალიკარნასელის მოძღვრებას.

ივლიანე ალიკარნელი (გარდ. 518 წლის ახლოს) — ივლიანე ჰალიკარნასელი. იცავდა სევეროზ ანტიოქელის საწინააღმდეგო თვალსაზრისს და ქადაგებდა ქრისტეს სხეულის უხრწნელობას — „უარჰყოფდა განყოფილებასა". ივლიანიტობა სევერიანობისგან განსხვავებით მონოფიზიტობის უკიდურეს მემარცხენე სექტას წარმოადგენს.

## VI.2. „სავვატის დეოკლიტიანეს ზე იყო, ათოთხმეტიანთ წვალების შემნივთებელი ბოროტი"

სავვატის (III ს. ბოლო — IV ს. დასაწყისი) — წარმოშობით ებრაელი სავატი იუდაიზმიდან ქრისტიანობაზე გადავიდა და ნავატიანელმა ეპისკოპოსმა მარკიანემ ხუცესად აკურთხა. სავატმა მიზნად დაისახა ეპისკოპოსის საყდარზე დაჯდომა. მან ეს მიზანი ვერ აისრულა, ამიტომ დაიწყო მკაცრი წესების ქადაგება და მრავალი მიმდევარი გაიჩინა. სავატი ცდილობდა ეკლესიაში იუდეველთა ჩვეულებების დამკვიდრებას. აღდგომას აღნიშნავდა ნისანის თვის თოთხმეტ რიცხვში, კვირის რომელ დღესაც არ უნდა დამთხვეოდა ის. ამგვარი იყო ათოთხმეტიანელთა წვალების მთავარი დებულება.

დიოკლიტიანე — რომის იმპერატორი 285-305 წლებში, ქრისტიანობის სასტიკად მდევნელი. 303 წლის 23 თებერვალს გამოსცა ედიქტი ქრისტიანობის აკრძალვის შესახებ.

---

90 გიორგი ამარტოლი, ხრონოგრაფი, გვ. 246.

VI. 2. „და არიოზ
ბილწი — კონსტანტინეს ზე
დიდისა და მისთან ევნომი, აეტი,
ევსევი, ევდუქსი,
პოლიმონ, ნავატ და
მუნტანი — ყოველნი შევაჩუენნეთ“.

არიოზი (256-336) — ლიბიელი ერესიარქი. სადვთისმეტყველო განათლება მიიღო ანტიოქიაში, სადაც მას ასწავლიდა ლუკიანე მოწამე. იმპერატორ დიოკლეტიანეს მიერ ქრისტიანთა დევნის დროს არიოზი ალექსანდრიაში გადავიდა, სადაც ხუცესის ხარისხი მიიღო. 318 წლიდან დაიწყო ანტიტრინიტარული მოძღვრების ქადაგება, რომლის მიხედვითაც: 1. მამა ღმერთი მარადიულია, მაგრამ იყო დრო, როცა ის არ იყო მამა, რადგან არ ჰყავდა ძე; 2. ღმერთმა ძე არაფრისაგან შექმნა ყველა ქმნილებაზე ადრე და შემდეგ მისი მეშვეობით შეიქმნა სამყარო; 3. ძე არ არის მარადიული და მამის თანაარსი ομοουσιος, ის გვევლინება ღვთის უმაღლეს ქმნილებად, ღმერთად სახელით და აქედან გამომდინარე, არის არსებით მსგავსი ομοιουσιος მამისა[91].

ერთი შეხედვით, ამ საკითხს უკიდურესად განყენებული და დოგმატური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ „ერთი ასოს შესახებ დავამ“, რომელიც ორ ბერძნულ ტერმინს (ομοουσιος და ομοιουσιος) განასხვავებდა, იმდენად რთული შედეგები მოჰყვა, რომ მოითხოვა ეკლესიის უმაღლესი იერარქების და საიმპერატორო ხელისუფლების ჩარევა, მასში ჩაერთო უამრავი ხალხი, განსაკუთრებით ეგვიპტეში და აღმოსავლეთის პროვინციებში. ამ ამბების შესახებ გრიგოლ ნოსელი მოგვიანებით წერდა: „ყველაფერი — ქუჩები, ბაზრები, მოედნები, გზაჯვარედინები სავსეა ისეთი ადამიანებით, რომლებიც მსჯელობენ შეუცნობელი საგნების შესახებ; შეეკითხები, რამდენი ობოლი უნდა გადაიხადო, — ფილოსოფოსობენ შობილის და უშობელის შესახებ; გსურს, გაიგო პურის ფასი, — გპასუხობენ: „მამა აღემატება ძეს“; ეკითხები, მზად თუ არის აბანო, — ამბობენ: „ძე შეიქმნა არაფრისაგან“[92]. ხშირად საქმე ძალადობამდე და შეხლა-შემოხლამდე მიდიოდა. არიოზის ყველაზე შეურიგებელი მოწინააღმდეგის — ათანასე ალექსანდრიელის შესახებ

91 Деяния Вселенских Соборов, т. I, СПб, 1996, с. 7.

92 Памятники византийской литературы IV-IX веков. М., 1968, с. 13.

თანამედროვეები ამბობდნენ, რომ ის იბრძოდა „მთელი ქვეყნიერების წინააღმდეგ“. სასულიერო ლიტერატურის დისკუსიაში ჩაერია იმპერატორი კონსტანტინე დიდი (306-337). 325 წელს მისი ინიციატივით ნიკეაში მსოფლიო საეკლესიო კრება მოიწვიეს და არიოზის მოძღვრება დაგმეს. კონსტანტინე დიდის ბრძანებით, არიოზის თხზულებები ცეცხლს მისცეს[93]

ევნომი (გარდ. 393) — კვიზიკიის ეპისკოპოსი. წარმოშობით კაპადოკიიდან იყო. ეკუთვნოდა არიანელთა უკიდურეს მემარცხენე ფრთას. მოგვიანებით არიანელები ევნომიანებადაც იწოდებოდნენ. ევნომიოსი დაემოწაფა აეტს და ლოგიკურად დაასრულა მისი მოძღვრება. მას, როგორც ანტინიკეური კოალიციის აღიარებულ ლიდერს, ეპაექრებოდნენ ბასილი დიდი, გრიგოლ ნოსელი, აპოლინარი ლაოდიკიელი და თეოდორე მოფსუესტიელი.

ევნომიოსის სწავლებით, მამა „უსასრულოდ ერთადერთი ღმერთია“. მისი არსება შეუცნობელი რჩება ყველასათვის. მამა უშობელია. შეუძლებელია მისი არსებიდან ძის შობა, რადგან ძე არსებით სხვაა და არ ჰგავს მამას. ძე ქმნილებაა და „იყო დრო, როცა ის არ იყო“ ის უშუალოდ მამისაგან წარმოიშვა; ყველაფერი დანარჩენი კი (სული წმიდის ჩათვლით) შეიქმნა მისი მეშვეობით, ამიტომ ძე მამას ემსგავსება „უპირატესი მსგავსებით“. ევნომიოსი არისტოტელეს მოძღვრების კვალად ხშირად იმეორებდა, რომ „ღმერთს იცნობდა ისევე, როგორც ღმერთი იცნობს თავის თავს“, რის გამოც საეკლესიო ღვთისმეტყველების განსაკუთრებული რისხვა დაიმსახურა[94].

ევნომიანელებმა ეკლესიის საიდუმლოთა ინტერპრეტაციებსაც მიჰყვეს ხელი. ეპიფანე კვიპრელის ცნობით, „ევნომიან-წოდებულნი ახლად ნათელსცემენ მათდა მიმავალთა, და არა ესე ოდენ, არამედ არიანოზთაცაგანთა თავდაქცევით ფერჴთა აღმართ მოუქცევენ და ნათელ-სცემენ“ (76).

აეტი (გარდ. 367) — წარმოშობით კილიკიიდან (სირია) იყო, ცხოვრობდა ანტიოქიაში. სასულიერო განათლება მიიღო ლუკიანისტთა წრეში და მოგვიანებით იქცა არიანელთა უკიდურესი მემარცხენე

93 **В. И. Уколова**. Особенности культурной жизни запада (IV- первая половина VII в.), с. 80.

94 **А. Спасский**. История догматических движений в эпоху Вселенских Соборов. с. 355-361. **Г. Флоровский**. Восточные Отцы IV-го века. Париж. 1931, с. 19-20.

ფრთის ლიდერად. 356 წელს დაიწყო ანომეელთა („უმსგავსოთა") სწავლების ქადაგება, რომლებიც „სრულებით უცხო-ჰყოფენ ქრისტესა და სულსა წმიდასა ღმრთისაგან, მამისა დაბადებულად დაამტკიცებენ და არცა თუ მსგავსებასა რას ქონებად იტყვან"[95].

რელიგიურ გრძნობას მოკლებული აეტი ცნებათა თამაშით და არისტოტელეს დიალექტიკით ცდილობდა დოგმატიკაში სიცხადის და გარკვეულობის მიღწევას. ღვთის განსაზღვრება შესაძლებლად მიაჩნდა გეომეტრიისა და ფიგურების მოშველიებით. მასვე ეკუთვნის გამოთქმა — „ღმერთს საკუთარ თავზე უკეთ ვიცნობ". აეტი განთქმული იყო გონებამახვილობით და საზრიანობით. დისპუტებში სძლია ისეთ ცნობილ მოაზროვნეებს, როგორიც იყო ბასილი ანკვირიელი და ევსტათი სებასტიელი. მისი ერთადერთი მოწაფე იყო ევნომიოს კაპადოკიელი[96].

ევსევი (263-340) — ევსები კესარიელი, იგივე ევსები პამფილელი — პალესტინის კესარიის ეპისკოპოსი (313 წლიდან), საეკლესიო ისტორიკოსი. ქრისტიანობის ლეგალიზაციის შემდეგ დაუახლოვდა არიანულ მოძრაობას, თუმცა ქრისტოლოგიაში უფრო ორიგენეს მოძღვრებისკენ იხრებოდა[97] მისი მთავარი ნაწარმოებია „საეკლესიო ისტორია" (ქრისტიანობის ისტორია 324 წლამდე). ქართულად თარგმნილი იყო ევსების სამი ნაწარმოები: „ქებაჲ წმიდათა მოწამეთა", „სილიბისტროს, რომის პაპის წამება" და „პროკოფის წამება"[98]. ექვთიმე ათონელის ცნობით, ქართულ ენაზე არსებობდა ევსები პამფილელის მწვალებლური „წიგნიც"[99]

ევსები, არიოზის მსგავსად, განიხილვდა კოსმოლოგიურ და არა საღვთისმეტყველო პრობლემას, ამასთანავე ის უარყოფდა არიოზის მთავარ დასკვნას ძის „არაფრისაგან" შექმნის შესახებ. ევსების სწავლებით, ძე „თანადაუსაბამოა" მამისა. ის დაბადებამდე უშობელად არსებობდა მამის არსებაში. შემდეგ კი იშვა, როგორც დამოუკიდებელი ჰიპოსტასი. მან შექმნა ყველაფერი ხილული და უხილავი, მათ შორის, სული წმიდაც.

---

95 ეპიფანე კვიპრელი, ოთხმეოცთა წვალებათათჳს, 76.

96 А. Спасский. История догматических движений в эпоху Вселенских Соборов. с. 353-354. Г. Флоровский. Восточные Отцы IV-го века. Париж. 1931, с. 19.

97 კიმენი, ტ. II, გამოსცა კ. კეკელიძემ, თბ., 1946, გვ. 89.

98 კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, თბ., 1957, გვ. 43.

99 ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები, თბ., 1970, გვ. 5,12.

ამგვარად, ძე არის „შუალედური" ძალა მამასა და სამყაროს შორის[100].

ევდუქსი (IV ს.) — ევნომიოსის მიმდევარი. სხვადასხვა დროს ეპყრა გერმანიკიის, ანტიოქიის და კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის საყდარი (360-370 წლებში). ევდოქსი და მისი მიმდევრები ძეს არ მიიჩნევდნენ მამის მსგავსად, რითაც ისინი არიანელებზე შორს წავიდნენ. აღნიშნული მიზეზის გამო, ევდოქსიანელებმა „უმსგავსოთა" სახელწოდება მიიღეს.

პოლიმონ — ივლიანე განდგომილის (360-363) თანამედროვე ქრისტიანი მწვალებელი.

ნავატ — იხ. IV.1 დასდებლის კომენტარი.

მუნტანი — მონტანიზმის ფუძემდებელი. იხ. I.5 დასდებლის კომენტარი.

VI. 3. „კოსტანტინეს
ძისა კოსტანტის ზე
იყვნეს არიოზს მიმდგომნი,
ერთისა ბუნებისა და
არსების ღმრთეებისა
განმყოფელნი; და თქუნეს სამნი
არსებანი და — მამის ბუნებანი,
ძისა და სულისა
წმიდისანი; ხოლო
ჯორცნი უფლისანი უსულოდ თქუეს ბილწთა".

კოსტანტინეს ძე კოსტანტი — კონსტანტინე დიდის ძე, მისი ტახტის მემკვიდრე აღმოსავლეთში (337-361).

არიოზს მიმდგომნი — არიოზის მიმდევრები, არიანელები.
პირველმა საეკლესიო კრებამ არიანელობა დაგმო. ამის მიუხედავად,

---

100 Г. Флоровский. Восточные Отцы IV-го века. с. 11-12.

კონსტანტინე დიდის მემკვიდრეებმა კონსტანტიმ და ვალენტიმ მხარი დაუჭირეს არიოზის მიმდევრებს, რომლებსაც თითქმის მთელი ეკლესია დაუქვემდებარეს. კოსტანტი ქრისტიანული ეკლესიის დამორჩილებას ცდილობდა და თვლიდა, რომ ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელი იყო არიანელთა მხარდაჭერით. მან კონსტანტინოპოლიდან მართლმადიდებელი ეპისკოპოსები განდევნა, ალექსანდრიაში კი შეიარაღებული ძალის გამოყენებით დასვა არიანელი ეპისკოპოსი. ალექსანდრიიდან რამდენიმეგზის განდევნეს მართლმადიდებლობის დამცველი ათანასე დიდი (297-373). 359 წელს გამართულმა არიანელთა საეკლესიო კრებამ შეიმუშავა სადვთისმეტყველო კონცეფცია, რომელიც იქცა არიანელთა ეკლესიის ოფიციალურ აღმსარებლობად.

მოდერნიზებულ არიანელობას IV საუკუნის ბოლომდე ებრძოდნენ ათანასე დიდი და კაპადოკიელი მამები — ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და გრიგოლ ნოსელი.

იხ. V.3 დასდებლის კომენტარი.

## *VII გალობა*

VII.1. „დრკუჱ საბელიოს
ლიბიელი, ჰურიაებრსა
ერთსა პირსა აღსარებით
ცთომილი, ერთად
გუამსა უხრწნელისა მის
სამებისსა
იტყოდა უბადრუკი".

საბელიოსი (იხ. III.1 დასდებლის კომენტარი) ძისა და მამის თანასწორობის მტკიცებისას მივიდა მათ შორის არსებული ჰიპოსტასური სხვაობის უარყოფამდე. ის ასწავლიდა, რომ სამება არ არსებობს, არის მხოლოდ ერთი ღვთაების სხვადასხვა გამოვლინება; მისი აზრით, ღმერთი მოდუსების სახით მჟღავნდება: ძველ აღთქმაში — როგორც მამა, ახალ აღთქმაში — როგორც ძე, ხოლო შემდეგ — როგორც სული წმიდა. ამგვარად, საბელიოსი „ერთსა ბუნებასა იტყოდა წმიდისა სამებისასა და ერთსა გუამსა მრავალ-სახესა"[101] ღვთაების პირთა ამგვარი შერწყმა და შერევა ეკლესიის ისტორიაში საბელიანიზმის სახელით არის ცნობილი.

101 თეოდორე აბუკურა, ტრაქტატები და დიალოგები, გვ. 27.

VII.2. „მაკედონიოს,
რომელიცა სულსა წმიდასა
აგებულსა ბუნებად
იტყოდა ბილწი
და ძისა მიერ ყოფად
მოყვანებულად,
რამეთუ ერთად ძისაგან
შექმნილთაგანად ჰგმობდა მას ბოროტი".

მაკედონიოს (გარდ. 362) — „სულისმბრძოლთა წვალების" (პნევმატომაქთა ერესის) ფუძემდებელი, კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი 342-346 და 351-360 წლებში. მისი სწავლებით, სული წმიდა დაბლა დგას მამასა და ძეზე, ის ანგელოზებს ჰგავს და მათ მსგავსად შექმნილია. ეს უკანასკნელი დებულება გვიანდელ არიანელებს თავიანთი დოქტრინის გაგრძელებად მიიჩნდათ: არა მარტო ძე, არამედ სული წმიდაც ქმნილებაა და ისინი მხოლოდ მსგავსნი არიან მამის არსებისა. იდეათა ამგვარი თანხვედრის გამო, „სულის მბრძოლები" ნახევრად არიანელებად იწოდებოდნენ.

„სულისმრძოლებმა" ივლიანეს მეფობის დროს (361-363) ისე ფართოდ გაავრცელეს თავიანთი წვალება, რომ კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებას (381 წ.) ესწრებოდა 36 „სულისმბრძოლი" ეპისკოპოსი. ამის მიუხედავად, კრებამ დაგმო „სულისმბრძოლთა, ანუ ნახევრად არიანელთა ერესი"[102].

VII.3. „კუალად — მარკელლე,
რომელი არა ერთგუამოვნად
განასაზღვრებს ღმრთის სიტყუასა,
არამედ რადმე
გამოკლთოლვილად; და შეკრებად,
მამისა ძალისაგან
გამომავალად, კუალად
მისდავე მართ შეკრებილად იჩქურა".

102 Правила Православной Церкви с толкованиями **Никодима**, епископа далматинско-истрийского. Т. I, с. 239.

მარკელლე (280-374) — ანკვირიის ეპისკოპოსი. ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე არიანელთა წინააღმდეგ გამოდიოდა და იცავდა ძისა და მამის თანაარსობას. ცნობილი არიანელის ასტერიოსის კრიტიკას მან ცალკე თხზულებაც უძღვნა, საიდანაც მხოლოდ ციტატებიღა შემოგვრჩა ევსები კესარიელის წიგნში „მარკელიოსის წინააღმდეგ“.

მარკელიოსი ნიკეის კრების შემდეგ იბრძოდა არიანელების და ნახევრად არიანელების წინააღმდეგ. მათი დოქტრინის უარყოფისას მარკელიოსი ისე შორს წავიდა, რომ საბელიანიზმში ჩავარდა („პირველადვე საბელიოჲსა ზრახვიდა“) და ამასთან ერთად დაუახლოვდა პავლე სამოსატელის მოძღვრებას. მარკელიოსი თვლიდა, რომ ძე ღვთისა არ არის მარადიული, ამიტომ დაუშვებლად მიაჩნდა მისი მოხსენიება მარადიულ „ჰიპოსტასურ სიტყვად“. ამის შესაბამისად ის ასწავლიდა, რომ ქვეყნის აღსასრულის დადგომასთან ერთად დასრულდებოდა ქრისტეს მეუფება და მისი არსებობაც კი.

კონსტანტინოპოლის მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მარკელ-იანოზთა ერესი დაგმეს. მათი სწავლების საწინააღმდეგოდ კრებამ ნიკეის სიმბოლოს დაუმატა სიტყვები: „რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ“.

VII. 4-5. „მანიქეველი
ნაცვალად ერთის კეთილდასაბამისა
და ერთის დამბადებელისა
კეთილ-ბოროტთა
ორთა დასაბამთა და
ორთ დამბადებელთა
— კეთილსა და ბოროტსა
და ორსა ბუნებასა დაბადებულთასა
კეთილ-ბოროტსა
იტყჳს უბადრუკი იგი“.

მანიქეველი — მანი. დამოწმებულ დასდებლებში ტბელ აბუსერისძე ისევ უბრუნდება მანის დუალისტურ მოძღვრებს (იხ. IV გალობის კომ-ენტარი).

VII.5. „და კუალად:
ვალენტიოს, ვასილიოს

და საბელიოს
— მანიქეოს სამნი,
მარკიონ: არ ჭეშმარიტებით
ჴორცთაგან და სულისა
გამოცხადებაჲ ქრისტესი, არამედ კაცთად იოცნეს".

ვალენტიოს — გნოსტიკოსი ვალენტინე (იხ. უალენტიანონ — I.5 დასდებლის კომენტარი).

ვასილიოს — ბასილიდე, მეორე საუკუნის ალექსანდრიელი გნოსტიკოსი.

საბელიოს — იხ. VII.1 დასდებლის კომენტარი.

მარკიონ — სინოპელი გნოსტიკოსი (იხ. I.5 დასდებლის კომენტარი).

## *VIII ბალობა*

VIII.1. „მანი ვინმე ცით
და ეთერისა ჴორცთა
თავისა თჳსისა თანა
გარდმოტანებასა
და ამით ჴორცთშესხმასა ქრისტესასა იტყოდა".

ეს „მანიქეველებრივი" აზრი დასტურდება ეფრემ მცირის „სამოციქულოს განმარტებაში", ასევე გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფში": „ევტუქი... ზეცით გარდამოსრულად იტყოდა ჴორცთა უფლისათა... ესრეთ მანიქეველებრივითა ამით სიტყჳთა და ფრიად უმეტეს მისსა მაოცნებელობითითა ერთსა ბუნებასა ქრისტჱსსა აღიარებდა ესეცა"[103].

VIII.1. „მისრის ივლიანე
ალიკარნელი,

---

103 გ ი ო რ გ ი ა მ ა რ ტ ო ლ ი, ხრონოგრაფი, გვ. 246.

გაიანე ალექსანდრელი
ჩუენგან მიხუმულთა
ჴორცთა ქრისტესათა შეერთებისგანვე უხრწნელად
აზმნობდეს".

ივლიანე ალიკარნელი — ივლიანე ჰალიკარნასელი (იხ. VI.1 დასდებლის კომენტარი), რომელიც ქრისტეს ერთბუნებოვნების იდეას ასე ავითარებდა: „ქრისტეს სხეული უხრწნელია, რადგან თუკი ხრწნილად ვიტყვით მას და არა უხრწნელად, განსხვავებას შევიტანთ სხეულსა და ღვთის სიტყვას შორის, ხოლო განსხვავების შეტანით ორბუნებოვანი აღმოჩნდება ქრისტე"[104]

გაიანე ალექსანდრიელი — ივლიანიტი, ტიმოთე IV ალექსანდრიელის მთავარდიაკონი (520-536). ტიმოთეს გარდაცვალების შემდეგ ეგვიპტელი მონოფიზიტები ორ ბანაკად გაიყვნენ. ივლიანიტებმა ალექსანდრიის პატრიარქის საყდარზე გაიანე დასვეს (537-538), რის შემდეგაც ივლიანიტები გაიანიტებადაც იწოდებოდნენ.

დასდებელში ნათქვამია, რომ, ივლიანესა და გაიანეს აზრით, ქრისტეს სხეული „უხრწნელია" საღვთო და ადამიანურ ბუნებათა შეერთების შემდეგ ანუ „შეერთებისგანვე" (შდრ.: VI.1 დასდბელი).

VIII.2. „დამიანოს დრკუჲ
და მარწმუნებელნი
არამართლად აღსწერდეს
ჴორცთა შესხმასა
ღმრთისა სიტყჳსასა, არამედ ვითართუმცა
ხატი იყო იგი
განთჳსებულის
გუამისაჲ და ძეობით პირებისა
თჳთებაყოფად
იკადრებდეს განჴორციელებასა მისსა".

დამიანოს — ანტიოქიის მონოფიზიტი პატრიარქი 578-580 წლებში, ეკუთვნოდა სევერიანელთა სექტას. ფილიპონიაებთან დავის დროს გან-

104 სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, II, გვ. 22.

ავითარა საბელიანისტური და ტეტრადიტური იდეები. მისი მტკიცებით, „სამების ყველა პირი არ არის ბუნებით და თავისთავადობით („თჳთებით") ღმერთი. მაგრამ სამივე მათგანს თავის თავში გააჩნია საერთო ღმერთი κοινον θεον, კერძოდ კი — მათთვის დამახასიათებელი ღმრთეება ηγουν ενυπαρκτον θεοτητα, რომელშიც (ე. ი. ღმრთეებაში) თანამონაწილეობენ განუყოფლად. ამასთან ერთად, თითოეული მათგანი გვევლინება ღმერთად ειναι θεον εκαστον. ყოველი თვისება ღმერთში ქმნის ჰიპოსტასს და პირს". ამგვარად, დამიანეს სწავლებით, სამება წარმოადგენს სამ საღვთო ინდივიდს, მათგან განცალკევებით დგას ღმრთეება, მათი საერთო საღვთო არსი[105]. დასდებელში ტბელ აბუსერისძე დამიანოსის ამ აზრს გადმოგვცემს, ჩვენთვის უცნობ ქართულ წყაროზე დაყრდნობით.

VIII.3. „კუალად — ფოტინე,
მარკელლე ქრისტესა
ღმერთად და ღმრთისა სიტყუსა
ერთგუამოვნებად
უვარმქმნელნი".

ფოტინე (IV) — მარკელიოსის მოწაფე. დაიბადა ანკვირიაში, სადაც დიდხანს იმსახურა დიაკვნად და შემდეგ სრემის ეპისკოპოსი გახდა. მისი სწავლება მცირედით განსხვავდება პავლე სამოსატელის მოძღვრებისაგან. ფოტინე უარყოფდა წმინდა სამებას და შემოქმედ ღმერთს მხოლოდ სულს უწოდებდა, ძე კი არისო სიტყვა, რითაც ღმერთი თავის ნებას გამოთქვამს. ქრისტე, ფოტინეს აზრით უბრალო ადამიანი იყო, რომელიც ღვთის ნებას აღასრულებდა მიწაზე. ის არ იყო ღვთის მსგავსი და თანაარსი, აქედან გამომდინარე, არც მარადიული, რადგან დასაბამი მარიამისაგან მიიღო[106].

ფოტინე დასავლეთის ორმა საეკლესიო კრებამ შეაჩვენა (345 და 347 წლებში). მისი მოძღვრება დაგმო აგრეთვე II მსოფლიო საეკლესიო კრებამ.

მარკელლე — იხ. VI.9 დასდებლის კომენტარი.

---

105 Догматика Православне Цркве, од јромонаха Др. Јустина, I, с. 192.

106 Правила Православной Церкви с толкованиями Никодима, епископа далматинско-истрийского. с. 24-244.

VIII.3. „და მაშინვე იყო ევსტატი სევასტიელი
და ევჰიტთ წვალების
მთავარი, მესალიანად რომელ
იწოდებიან
და ენთჳსიასტად ადელფოჱსგან, დადოჱსა".

ევსტატი სევასტიელი (გარდ. 380) — ნახევრადარიელი, წარმოშობით კაპადოკიელი, სებასტიის ეპისკოპოსი 355 წლის ახლოს. პონტოსა და სომხეთში საფუძველი ჩაუყარა ბერმონაზვნულ ცხოვრებას. ქადაგებდა მკაცრ, ანტიევანგელურ ასკეტიზმს. მის სახელს უკავშირდება მესალიელთა სექტის წარმოშობა. 340 წელს მოწვეულმა ღანგრის ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ ევსტათი სებასტიელი და მისი ყველა მიმდევარი ანათემას გადასცა[107]

## მესალიელთა სექტა

IV საუკუნეში სირიის და მცირე აზიის ბევრ მონასტერში წარმოიშვა მესალიელთა ერესი, რომელთა სწავლებით, ღმერთთან შეერთებისა და ხსნის ერთადერთი გზაა ლოცვა, რომელიც ადამიანს სული წმიდით ავსებს. აქედან მომდინარეობს სექტის სახელწოდებები „მესალიელი" (ებრ.) და „ევქიტი" (ბერძნ.), რომლებიც „მლოცველად" ითარგმნება. ამ წვალების მიმდევრები ენთუზიასტებადაც იწოდებოდნენ.

ევქიტთა სექტაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ეპიფანე კვიპრელის მიერ დამოწმებული „თავნი მისვე წიგნისაგან მასსალიანელთა", რომლის მიხედვითაც: ადამიანის სულში თანამკვიდრობენ სატანა და სული წმიდა; სატანის განდევნა ნათლისღებით შეუძლებელია, და ადამიანი განიწმინდება მხოლოდ ლოცვით; აუცილებელია, ადამიანის სული იმგვარსავე თანაზიარობას შეიგრძნობდეს ზეციურ სიძესთან, როგორც ცოლი გრძნობს ქმართან შეერთებას; სული, რომელსაც ყოველ გრძნობასა და ქმედებაში არ ჰყავს შემოსილი ქრისტე, არის მტრული ძალების სამკვიდრებელი; მლოცველ ადამიანს ნათელში შეიძლება მაცხოვარი მოევლინოს; ბოროტება ბუნებით არსებობს, მაგრამ ადამიანს ძალუძს მისი ლოცვით განდევნა და სული წმიდის ჰიპოსტასის მიღება მთელი მისი

107 დიდი სჯულისკანონი, გვ. 242-246.

სისრულით და ქმედებით[108].

მთლიანად მესალიელთა ერესის განქიქებას ეძღვნება ღანგრის საეკლესიო კრების კანონები, საიდანაც ირკვევა, რომ ევქიტები კრძალავდნენ ქორწინებას, ხორცის ჭამას, ბატონებისადმი მორჩილებას, უგულვებელყოფდნენ ეკლესიას, გარბოდნენ ოჯახებიდან, მოჩვენებით ატარებდნენ მოღვაწისათვის შესაფერის სამოსელს, მარხულობდნენ კვირა დღეს, არ იცავდნენ ეკლესიის მიერ დადგენილ მარხვას, არ ესწრებოდნენ მოწამეთა მოსახსენებელ კრებებს და ჟამისწირვებს[109].

ადელფოჲ (IV ს.) — მესალიელთა წვალების იდეოლოგი. ცხოვრობდა ედესის ერთ-ერთ მონასტერში. ეპიფანე კვიპრელის ცნობით, ადელფოსი წვალებაში ამხილა ფლაბიანემ — ანტიოქიის ეპისკოპოსმა 380-403 წლებში[110].

დადოჲ — მესალიელთა სექტის ერთ-ერთი ლიდერი. ეპიფანე კვიპრელი მას ამ ერესის წინამძღვართა ჩამონათვალში პირველ ადგილზე მოიხსენიებს: „წვალებისა წინამძღუარ იქმნნეს: დადოჲ და საბა და ადელფიოს და ერმი და სჳმეონ ვინმე და მათ თანა სხუანი".

VIII.4. „საბა, სჳმეონ,
ბოროტად მზრახვალნი:
„ნათლისღებისგან შენდობაჲ
არ იქმნებისო,
არცა სული წმიდაჲ მოეფინებისო,
არამედ ეშმაკი
მოღუაწებითა
და მარხვითა განიდევნებისო".

საბა, სჳმეონ— მესალიელთა წვალების ლიდერები. მოხსენიებული არიან ეპიფანე კვიპრელის თხზულებაში „ოთხმეოცთა წვალებათათჳს", მასზე დაყრდნობით კი — გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფში": „ესრეთ

108 იოანე დამასკელი, მწვალებლობათა შესახებ, გვ. 135-136.
109 დიდი სჯულისკანონი, გვ. 244-245.
110 ეპიფანე კვიპრელი, „ოთხმეოცთა წვალებათათჳს", 80. იხ. ასევე: იოანე დამასკელი, მწვალებლობათა შესახებ, გვ. 140-141.

უკუე მასსალიელთა, რომელ არიან ევჰიტად და ენთუსიასტად სახელდებულნი იგი, ადელფოჲსგან და დადოისსა და საბა და სჳმეონ წვალებისმთავართაჲსა"[111].

VIII.4-5. „და ივლიანოს ზე
მეფისა იყვნეს ასტერიპპოს და მაქსიმოს;
სავვატ, პოლემონ,
პორფირ ტჳრიელი,
რომელნი სარწმუნოებასა ზედა
ჩუენსა ძმაცუვიდეს
მრავლითა სივერაგითა".

ივლიანო — ბიზანტიის იმპერატორი ივლიანე განდგომილი (361-363).

ასტერიპპოს, მაქსიმოს, სავვატ, პოლემონ, პორფირ ტვირიელი — ივლიანე განდგომილის თანამედროვე მწვალებლები.

VIII.5. „და კუალად თევდორე
ანტიოქელი
და დიოდორე
ტარსელი ჴორცთა ქრისტესთა
ღმრთისგან კიდე
განჰყოფდეს — შეჩუენებულნი, უკუეთურნი!"

თევდორე ანტიოქელი — თეოდორე მოფსუესტიელი (იხ. V.6 დასდებლის კომენტარი).

დიოდორე ტარსელი (გარდ. 390 წ.) — ანტიოქიის ადრექრისტიანული სკოლის წარმომადგენელი. მისდევდა მკაცრ მონაზვნურ ცხოვრებას. იმპერატორ კონსტანტის დროს იცავდა მართლმადიდებლობას, ივლიანეს დროს კი წარმართობას ამხელდა. 379 წელს ტარსუს ეპისკოპოსად აკურთხეს. ესწრებოდა მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებას (381

111 გიორგი ამარტოლი, ხრონოგრაფი, გვ. 381.

წ.). იოანე ოქროპირმა მას ქება მიუძღვნა. ანტინესტორიანული დავის დროს დიოდორე ტარსელი ნესტორის წინამორბედად გამოაცხადეს[112].

ცნობები დიოდორე ტარსელის მწვალებლობის შესახებ კირილე ალექსანდრიელის ანტინესტორიანულ ტრაქტატშია მოცემული, სადაც აღნიშნულია, რომ ის ადრე პნევმატომაქთა იდეებს იზიარებდა, შემდეგ კი „სხუასა შთავარდა სნეულებასა, რამეთუ მოიგონა და დაწერა, ვითარმედ თჳსაგან სხუაჲ ძე არს თესლით დავითისით წმიდისა ქალწულისაგან შობილი იგი, და კუალად თჳსაგან სხუაჲ — ღმრთისა მამისაგან შობილი იგი". მისი აზრით, ღვთის ძისა და კაცის ძის შეერთება მოხდა „მხოლოდ პატივითა ოდენ და ღირსებითა და სწორპატივობითა"[113].

## *IX გალობა*

IX.1. „ნისტორ, დაწყეულმან მან,
ერთი ქრისტე და ძე ორ ძედ
და ორ ქრისტედ განყო დრკუმან;
არამედ წმიდაჲ
ქალწული არა ღმრთისმშობელად,
არამედ კაცისმშობელად თქუა
ცოფმან მძჳნვარემან მან".

ნისტორჲ — იგივე ნესტორი. იხ. V (II). 1-2 დასდებლის კომენტარი.

ნესტორი მიიჩნევდა, რომ ქრისტეში ღვთაებრივისა და ადამიანურის ერთიანობა გარეგნული ხასიათისაა. ქრისტე გარედან წარმოგვიდგება, როგორც ერთიანი პიროვნება, თავის თავში კი ის იყოფა ორ პირად — ღვთის ძედ და მარიამის ძედ, რომელთა შორის არსებობს მხოლოდ მორალური კავშირი. მარიამმა შვა ადამიანი და არა ღმერთი. იესო ქრისტე ჩვეულებრივი ადამიანია, რომელიც ჩასასახლებლად აირჩია ღვთის სიტყვამ. აქედან მომდინარეობს ნესტორის დასკვნა, რომ ქალწულ მარიამს უნდა ეწოდოს კაცისმშობელი ανθρωποτοκος და არა ღვთისმშობელი θεοτοκος[114].

---

112 Архиепископ **Филарет (Гумилевский)**. Историческое учение об Отцах Церкви, т. 2, Свято-Троицкая Сергиева лавра, 1996, с. 5-6.

113 ანტინესტორიანული ტრაქტატები არსენი ვაჩეს ძის „დოგმატიკონში", გვ. 79.

114 იქვე, გვ. 194-196.

IX.1-2. „ხოლო სხუანიცა გამოჩნდეს: ევტუქი, დიოსკორე...

### მონოფიზიტობა

მონოფიზიტები ფიქრობდნენ, რომ თუკი ქრისტეში სრულყოფილი ადამიანური ბუნების არსებობას ვაღიარებთ, უნდა ვაღიაროთ ადამიანური ჰიპოსტასიც, ქრისტეში ორი ჰიპოსტასის აღიარებას კი ნესტორიანობამდე მივყავართ. ამგვარი ლოგიკით მივიდნენ ისინი ქრისტეში ერთი — ღვთაებრივი ბუნების აღიარებამდე. მათი სწავლებით, ქრისტე ჭეშმარიტი ღმერთია, მაგრამ ის არ არის ჭეშმარიტი, სრულყოფილი ადამიანი[115].

მონოფიზიტობის ქრისტოლოგიური ერესი კონსტანტინოპოლელმა არქიმანდრიტმა ევტიქიმ დააფუძნა, ალექსანდრიის პატრიარქის დიოსკორეს მხარდაჭერით.

ქალკედონის საეკლესიო კრების (451 წ.) შემდეგ მართლმადიდებელთა და მონოფიზიტთა შორის ურთიერთობა უკიდურესად გამწვავდა. მონოფიზიტებმა და მათ მიერ ცთუნებულმა ბერებმა აიღეს ალექსანდრია, ანტიოქია და იერუსალიმი, საიდანაც განდევნეს ქალკედონიტი ეპისკოპოსები. მწიფდებოდა რელიგიური ომი. მისი თავიდან აცილების მიზნით, იმპერატორმა ზენონმა 482 წელს გამოსცა ე. წ. ჰენოტიკონი — კომპრომისული შეთანხმება მონოფიზიტურ იერარქიასთან ქალკედონამდელ საფუძველზე. პაპმა ფელიქს II-მ კონსტანტინოპოლი დაადანაშაულა ქალკედონიტობისაგან გადახრაში. ამის საპასუხოდ კონსტანტინოპოლის პატრიარქი აკაკი (471-488) პაპს ჩამოშორდა. ასე წარმოიშვა „აკაკის სქიზმა" — 35-წლიანი განხეთქილება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

მონოფიზიტებთან შერიგება შემდგომში იმპერატორმა იუსტინიანემ (527-565) დააპირა, რომელმაც 553 წელს კონსტანტინოპოლში მეხუთე მსოფლიო საეკლესიო კრება მოიწვია. იუსტინიანეს მცდელობა უკვე ნაგვიანევი იყო, რადგან მონოფიზიტებს ამ დროისათვის უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდათ საეკლესიო ორგანიზაციები.

მალე დავამ მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის კავკასიაშიც გადმოინაცვლა. საქართველოში მონოფიზიტთა ძირითად დასაყრდენს

---

115 Иерей **Олег Давыденков**. Догматическое богословие, ч. III, с. 116-118.

სომხეთის მოსაზღვრე რეგიონები წარმოადგენდა. VII საუკუნის დამდეგს ცურტავში სომხური ღვთისმსახურების აკრძალვა და მოსე ცურტაველი ეპისკოპოსის საქართველოდან განდევნა სომხურ-ქართული საეკლესიო განხეთქილების საბაბი გახდა[116]. საქართველოს ეკლესია ქალკედონიტობის ერთგული დარჩა. სომხეთმა და ალბანეთმა კი, ირანული ორიენტაციის გამო, მონოფიზიტური დოქტრინა გაიზიარეს.

მომდევნო პერიოდში საქართველოსა და სომხეთს შორის პოლიტიკური ურთიერთობის გამწვავებას თან ახლდა სომხურ-ქართული საეკლესიო პოლემიკის გააქტიურებაც. მეზობელი სახელმწიფოების ურთიერთობა გამწვავდა VIII-IX საუკუნეებში, როცა სომხეთი საქართველოს სამხრეთ სანაპირო ზონაში — ლორე-ბამბაკსა და გარდაბნის საერისთავოში შეიჭრა და მონოფიზიტური (გრიგორიანული) აღმსარებლობა გაავრცელა[117] ამ ფაქტისადმი ქართული ეკლესიის მწვავე რეაქციას კარგად გამოხატავს „გობრონის წამება", სადაც სტეფანე მტბევარე წერს: „ამისთჳს ძირი იგი სიმწარისაჲ დაენერგა მათ შორის და ღუარძლი იგი სიბოროტისაჲ აღმოსცენდა, და ცოდვაჲ იგი წვალებისაჲ აღორძინდა და ნაყოფი იგი წარყმედისაჲ გარდაემატა მათ ზედა. რამეთუ მიწაჲ იგი სომხითისაჲ ამპარტავან, და მკჳდრნი მისნი ცუდად მზუაობარ, ანგაჰარ, ლაღ და ცოდვის მოყუარე, ამპარტავან, უწყალო, უყუარულ და ყოვლითა უკეთურებითა სავსე, რომელსა შინა არა იპოვა თავისა მისადრეკელი ქრისტჱსი, რომელთათჳს ქრისტე ცუდად მოკუდა"[118].

სომხებთან მეზობლობის გამო შუა საუკუნეების საქართველოში ყოველთვის იდგა მონოფიზიტობის პრობლემა. ერთ-ერთ ამგვარ საეკლესიო პოლემიკაში მონაწილეობა მიიღო ტბელ აბუსერისძის წინაპარმა — გრიგოლ აბუსერისძემ. 1046 წელს ის დაესწრო ღრტილას საეკლესიო

---

116 ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1968, გვ. 7, 133, 156; არსენი საფარელი, განყოფისათჳს ქართველთა და სომეხთა, ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ, თბ., 1980, გვ. 32-36.

117 პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. IV, გვ. 390.

118 სტეფანე მტბევარი, გობრონის წამება, წიგნში: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა, ც. ჯღამაიამ, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1963, გვ. 175.

კრებას, რომელზეც პოლემიკა გაიმართა სომეხთა მოძღვართან — სოსთენთან: „მას ჟამსა არავინ იპოვა სიტყუს-მგებელი ძლიერი, გარნა ვიეთნიმე ეზრახნეს მცირედ რაჲმე, რომელნიმე დახუდეს მელქაძე წურწყაბელი, სანანო ყუელელი, გრიგოლი აბუსერის ძე, გაბრიელ უკის ძე ვინმე, გარნა ვერ წინა-აღუდგეს უმეცრებისათჳს წიგნთა მათთასა“[119] სომხებთან სარწმუნოებრივი პოლემიკაში გამარჯვება მხოლოდ ექვთიმე გრძელის ჩარევით გახდა შესაძლებელი[120]

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერაში“ (1103 წ.) ცალკეა საუბარი „ხაჩეცართა“ წვალებისაგან მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე მოქცეულთა შესახებ[121] ქართულ ენაზე არსებობდა სომეხ იაკობიტთა ეკლესიაში მიღების სადვთისმსახურო წესი და განგება, სათაურით: „შეჩუენებანი იაკობიტთა და ყოველთა ერთ-ბუნებიანთანი, რომელთა თანა არიან სომეხნიცა“[122]. ნიშანდობლივია, რომ ქართული საეკლესიო პოლემიკური მწერლობა გამოირჩევა ანტიმონოფიზიტური ტექსტების სიუხვით[123]

IX.2. „ევტუქი, დიოსკორე,
ტიმოთ, სევეროზ, იაკობ,
თევდოსი და გაიანოს,
ივლიანისთან
პეტრე, ბარსანოფი — რომელნი
საოცრად კაცქმნასა ქრისტესასა
ყეფდეს და ორ ბუნებად
უარჰყოფდეს ქრისტესა“.

ევტუქი, დიოსკორე — იხ. V(II).4-5 დასდებლების კომენტარები.

ტიმოთ (V ს.) — ტიმოთე ელური („კატა“), ალექსანდრიის პატრიარქი 457-477 წლებში მნიშვნელოვანი წყვეტილებით. უკიდურესი

---

119 სიტყჳს-გება ბერისა ეფთჳმე გრძელისა სოსთენის მიმართ, სომეხთ მოძღურისა, კრებულში: ლიტერატურული ძიებანი, თბ., 1983, გვ. 279.

120 კ. კეკელიძე, ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში — ეტიუდები, IV, გვ. 90-104.

121 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1970, გვ. 119.

122 მ. რაფავა, უცნობი ავტორის ანტიმონოფიზიტური ტრაქტატი, გვ. 17-31.

123 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 486-496.

მონოფიზიტების (ევტიქე და დიოსკორე) შეხედულებას ქრისტეს ბუნების შესახებ ემიჯნებოდა უმთავრეს საკითხში: ქრისტეს თვლიდა კაცის ერთარსებად. ამ ნიშნით მისი მოძღვრება უფრო იაკობიტურს უახლოვდებოდა[124].

სევეროზ — იხ. VI.1 დასდებლის კომენტარი.

იაკობ (გარდ. 578) — ედესის ეპისკოპოსი იაკობ წანწალოსი. სევერიანელთა სექტის მეთაური 542-543 წლებიდან. იაკობს თავისი მოძღვრება არ შეუქმნია და სევერიანულ იდეებს უცვლელად ქადაგებდა, მაგრამ მან მოახერხა იერარქიული ორგანიზაციისა და დამოუკიდებელი ეკლესიის ჩამოყალიბება, რომელიც დღემდე იაკობიტურის სახელით არის ცნობილი. მისი სახელი მიიღო სევერიანულმა მოძღვრებამაც, რომელსაც უწოდებენ როგორც „იაკობიტურს", ისე „სევერიანულ-იაკობიტურს"[125].

თევდოსი — ეგვიპტელი ბერი, მონოფიზიტობის მხურვალე დამცველი. 452 წელს პალესტინაში ევტიქიანთა აჯანყება მოაწყო. აჯანყებულებმა იერუსალიმი აიღეს და გაძარცვეს. ქალაქში წესრიგის აღდგენის შემდეგ, თევდოსი იძულებული გახდა, სინას მთაზე გაქცეულიყო, საიდანაც მონოფიზიტობის მხარდაჭერას სიცოცხლის ბოლომდე განაგრძობდა.

გაიანოს — იხ. VIII.1 დასდებლის კომენტარი.

ივლიანე — იხ. VI.1 დასდებლის კომენტარი.

პეტრე (გარდ. 488) — ანტიოქიის პატრიარქი 471-488 წლებში (წყვეტილებით). მას მიაწერენ სამწმინდაობის ფორმულაში („წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდავო") გამოთქმის — „რომელი ჩუენთჳს ჯუარს ეცუ"-ს შეტანას. სომხეთში ეს ფორმულა ხაჩეცარის სახელით არის ცნობილი[126].

ბარსანოფი — მონოფიზიტური მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი. ანასტასი სინელი „წინამძღვარში" მას ერთბუნებიანთა წვალების „ათ რქათა" შორის იხსენიებს.

124 არსენი საფარელი, განყოფისათჳს ქართველთა და სომეხთა, გვ. 109-110.
125 იქვე, გვ. 22.
126 იქვე, გვ. 107.

IX.3. „ჰერაკლე მეფისა ზე
იყვნეს: ზოსიმე და ზენონ,
სერგი, პიროს, კჳროს, მაკარი,
ონორი, მოჰმედ".

## მონოთელიტები

მონოფიზიტებთან შერიგების და ამით ბიზანტიის იმპერიის რელიგიური მთლიანობის აღდგენის ბოლო მცდელობა ეკუთვნის ჰერაკლე კეისარს (610-641). ამისთვის შეიმუშავეს სპეციალური ქრისტოლოგიური პლატფორმა, რომელიც მონოთელიტობის (μονος — მხოლო და θελημα — ნება) სახელით არის ცნობილი.

მონოთელიტურ პლატფორმას მალე გამოუჩნდა მოწინააღმდეგეები. ანტიმონოთელიტური მოძრაობის მამამთავრებად გვევლინებოდნენ ალექსანდრიის პატრიარქი იოანე (გარდ. 619), სოფრონ იერუსალიმელი (გარდ. 638) და მაქსიმე აღმსარებელი (გარდ. 662). 680-681 წლებში მოწვეულ მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მონოთელიტობა დაგმეს, რითაც ქრისტოლოგიურ პაექრობათა ეპოქა დასრულდა.

როგორც ვ. ბოლოტოვი მიუთითებს, მონოთელიტობის წარმოშობის შესახებ არსებობს ორი ურთიერთგანსხვავებული ვერსია. პირველი, არაოფიციალური ვერსია ეკუთვნის სერგი კონსტანტინოპოლელს, რომლის მიხედვით, ჰერაკლე კეისარი სპარსეთში ლაშქრობის დროს შეხვდა მონოფიზიტ-სევერიანელთა ლიდერს — პავლეს (ცალთვალას). ამ შეხვედრის დროს შემთხვევით გამოითქვა უნიის ფორმულა: „ქრისტეს ერთი მოქმედება (ანუ ენერგია)". მეორე, ოფიციალური ვერსიით, რომელიც მაქსიმე აღმსარებელს ეკუთვნის, უნია დიდი ხნით ადრე მომზადდა თვით სერგი პატრიარქის მიერ, რომელმაც ურთიერთობა დაამყარა რამდენიმე მართლმადიდებელ და მონოფიზიტ პატრიარქთან[127]

მონოთელიტური მოძრაობის ლიდერები ჰერაკლე კეისართან და სერგი კონსტანტინოპოლელთან ერთად იყვნენ: კვიროს ალექსანდრიელი, თეოდორე ფარანელი, ონორი რომაელი, კონსტანტინოპოლის პატრიარქები პიროსი, პავლე და პეტრე, მაკარი ანტიოქიელი და მისი მოწაფე სტეფანე. ტბელ აბუსერისძის ჰიმნოგრაფიული კანონის IX.3 დასდებელში ისინი დასახელებული არიან, როგორც ჰერაკლე კეისრის (610-641) თანამედ-

127 В. В. Болотов. Лекции по истории древней церкви, т. 4, СПб, 1918, с. 447-448.

როვე მწვალებლები. მონოთელიტი ერესიარქების სრული ჩამონათვალი მოცემულია IX(II) გალობის პირველ დასდებელში (იხ. კომენტარი).

მოჰმედ (570-632) — მაჰმადი (მუჰამედი), ისლამისა და მუსლიმანური სახელმწიფოს დამაარსებელი. მაჰმადიანები მას უდიდეს წინასწარმეტყველად და ღვთის უკანასკნელ მოციქულად მიიჩნევენ: „არ არის ღმერთი ალაჰის გარდა და მუჰამედია მისი მოციქული“ — აცხადებენ ისინი. მუჰამედი წარმოშობით კურაიშიტთა ტომიდან იყო, ეკუთვნოდა დიდგვაროვანი, მაგრამ გაღარიბებული ბანუჰაშიმის გვარს. ადრე დაობლდა, რის გამოც იძულებული გახდა მწყემსად წასულიყო. შემდეგ მდიდარი მექელი ვაჭრის ქვრივზე დაქორწინდა და ვაჭრობას მოჰკიდა ხელი. არაბეთსა და მის ფარგლებს გარეთ გაეცნო იუდაისტურ და ქრისტიანულ, კერძოდ, ნესტორიანულ სწავლებას. 610 წლიდან დაიწყო ახალი რელიგიური მოძღვრების ქადაგება, რომელსაც ისლამი (არაბ. „მორჩილება“) უწოდა. ისლამის მთავარი რელიგიური წიგნი „ყურანი“, გადმოცემის მიხედვით, მას მთავარანგელოზმა ჯიბრაილმა (გაბრიელმა) უკარნახა ჰირის მთაზე, მექასთან ახლოს. კურაიშიტთა ტომის წინამძღოლები ისლამის ქადაგებას მტრულად შეხვდნენ, რის გამოც მუჰამედი იძულებული შეიქმნა 622 წელს იატრიბში (მედინაში) გადასულიყო. აქედან იღებს სათავეს მუსლიმანური წელთაღრიცხვა „ჰიჯრა“. მედინაში მაჰმადმა შექმნა მუსლიმანთა მრავალრიცხოვანი საკრებულო, რომელიც მალე გაძლიერდა და 630-631 წლებში დაეუფლა მექას. მაჰმადი მედინაშია დასაფლავებული. მისი აკლდამა მუსლიმანთა მეორე წმინდა ადგილად ითვლება მექაში არსებული მთავარი სალოცავის — ქააბის შემდეგ.

მაჰმადიანები არაბეთის მნიშვნელოვან ნაწილს მუჰამედის სიცოცხლეში დაეუფლნენ. ასე შეიქმნა პირველი ისლამური თეოკრატიული სახელმწიფო, რომლის ძალაუფლებაც VIII საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთით ირანს, დასავლეთით ესპანეთს და სამხრეთით ეგვიპტეს სწვდებოდა.

რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ქრისტიანებს ეგონათ, რომ მათ თვალწინ წარმოშობილი ისლამი ახალი რელიგია კი არ იყო, არამედ ერთ-ერთი ქრისტიანული ერესი, რომელსაც პრაქტიკულად იგივე წერილი გააჩნდა, მაგრამ, არიანელობის მსგავსად, უარყოფდა სამებას და ღმერთ-კაცს[128]. სწორედ ამგვარი მოსაზრებით შეიტანა იოანე დამასკელმა ისლამი წიგნში „მწვალებლობათა წინააღმდეგ“ (101). ამგვარ წერილობით ტრადიციაზე დაყრდნობით ასახელებს

128 А. В. Кураев. Догмат и ересь в христианском предании // «Вопросы философии», №9, 1994, с. 126.

ტბელ აბუსერისძე მაჰმადს ქრისტიან მწვალებელთა შორის.

აღსანიშნავია, რომ ანტიმაჰმადიანურ პოლემიკას შეიცავს ტბელ აბუსერისძის თხზულება „ქრონიკონი სრული მისითა საუწყებლისა განგებითა“[129]. ტბელი ისლამს „სპარსთა“ რელიგიას უწოდებს. მისი თქმით, „ცთომილნი არიან საწყალობელნი იგი სპარსნი მათთა სხუათავე ზღაპრობათა თანა“ მათ „არცა თუეთა სახელნი იცნიან, მათვე უკუღმა მავალთა მთუარეთა უჴმობენ მათითა ენითა და საზღაპროჲთა შჯულითა და ღმრთისმეცნიერებითა[130] რუსთაველის უმცროსი თანამედროვის ნააზრევში ასე დაუკავშირდა ერთმანეთს ანტიმაჰმადიანური და ანტისპარსული განწყობილებები. ქართულ მწერლობაში ტბელ აბუსერისძე ერთ-ერთი პირველია, ვინც „სპარსთა ზღაპრობას“ დაუპირისპირდა.

## IX.3. „შემდგომად — მეფენი ხატთამბრძოლნი“.

### ხატმებრძოლობა

ხატმებრძოლური (იკონოკლასტური) ერესის წარმოშობას ხელი შეუწყო მაჰმადიანურმა რელიგიამ, რომელიც კრძალავს ხატების გამოსახვას და თაყვანისცემას. 724 წელს არაბეთის ხალიფამ გამოსცა ბრძანება ხატების წინააღმდეგ[131]. იმავე წელს ხატთა თაყვანისცემა აკრძალეს მცირე აზიის საეკლესიო იერარქებმა. ნიშანდობლივია, რომ ბევრი მათგანი წარმოშობით სირიიდან იყო, სადაც მაჰმადიანობა დიდი გავლენით სარგებლობდა. 726 წელს მცირე აზიის სამღვდელოებას მხარი დაუჭირა ბიზანტიის იმპერატორმა ლეონ III ისავრიელმა. მალე დაიწყო ხატის თაყვანისმცემელთა დევნა[132]|. ასე ჩამოყალიბდა უკანასკნელი იმპერატორული ერესი — ხატმებრძოლობა, რომლის პირველი პერიოდი მოიცავს 726-787 წლებს.

787 წელს მეშვიდე საეკლესიო კრებაზე ხატთა თაყვანისცემა აღდგა და იკონოკლასტური ერესი დაგმეს. ხატის თაყვანისმცემლებმა დროებითი გამარჯვება მოიპოვეს, მაგრამ მალე იმპერატორმა ლეონ V-მ და მისმა მიმდევრებმა ერესი განაახლეს. დაიწყო ხატმებრძოლობის მეორე პერი-

129 ი. სიხარულიძე, ტბელ აბუსერისძე — XIII საუკუნის ქართველი მწერალი, თბ., 1963, გვ. 78.

130 აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 34.

131 Архиепископ **Филарет (Гумилевский)**. Историческое учение об Отцах Церкви, т. 3, Свято-Троицкая Сергиева лавра, 1996, с. 198-199, 254.

132 **М. Я. Сюзюмов**. Первый период иконоборчества // История Византии, т. 2, М., 1967, с. 52-53.

ოდი, რომელიც მოიცავს 815-843 წლებს. მართლმადიდებლობის ზეიმი დადგა 843 წელს, როცა კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებაზე საბოლოოდ აღადგინეს ხატთა თაყვანისცემა.

საქართველოში ხატმებრძოლობა არ გავრცელებულა, რასაც ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის შესუსტებამაც შეუწყო. გარდა ამისა, ხატმებრძოლობის წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლას იმპულსს მატებდა საზოგადოებაში არსებული ანტიმაჰმადიანური და ანტიარაბული განწყობა, რაზეც ნათლად მეტყველებს იოანე საბანისძის „აბოს წამება“.

ამასვე მიუთითებს იოანე გუთელის ეპისკოპოსად ხელდასხმა სვეტიცხოველში საქართველოს კათალიკოსის მიერ: იგი „თჳსისა ერისა მიერ ქართლისა კათალიკოზისა წარივლინა და მიერ მოიღო ჴელთა დასხმაჲ, რამეთუ მას ჟამსა საბერძნეთისა კერძონი ხატთა ბრძოლისა წვალებასა დაეპყრნეს"[133] იოანე გუთეთის ეპისკოპოსად აკურთხეს დაახლოებით 759 წელს[134].

### IX.3. „შემდგომად — მეფენი ხატთამბრძოლნი და სხუანი მიმდგომნი მათნივე: ლეონ მეფე ისავრი და კონსტანტინე სკორიანი“.

ლეონ მეფე ისავრი — ბიზანტიის იმპერატორი ლეონ III ისავრიელი (717-740). მეორე დიდი იმპერატორული ერესის — ხატმბრძოლობის ფუძემდებელი. 726 წელს გამოსცა ედიქტი ხატების წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც ხატები ტაძრებში მაღლა უნდა დაეკიდათ, რათა განერიდებინათ „ბრბოს“ თაყვანისცემისაგან. ედიქტმა მართლმადიდებელთა აღშფოთება გამოიწვია. მის წინააღმდეგ აღდგა საბერძნეთი და იტალია. 731 წელს პაპმა გრიგოლ II-მ ხატების წინააღმდეგ მებრძოლნი შეაჩვენა[135].

კონსტანტინე სკორიანი — ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე V (740-775), ლეონ III ისავრიელის ძე, „კოპრონიმად“ (ნეხვი, სკორიანი) წოდებული. განავითარა მამის მიერ წამოწყებული იკონოკლასტური

---

133 „დიდი სჯნაქსარი“, გიორგი მთაწმინდელის თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა მ. დოლაქიძემ, წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 2003, გვ. 140.

134 ზ. სხირტლაძე, ე. ჭელიძე, ეპიზოდი საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან, ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 3-4, 1992, გვ. 229-244.

135 შ. დილი, ბიზანტიის იმპერიის ისტორია, თბ., 1998, გვ. 58-60.

წვალება. 754 წელს ჰიერიაში მოწვეულ საეკლესიო კრებაზე მან გაილაშქრა არა მარტო ხატების, არამედ ღვთისმშობლისა და წმინდანთა თაყვანისცემის წინააღმდეგ. 765 წლიდან კონსტანტინემ დაიწყო ორთოდოქსული სარწმუნოების ნამდვილი დევნა: ანადგურებდნენ ხატებს და ხურავდნენ მონასტრებს, სიკვდილით დასაჯეს წმინდა სტეფანე უმცროსი და კონსტანტინოპოლის პატრიარქი კონსტანტინე II [136].

IX.4. „ლეონ მეფე სომეხი;
ანასტასი, კონსტანტინე
და ნიკიტა, წვალებითა
დამპყრობელ იქმნნეს საყდარსა
კონსტანტინეპოლისასა;
ბოროტნი, კერპთმსახურთა სწორად
უღმრთონი, პირველნი და
შემდგომნი — ერთობით".

ლეონ მეფე სომეხი — ბიზანტიის იმპერატორი ლეონ V სომეხი (813-820). ხატმებრძოლობის განმაახლებელი. მისი ინიციატივით 815 წელს წმინდა სოფიის ტაძარში საეკლესიო კრება მოიწვიეს, რომელმაც ხატები ისევ აკრძალა და იურიდიული ძალა მიანიჭა 753 წელს გამოტანილ დადგენილებებს. დაიწყო მართლმადიდებელთა დევნა. ციხეში ჩასვეს თეოდორე სტუდიელი. 820 წელს ლეონ V სომეხი მის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მსხვერპლი გახდა[137]

IX.4. „ანასტასი, კონსტანტინე
და ნიკიტა, წვალებითა
დამპყრობელ იქმნნეს საყდარსა
კონსტანტინეპოლისასა".

დასდებლის ამ მონაკვეთში ჩამოთვლილი არიან კონსტანტინოპოლის პატრიარქები ხატმებრძოლობის პირველ პერიოდში: ანასტასი — კონსტანტინოპოლის პატრიარქი 730-754 წლებში; კონსტანტინე — კონსტანტინე II, კონსტანტინოპოლის პატრიარქი 754-766 წლებში; ნიკიტა — ნიკიტა I, კონსტანტინოპოლის პატრიარქი 766-780 წლებში.

---

136 შ. დილი, ბიზანტიის იმპერიის ისტორია, გვ. 60-61.

137 იქვე, გვ. 67.

IX.5. „თეოდოტი, ანტონი,
იოვანე; და პავლე ისავრი
და თევდორე, რომელსაცა
ეწოდებოდა
ლასტი და სტეფანე მულიტი,
თევდორე მექრთილე და ლალუდი".

თეოდოტი, ანტონი, იოვანე — კონსტანტინოპოლის პატრიარქები ხატმებრძოლობის მეორე პერიოდში: თეოდოტი — კონსტანტინოპოლის პატრიარქი 815-821 წლებში; ანტონი — ანტონ I კასიმატასი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი 821-837 წლებში; იოვანე — იოანე VII გრამატიკოსი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი 837-843 წლებში.

პავლე ისავრი, თევდორე ლასტი, სტეფანე მულიტი, თევდორე მექრთილე და ლალუდი (ლეონტი) — ხატმებრძოლობის ლიდერები, რომლებიც არ ატარებდნენ პატრიარქის ხარისხს. მათ შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი, თეოდორე მექრთილის გარდა, რომელიც იყო სირაკუზის ხატმებრძოლი არქიეპისკოპოსი და ხატმებრძოლობის მეორე პერიოდის ერთ-ერთი მთავარი ლიდერი. იცოცხლა 860-იან წლებამდე.

IX.5. „კუალად სხუანიც გამოჩნდეს
ერთის ბუნების მეტყუელნი".

## *IX(II) გალობა*

IX(II).1. „თევდორე ფარანელი და
სერგი და პიროს თანა,
პავლე, პეტრე, ონორი
— ჰრომის მოძღუარნი, კჳროზ
— ალექსანდრიისაჲ
და ანტიოქელი
მაკარი და სტეფანე,
ერთ ბუნების მეტყუელნი
ყოველნი".

თევდორე ფარანელი — მონოთელიტური ერესის ერთ-ერთი იდეოლოგი. მისი ცხოვრების შესახებ ცოტა რამ ვიცით, შემოქმედებიდანაც

მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტია მოღწეული, რომელთა მიხედვით ის წარმოგვიდგება მონოთელიტური უნიის თავგამოდებულ დამცველად. არსებობს აზრი, რომ ქრისტეს „ერთი მოქმედების" აღიარებამდე თეოდორე ფარანელი სერგი პატრიარქისაგან დამოუკიდებლად მივიდა და ის შეუხამა თეზისს „ერთი ნების შესახებ". აღნიშნული მიზეზის გამო თეოდორე იქცა სერგი კონსტანტინოპოლელის მოკავშირედ და კიროს ფაზისელთან ერთად დადებითი პასუხი გასცა მის ეპისტოლეს[138].

სერგი — კონსტანტინოპოლის პატრიარქი 610-638 წლებში, მონოთელიტობის ერესიარქი, ჰერაკლე კეისრის მეგობარი და თანამოაზრე. „მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების" მიხედვით, ის იყო „ნათესავით ასური, მშობელთაგან იაკობიტთა შობილი. აღზრდილ იყო კოსტანტინოპოვლეს და ესწავა სწავლაჲ ბერძული და მიემთხვია პატრიაქობასა და აქუნდა შინაგან ესევითარი წვალებაჲ და ერთსა ბუნებითსა ნებასა და ერთსა რასმე საქმესა იტყოდა ქრისტჱსთჳს"[139]

პიროს — კონსტანტინოპოლის მონოთელიტი პატრიარქი 638-641 და 654 წლებში. პატრიარქის საყდარი პირველად სერგი კონსტანტინოპოლელის შემდეგ დაიკავა. მონაწილეობდა ჰერაკლე კეისრის ძის — კონსტანტინე III-ის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში: „პიროს პატრიაქმან თანაშეწევნითა მარტინა სეფექალისაჲთა მოწამლეს იგი და მოკლეს და დასვეს მეფედ ჰერაკლონა ძე მარტინაჲსი"[140]. შეთქმულება დამარცხდა და პიროსი რომში განდევნეს, სადაც ის მწვალებლობაში ამხილა მაქსიმე აღმსარებელმა. პავლე II კონსტანტინოპოლელის გარდაცვალების შემდეგ პიროსი ისევ დასვეს პატრიარქად, რის შემდეგაც ის ანათემას გადასცა რომში მოწვეულმა საეკლესიო კრებამ.

პავლე — პავლე II, კონსტანტინოთპოლის მონოთელიტი პატრიარქი 641-653 წლებში.

პეტრე — კონსტანტინოპოლის მონოთელიტი პატრიარქი 654-666 წლებში.

---

138 **А. И. Сидоров**. История монофелистских споров в изображении Анастасия Синаита (sermo III) и Псевдо-Анастасия Синаита (Synopsis de haeresibus et synodis. 18-26) // Византийский временник, т. 50, М., 1989, с. 94-95, 103.

139 კიმენი, I, გვ. 62.

140 იქვე, გვ. 63-67.

ონორი — ონორი იტალიელი, რომის პაპი 625-638 წლებში. სერგი კონსტანტინოპოლელისადმი მიწერილ ეპისტოლეში მხარი დაუჭირა მონოთელიტურ დოქტრინას, რის გამოც სიკვდილის შემდეგ მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრებამ ანათემას გადასცა.

კჳროს ალექსანდრიელი — იგივე კიროს ფაზისელი, მონოთელიტობის ერესიარქი. ფაზისის მიტროპოლიტი (623 წლამდე). ფაქტობრივად, ამ პერიოდში ის განაგებდა ლაზიკის საეკლესიო და საერო ცხოვრებას. აქტიურად მონაწილეობდა ბიზანტიის იმპერიასა და სპარსელთა სამეფოს ომებში 626-629 წლებში. ფაზისი ბიზანტიის კეისრის ბაზა კავკასიაში ლაშქრობის დროს. ხაზარები, აფხაზები და იბერიელები ბერძნებს კიროსის მეშვეობით უკავშირდებოდნენ.

კიროს ფასისელმა ჰერაკლე კეისართან, სერგი კონსტანტინოპოლელთან და თეოდორე ფარანელთან ერთად შექმნა მონოთელიტობის ანუ მონოენერგიზმის დოქტრინა. 631 წელს ჰერაკლე კეისარმა ის ალექსანდრიის პატრიარქად გადაიყვანა და ეგვიპტის გამგებლობაც ჩააბარა. 633 წელს გამოსცა 9 თავისაგან შემდგარი მონოთელიტური ტრაქტატი, რომელიც აღმოსავლეთის ეკლესიის გაერთიანების საფუძველი უნდა გამხდარიყო. ეგვიპტელმა თეოდოსიანელებმა მიიღეს ეს მოძღვრება, მაგრამ შემრიგებლურ პოლიტიკას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს ქალკედონიტებმა. ამასობაში ალექსანდრია არაბებმა აიღეს. ჰერაკლე კეისარმა კიროსს ღალატი დასწამა და გადასახლება მიუსაჯა, მაგრამ კეისრის მემკვიდრეებმა მალე კვლავ დაუბრუნეს მას ძველი უფლებები[141].

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება კიროს ფასისელის, იმავე პერიოდის ეგვიპტის უპირველესი სახელმწიფო მოღვაწის ალმუკავკასისა და ქართლის კათალიკოსის კირონ (კირიონ) I-ის იგივეობის შესახებ[142].

მაკარი ანტიოქელი — მაკარი I, ანტიოქიის მონოთელიტი პატრიარქი 656-681 წლებში.

სტეფანე — მაკარი ანტიოქიელის მოწაფე, მონოთელიტური ერესის მიმდევარი.

---

141 ზ. ალექსიძე, კიროს ალექსანდრიელი, წიგნში: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, თბ., 1980, გვ. 534.

142 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 167-272.

# ႱႨႫႴႭႬႨႠ-ႪႤႵႱႨႩႭႬႨ

ა

აგებულ-ი *(შექმნილი)* აგებულისა 4.4; აგებულსა 7.2.

ათორმეტ-ი ათორმეტთა 4.2.

ამა ამან 5.II.3; ამას 5.II.5; ამასცა 5.5; ამისთჳს 5.4; ამით 8.1; ამათ 5.5.

ამის-ი ამისი 5.4.

ამბორსყოფა ამბორს-გიყოფთ 9.II.3.

ანგელოზ-ი ანგელოზთა 1.3; 3.2; ანგელოზთაჲ 3.2.

არ *(უარყოფითი ნაწილაკი)* 4.4; 5.II.5;7.5; 8.4.

არ არსო 3.2; 3.3; 4.4; არიან 5.1.

არა 1.3; 3.2; 3.3; 5.3; 5.4; 5.II.1; 7.3; 9.1.

არამართლად 8.2.

არამედ 4.1; 5.II.5; 7.3; 7.5; 8.2; 8.4; 9.1; 9.1.

არდამბადებელი არდამბადებელ 3.3.

არმჯერი არმჯერნი 1.4.

არსება-ჲ არსების 6.3; არსებისაგან 3.2; არსებანი 6.3.

არშემწყნარებელი არშემწყნარებელნი 1.4.

არცა 8.4.

აღდგომა აღდგებიან 3.4.

აღდგომა-ჲ აღდგომასა 3.4; 3.4; აღდგომისა 3.4; 1.3.

აღდგომისგან-ი აღდგომისგანთა 3.4.

აღიარება აღვიარებდეთ 1.2; აღიარებდა 5.II.5; აღგიარებთ 9.II.3.

აღთქუმა აღთქუმისა 4.4.

აღმოსრული აღმოსრულმან 5.II.2.

აღმოცენებულ-ი აღმოცენებულნი 5.1.

აღმსარებელ-ი *(აღმიარებელი)* აღმსარებელი 5.II.1.

აღსარება-ჲ *(აღიარება)* აღსარებით 7.1.

აღწერა აღსწერდეს 8.2.

აწ 1.4.

ახალ-ი ახალსა 4.2; ახალნი 1.4.

ბ

ბილწ-ი ბილწი 5.1; 5.II.1; 51.2; 7.2; ბილწნი 6.1; ბილწთა 6.3.

ბოროტ-ი 1.5; 5.2; 6.2; 7.2; ბოროტმან 5.II.3; ბოროტსა 4.3; 7.4; ბოროტის 5.II.4; ბოროტად 5.1; 5.II.5; 8.4; ბოროტნი 9.4; ბოროტთ 5.II.2; ბოროტთა 1.2.

ბოროტმგმობარ-ი 7.1.

ბუნება-ჲ ბუნებასა 5.II.5; 6.1; 6.1; 7.4; ბუნების 9.5; 9.II.1; ბუნებისა 5.1; 6.3; ბუნებისასა 5.4; ბუნებად 5.4; 5.II.4; 5.II.4; 7.2; 9.2; ბუნებანი 6.3; ბუნებათა 5.II.4; ბუნებათაჲ 5.II.2;

გ

გამოკლთოლვილ-ი *(გამოკრთომილი, გამონათებული)* გამოკლთოლვილად 7.3.

გამომავალ-ი გამომავალად 7.3.

გამოჩენა გამოჩნდა 5.3; 7.1; გამოჩნდეს 9.1; 9.5.

გამოჩენა-ჲ გამოჩენასა 4.2.

გამოცხადება-ჲ გამოცხადებაჲ 7.5.

განსაზღვრება *(განსაზღვრა)* განასაზღვრებს 7.3.

განჩინება *(დაწესება, მიჩენა)* განაჩინა 3.3.

განოტება *(გაძევება)* განვიოტებთ 9.II.3.

განვლა განვლო 5.II.5.

განთჳსებულ-ი *(კერძო, განცალკევებული)* განთჳსებულის 8.2; განთჳსებულად 5.II.3.

განდევნა განიდევნების 8.4.

განმგდებელ-ი *(უარმყოფელი, მიმტოვებელი)* განმგდებელი 4.4.
განმყოფელ-ი *(გამყოფი)* განმყოფელნი 6.3.
განუყოფელ-ი განუყოფელად 1.2.
განწესება განუწესა 3.3.
განყოფა განყო 5.II.3; 9.1; განჰყოფდეს 8.5.
განყოფილება-ჲ *(ხრწნა)* განყოფილებასა 6.1; 6.1.
განჴორციელება-ჲ *(ხორცშესხმა)* განჴორციელებასა 8.2.
გარდამატებულ-ი *(მოჭარბებული)* გარდამატებულისათჳს 5.II.1.
გარდმოხრწნა *(გადმოხრწნა)* გარდმოიხრწნა 4.2.
გარდმოტანება-ჲ *(ჩამოტანა)* გარდმოტანებასა 8.1.
გმობა ჰგმობდა 7.2.
გონება *(მიჩნევა)* ჰგონებდა 5.1.
გონება-ჲ გონებაჲ 5.3.
გუამ-ი გუამსა 7.1; გუამისაჲ 8.2; გუამნით 3.4; გუამთა 3.4.
გუამითი-გუამად *(სხეულიდან სხეულში)* გუამითი-გუამად 4.3.

## დ

დაბადება-ჲ 3.4.
დაბადებულ-ი დაბადებულ 3.2; დაბადებულთასა 7.4.
დამბადებელ-ი დამბადებელისა 7.4; დამბადებელთა 7.4.
დამჰყრობელ-ი დამჰყრობელ 9.4.
დამწყებელ-ი დამწყებელნი 3.1.
დასაბამ-ი დასაბამთა 4.3; 7.4.
დაუსაბამო-ჲ დაუსაბამოსა 1.1.
დაწყეულ-ი *(დაწყევლილი)* დაწყეულმან 9.1.
დედა-ჲ დედასა 9.II.3; დედანი 3.1.
დიდი დიდისა 6.2.
დრკუ-ჲ *(მრუდი, ცრუ, უკეთური)* 7.1; 8.2; დრკუმან 9.1; დრკუნი 4.1.
დღე-ჲ დღისა 1.3.

## ე

ეთეროან-ი 3.4.
ეთერ-ი ეთერისა 8.1.
ერთ-ი ერთ 5.1; 5.II.4; 5.II.4; 9.II.1; ერთი 5.II.3; 9.1; ერთსა 6.1; 6.1; 7.1; 5.II.5; ერთის 7.4; 7.4; 9.5; ერთისა 6.3; ერთად 3.3; 5.6; 7.1; 7.2.
ერთბუნება-ჲ *(ერთბუნებოვანი)* ერთბუნებასა 5.II.1.
ერთგუამოვან-ი ერთგუამოვნად 7.3.
ერთგუამოვნება-ჲ ერთგუამოვნებად 8.3.
ერთობით *(ერთად)* 9.4.
ესრეთ 3.4.
ერთარსება-ჲ ერთარსებით 1.1.
ერთყოფა-ჲ *(შეერთება)* ერთყოფასა 5.4.
ერ-ი ერნო 1.1.
ესე 1.4; 5.1.
ეშმაკ-ი 8.4; ეშმაკთამდეცა 3.4.
ეჰა *(აი)* 5.5.

## ვ

დიდება ვადიდებდეთ 1.1.
ვერცა 3.2; 3.2.
ვერხილვა-ჲ ვერხილვასა 3.2.
ვეცხლისმოყუარება-ჲ *(ფულის სიყვარული)* ვეცხლისმოყუარებაჲ 4.1.
ვითართუმცა *(ვითომცდა)* ვითართუმცა 8.2.
ვითარმედ *(რომ)* 3.4; 5.3; 5.II.1; 5.II.5.
ვითარმცა *(თითქოს; როგორც)* 5.4; 5.II.4; 5.II.5.
ვინაჲ 5.1; 5.4.

ვინაჲთგან 4.4.
ვინმე 6.1; 8.1; 9.1; 4.2.

### ზ

ზე *(დროს)* 1.5; 1.5; 3.1; 3.1; 3.2; 4.1; 4.1; 4.1; 6.2; 6.2; 6.3; 8.4; 9.3.
ზედა 3.3; 5.II.2; 8.5.
ზემო 5.5.
ზეცა-ჲ ზეცით 5.II.5; 5.II.5.
ზიარ-ი *(„თანაზიარი" — სხვისი აზრის მოზიარე)* 5.1.
ზმნობა *(მოგონება, შეთხზვა)* აზმნობდეს 5.II.4; 8.1.

### თ

თავ-ი თავს 4.2; თავსა 1.5; თავისა 8.1.
თანა 1.2; 5.5; 8.1; 9.II.3.
თანა-ჲ *(მსგავსი)* თანად 5.1.
თაყუანისცემა თაყუანის-გცემთ 9.II.3.
თჳთ 3.4.
თჳთებაყოფა-ჲ *(თვისებად გარდაქმნა)* თჳთებაყოფად 8.2.
თჳს-ი თჳსსა 1.5; თჳსსა 4.2; თჳსისა 8.1.
თქუმა თქუა 3.3; 9.1; თქუეს 6.3; თქუნეს 6.3; იტყოდა 5.5; 6.1; 7.1; 7.2; 5.II.1; 8.1; იტყოდედ 1.4; იტყჳს 3.3; 3.4; 7.5.
თქუმა-ჲ თქუმისა 5.II.4; თქუმად 5.5.
თქუმულ-ი თქუმულთა 5.5.

### ი

იგი 5.2; 7.5; 8.2; იგიცა 4.2.

### კ

კადრება *(რისამე გაბედვა ვინმესთვის)* იკადრებდეს 8.2.
კაც-ი კაც 5.1; კაცთასა 4.4; კაცთად 7.5.
კაცისმშობელ-ი კაცისმშობელად 5.II.3; 9.1.
კაცება-ჲ *(კაცობა, ადამიანობა)* კაცებისაჲთ 5.2.
კაცობრივ-ი *(კაცის, ადამიანის)* კაცობრივი 3.3.
კაცქმნა-ჲ *(„ჴორცთშესხმაჲ" — განკაცება)* კაცქმნასა 9.2.
კაცყოფა-ჲ *(ადამიანად ქცევა)* კაცყოფისა 5.4.
კეთილ-ბოროტ-ი *(კეთილი და ბოროტი)* კეთილ-ბოროტთა 7.4; კეთილ-ბოროტსა 7.5.
კეთილდასაბამ-ი *(კეთილი საწყისი)* კეთილდასაბამისა 7.4.
კეთილ-ი კეთილსა 7.4.
კეისარ-ი კეისრის 1.5.
კერპთმსახურ-ი კერპთმსახურთა 9.4.
კიდე *(ცალკე)* 8.5.
კმამყოფელ-ი *(საკმარისად მიმჩნევი, მყოფნელი)* კმამყოფელნი 1.3.
კუალად 4.1; 5.6; 5.II.1; 5.II.4; 7.1; 7.3; 7.3; 7.5; 8.3; 8.5; 9.5.
კურთხეულ-ი კურთხეულსა 9.II.3.

### ლ

ლიტონ-ი *(უბრალო, მარტივი)* ლიტონ 5.1; ლიტონად 5.6.

### მ

მადლ-ი მადლსა 5.6; მადლით 3.2.
მათ-ი მათთა 1.2; მათნივე 9.3.
მათისაებრ მათისაებრ 5.II.4.
მამა-ჲ 3.3; 9.II.3; მამისა 6.3; 3.2; 3.2; 5.5; 7.3; მამათა 9.II.2.
მა- *(იგი ნაცვალსახელის ირიბი ბრუნვების ფუძე)* მან 9.1; 9.1; მას 4.3; მას 7.2; მის 7.1; მისით 1.5; მისნი 5.2; მისსა 3.4; მისსა 5.II.2; 8.2.
მარადის 9.II.2.
მართ 7.3.

მართალ-ი მართლისა 5.II.1; მართ-ლითა 1.1.
მართლადსარება-ჲ (ჭეშმარიტი აღსარება) მართლადსარებით 1.2.
მართლმადიდებლობა-ჲ მართლმადიდებლობითა 9.II.2.
მარტჳლ-ი მარტჳლთა 9.II.2.
მარწმუნებელ-ი (დამჯერებელი) მარწმუნებელნი 8.2.
მარხვა-ჲ მარხვითა 8.4.
მაშინ მაშინვე 8.3.
მბრძოლობა („მჴდომობა" — მტრობა) მბრძოლებდეს 6.1.
მეექუსე-ჲ მეექუსედ 1.4.
მეორე-ჲ მეორე 5.2.
მეტყუელყოფა (ამეტყველება) მეტყუელ-იქმნნეს 1.2.
მეტყუელ-ი 1.5; 3.2; 4.2; 4.4; 6.1; მეტყუელისაჲ 4.3; მეტყუელნი 1.4; 5.1; 9.5; 9.II.1; მეტყუელთა 5.3;
მეფე-ჲ მეფე 9.3; 9.4; მეფისა 3.1; 4.1; 8.4; 9.3; მეფენი 9.3.
მზრახვალ-ი (მოლაპარაკე) მზრახვალნი 8.4.
მზრახ-ი (მოლაპარაკე) მზრახნი 5.II.4.
მზღაპრობ-ი (მეზღაპრე) 4.2.
მზმნელ-ი (მკითხავი) მზმნელნი 1.3.
მთავარ-ი 8.3.
მთქუმელ-ი 4.2; 5.4; მთქუმელისაჲ 4.3.
მიერ (გან — თანდებული) 7.2.
მიცემა მიეცა 5.II.1.
მითუალვა (შეწყნარება) მიითუალვიდა 6.1.
მიღება მიიღო 5.3.
მიხუმა (მიღება) მიიხუნა 5.3.
მიმდგომ-ი (მიმდევარი) მიმდგომით 1.5; მიმდგომნი 5.2; 6.3; 9.3.
მიმწთომ-ი (მიმწვდომი) მიმწთომად 3.3.
მიმხუმელ-ი („შემმოსელი", მიმღებელი) მიმხუმელმან 5.II.5.
მის-ი მისთან 6.2; მისდავე 7.3.
მიხუმულ-ი (მიღებული) მიხუმულთა 8.1.
მოფენა მოეფინებისო 8.4.
მოსლვა მოვედით 1.1.
მოჴსენება მოვიჴსენებთ 1.2.
მომპოვნებელ-ი მომპოვნებელი 4.4.
მომპოვნ-ი (მომპოვებელი) მომპოვნნი 1.3.
მომრგულებულ-ი (სფეროსებური) მომრგულებულნი 3.4.
მომღებ-ი (მიმღები) მომღებით 5.6.
მორწმუნე-ჲ მორწმუნენი 1.2; 9.II.2; მორწმუნეთა 3.3.
მოსლვა-ჲ მოსლვასა 3.4.
მოსრულ-ი მოსრულად 5.II.5.
მოღუაწება-ჲ მოღუაწებითა 8.4.
მოყვანებულ-ი მოყვანებულად 7.2.
მოციქულ-ი მოციქულთა 9.II.2. .
მოძღუარ-ი (მასწავლებელი; მწყემსმთავარი) მოძღურად 4.3; მოძღუარნი 9.II.1.
მოძღურება-ჲ მოძღურებისაებრ 9.II.3.
მოწაფე-ჲ მოწაფეთა 4.2.
მპყრობ-ი (მპყრობელი, მყოლი) მპყრობი 4.2.
მრავალ-ი მრავლითა 8.5; მრავალთ 4.3.
მსგავს-ი მსგავსად 5.II.2.
მტკიცება ამტკიცებს 3.4.
მღდელთმოძღუარ-ი მღდელთმოძღუართა 9.II.2.
მყოფ-ი მყოფნი 1.5.
მძაგ-ი (მძაგებელი, მოძულე) მძაგნი 1.4.
მძჳნვარე-ჲ (მეტის-მეტად გა-

*ავებული)* მძჳნვარემან 9.1.

მწვალებელ-ი მწვალებელმან 5.II.3; მწვალებელნი 1.2; 9.II.1.

მჴდომ-ი *(დაპირისპირებული)* მჴდომთ 4.3.

მჴსნელ-ი მჴსნელისასა 9.II.3.

ნ

ნათლისღება-ჲ ნათლისღებისგან 8.4; ნათლისღებითა 5.6.

ნაცვალად *(ნაცვლად)* ნაცვალად 7.4.

ნიჭ-ი ნიჭსა 5.6.

ო

ო *(სხვათა სიტყვის ო)* არსო 3.2; 3.3; გუამნიო 3.4; იქმნებისო 8.4; მოეფინებისო 8.4; მოძღებიო 5.6.

ოდენ *(მხოლოდ)* 3.3; 3.3; 5.II.5.

ორ-ი ორ 5.II.3; 5.II.3; 9.1; 9.1; 9.2; ორსა 7.4; ორთ 5.II.2; 5.II.4; 7.4; ორთა 4.3; 5.1; 5.II.1; 7.4.

ოცნება *(ფანტაზია, ოცნება)* იოცნეს 7.5.

ოცნება-ჲ *(მოჩვენება, ზმანება, აჩრდილი)* ოცნებით 4.2.

პ

პატივ-ი პატივი 5.II.1.

პირ-ი პირსა 7.1; პირითა 1.1.

პირება-ჲ პირებისა 8.2.

პირველ-ი პირველ 1.3; 3.1; 3.3; 3.4; 5.1; 5.II.4; პირველი 5.2; პირველნი 9.4.

რ

რა-ჲ რაჲმე 7.3; რათმე 1.3.

რამეთუ 3.4; 6.1; 7.2.

რომელ-ი რომელ 8.3; რომელი 5.6; 7.3; რომელიცა 7.2; 9.II.2; 5.II.2; რომელმან 8.4; რომელსაცა 9.5; რომელნი 8.5; რომელნი 9.2; რომელთა 1.2.

ს

სათნოყოფა *(მოწონება)* სათნო-ბეყჳნეს 9.II.2.

სათნოება-ჲ *(სიკეთე)* სათნოებისა 5.II.1.

სამ-ი სამ 1.3; სამნი 6.3; 7.5.

სამგუამოვან-ი *(სამპიროვანი, სამჰიპოსტასიანი)* სამგუამოვნად 1.1.

სამება-ჲ სამებაჲ 3.3; სამებასა 1.1; 1.2; სამებისსა 7.1; სამებაო 9.II.2.

სამებისგან-ი სამებისგანად 3.3.

საოცარ-ი *(მოგონილი, მოჩვენებითი)* საოცრად 9.2.

სარწმუნოება-ჲ სარწმუნოებასა 8.5; სარწმუნოებითა 1.1.

საუკუნე-ჲ *(სამარადისო)* საუკუნეთა 3.4.

საქმე-ჲ საქმეთ 1.2.

საღმრთო-ჲ საღმრთოჲ 5.II.1.

საყდარ-ი საყდარსა 9.4.

სახელ-ი 5.II.2.

სახელისდება-ჲ *(სახელის დარქმევა, წოდება)* სახელისდებასა 5.4.

სახელდებულ-ი *(წოდებული)* სახელდებულ 3.2; სახელდებული 4.3.

სახელ-ი სახელებსა 1.2.

სახიერ-ი *(კეთილი)* სახიერსა 4.2; სახიერისა 4.4.

სივერაგე-ჲ სივერაგითა 8.5.

სიტყუა-ჲ სიტყუამან 5.II.5; სიტყუასა 7.3; სიტყჳსა 5.4; 5.II.3; 8.3; სიტყჳსაებრ 5.II.1; სიტყჳსასა 8.2; სიტყუათა 1.2.

სიტყჳერ-ი სიტყჳერთ 3.4; სიტყჳერთა 3.3.

სიძვა-ჲ 4.1.

სოლინარ-ი *(ბერძნ. „წყლის მილი")* სოლინარი 5.II.5.

სოფელ-ი სოფლის 3.3.

სულ-ი სული 3.3; 3.3; 8.4; სულსა 7.2; სულისა 5.5; 6.3; 7.5; სულისაჲ 3.2; სულისაგან 3.2; სულისსა 5.6;

სულითა 5.3; სულად 4.2; სულთა 1.3; სულთა 4.3.
სულიერ-ი სულიერნი 5.3.
სურვილ-ი სურვილით 9.II.3.
სწავლულ-ი სწავლულისა 4.3.
სწორ-ი *(თანაბარი, მსგავსი)* სწორ 3.4; სწორად 9.4.
სხუა-ჲ 7.1; სხუა 5.II.3; სხუანი 1.4; 5.2; 9.3; სხუანიც 9.5; სხუანიცა 9.1; სხუათაცა 1.3; 1.5.
სხუაობა-ჲ *(განსხვავება)* სხუაობაჲ 5.II.3.
სჯულ-მცნებან-ი *(კანონი და მცნებები)* სჯულ-მცნებათა 1.3.
სჯულდებულ-ყოფა *(დაკანონება)* სჯულდებულ-ყო 5.II.3.

უ

უარყოფა უარ-ჰყოფდა 6.1; უარ-ჰყოფდეს 9.2.
უბადრუკ-ი 7.1; 7.5.
უბიწო-ჲ 5.II.3.
უბრალოყოფა *(გამართლება)* უბრალო-ყო 4.1.
უგუნურება-ჲ 5.5.
უდიდესობა-ჲ 5.5.
უვარისმყოფელ-ი უვარისმყოფელნი 1.3.
უვარისყოფა-ჲ უვარისყოფითა 5.2.
უვარმქმნელ-ი უვარმქმნელნი 8.3.
უკნინესობა-ჲ 5.5.
უკუდავ-ი უკუდავსა 1.1.
უკეთურ-ი უკეთურნი 8.5.
უმცირესობა-ჲ 5.5.
ურთიერთას *(ერთმანეთს)* 4.3; 6.1.
უსულო-ჲ უსულო 5.4; უსულოდ 5.3; 6.3.
უფალ-ი 5.II.3; უფალსა 5.1; უფლისათა 5.3; უფლისათა 5.II.5; უფლისანი 6.3.
ღმრთო-ჲ უღმრთონი 1.2; 9.4.
უწერელ-ი *(დაუწერელი)* უწერელად 1.3.
უხრწნელ-ი უხრწნელისა 7.1; უხრწნელად 8.1.
უჯერო-ჲ *(საეჭვო, შეუფერებელი)* უჯეროთა 4.4.

ქ

ქადაგება გქადაგეს 9.II.2.
ქალწულ-ი 5.II.3; 5.II.5; ქალწული 9.1; 9.II.3.
ქება-ჲ ქებად 9.II.2.
ქებულ-ი ქებულსა 1.1.
ქმნა ვიქმნებით 3.4; იქმნებისო 8.4; იქმნნეს 9.4.
ქმნილ-ი ქმნილად 4.4.
ქონა აქუნდა 4.3.

ღ

ღირს-ი ღირს 5.4.
ღირსყოფა *(ღირსად გადაქცევა)* ღირს-იქმნა 5.6; ღირს-მყვენ 9.II.2.
ღმერთ-ი ღმრთის 7.3; 9.1; ღმრთისა 5.II.3; 8.2; 8.3; ღმრთისგან 4.4; ღმრთისგან 8.5; ღმრთისგანად 4.2; ღმრთისამან 5.II.5; ღმერთად 8.3.
ღმრთეება-ჲ 5.II.4; ღმრთეებისა 6.3; ღმრთეებისაჲთა 5.2.
ღმრთისმეტყუელ-ი ღმრთისმეტყუელითა 1.1.
ღმრთისმშობელ-ი ღმრთისმშობელად 9.1; 9.II.3.

ყ

ყეფა ყეფდა 5.II.5; ყეფდეს 9.2; იყეფა 5.II.3.
ყოველ-ი ყოველსა 9.II.3; ყოვლისავე 4.4; ყოველნი 6.2; 9.II.1; 9.II.1; ყოველთა 1.1; 3.3.
ყოვლად *(სრულიად)* 4.1.
ყოფა იყო 1.5; 6.2; 8.2; 8.3; იყვნეს

1.3; 3.1; 3.1; 4.1; 5.4; 5.4; 5.11.4; 6.3; 8.4; 9.3.

ყოფა-ჲ ყოფაჲ 5.11.3; ყოფად 3.3; 7.2.

## შ

შეწყალება შეგჳწყალენ 9.11.2.

შეერთება-ჲ შეერთებისა 5.11.4; 5.11.4; შეერთებისგანვე 8.1.

შეჩუენება შევაჩუენნეთ 6.2; 9.11.1.

შეკრება-ჲ შეკრებად 7.3.

შეკრებილ-ი შეკრებილად 7.3.

შემდგომად 3.4; 4.2; 9.3.

შემდგომ-ი *(მიმყოლი)* შემდგომნი 9.4.

შემნივთებელ-ი *(შემქმნელი)* შემნივთებელი 6.2.

შემოქმედ-ი შემოქმედსა 1.1.

შემტკბობ-ი შემტკბობისა 4.3.

შენ 9.11.3; 9.11.2; შენდა 9.11.2.

შენდობა-ჲ შენდობაჲ 8.4.

შენ-ი შენისა 9.11.3.

შერევნულ-ი შერევნულ 5.11.4.

შესაქმე-ჲ *(შექმნა)* შესაქმეს 4.4.

შესხმა-ჲ *(შემოსვა)* შესხმასა 8.2.

შეუნდობყოფა შეუნდობ-ყო 4.1.

შეურევნელ-ი შეურევნელად 1.2.

შექმნილთაგან-ი შექმნილთაგანად 7.2.

შეყოფა შეყოფათა 4.4.

შეჩუენებულ-ი შეჩუენებულნი 3.1; 8.5.

შინა 4.4.

შობა-ჲ შობისა 1.3.

შორის 5.11.1; 6.1.

შჳდ-ი შჳდ 1.3; 1.4.

## ჩ

ჩუენ 1.2; 9.11.2; 9.11.2; ჩუენგან 8.1; 9.11.3.

ჩუენგან-ი ჩუენგანად 5.6.

ჩუენ-ი ჩუენი 5.3; ჩუენსა 8.5; ჩუენთა 3.4.

ჩქურვა *(სიბრიყვის თქმა)* იჩქურა 7.3.

## ც

ცვალება-ჲ *(ცვლილება)* ცვალებად 4.3; ცვალებასა 4.4.

ცთომილ-ი *(შემცდარი)* 7.1.

ცა-ჲ ცით 8.1.

ცნობილ-ი ცნობილსა 1.1.

ცოფ-ი *(გიჟი, ცოფიანი)* ცოფმან 9.1.

ცრუწინასწარმეტყუელ-ი ცრუწინასწარმეტყუელნი 3.1.

ცხადყოფა ცხად-ჰყოფდა 5.4.

ცხოველობით-ი *(სიცოცხლის მქონე)* ცხოველობითითა 5.3.

ცხოველ-ი *(ცოცხალი)* ცხოველსა 1.1.

## ძ

ძალდება *(შეძლება)* ძალ-ედვას 3.4.

ძალ-ი *(ძალა)* ძალისაგან 7.3.

ძე-ჲ ძე 3.2; 3.3; 5.11.2; 9.1; ძისა 5.5; 6.3; 6.3; 7.2; 9.11.3; ძისაგან 3.2; 7.2; ძისასა 3.2; ძედ 5.11.3; 9.1.

ძეობა-ჲ ძეობით 8.2.

ძირ-ი ძირთაგან 5.11.2.

ძისწულ-ი ძისწული 5.11.2.

ძმაცუვა *(ვერაგობა)* ძმაცუვიდა 1.5; ძმაცუვიდეს 8.5.

ძრწოლა-ჲ ძრწოლით 9.11.3.

ძუელ-ი ძუელ 1.4; ძუელითგან 1.3; ძუელისა 4.4.

## წ

წარმატება-ჲ წარმატებითა 5.6.

წარწყმედა-ჲ *(დაღუპვა)* წარწყმედად 3.4.

წერა წერდეს 5.II.4.
წვალება-ჲ წვალებათ 4.3; წვალებასა 9.II.3; წვალების 6.2; წვალების 8.3; წვალებისასნი 3.1; წვალებით 1.2; წვალებითა 9.4; წვალებანი 1.3; წვალებათ 5.5; წვალებათა 1.5.
წინააღმდგომ-ი წინააღმდგომად 5.3.
წინასწარმეტყუელ-ი წინასწარმეტყუელთ 5.1; წინასწარმეტყუელთა 1.4; 1.4.
წმიდაჲ 3.3; 8.4; 9.1; წმიდასა 1.1; 1.2; 7.2; წმიდისა 5.5; 5.6; წმიდად 4.2; წმიდათა 9.II.2; წმიდათ 9.II.2; წმიდისანი 6.3.
წოდება უწოდდა 5.6; ეწოდებოდა 9.5; იწოდებიან 8.3.
წყეულ-ი წყეული 4.2.

ჭ

ჭეშმარიტ-ი ჭეშმარიტად 9.II.3.
ჭეშმარიტება-ჲ ჭეშმარიტებით 7.5.

ხ

ხატ-ი *(სახე; ხატი)* ხატი 8.2.
ხოლო 1.2; 3.2; 3.3; 3.4; 4.1; 5.2; 5.3; 5.5; 5.II.3; 6.1; 6.3; 9.1.
ხრწნილება-ჲ ხრწნილებასა 4.4.
ხუთ-ი ხუთ 1.4.

ჴ

ჴორც-ი ჴორცნი 5.4; 5.II.4; 6.3; ჴორცთა 3.3; 5.3; 5.4; 5.II.5; 8.1; 8.1; 8.2; 8.5; ჴორცთაგან 7.5; ჴორცთამან 5.II.5.
ჴორცთშესხმა-ჲ *(განკაცება)* ჴორცთშესხმასა 8.1.
ჴორცისმჭამელ-ი ჴორცისმჭამელთა 1.4.
ჴუმევა *(გამოყენება)* იჴუმია 5.II.2.

ჯ

ჯერ-არს *(საჭიროა)* ჯერ-არსო 5.5.

ჰ

ჰ 9.II.2.

## I. მწვალებლები და წვალებები

ადელფოჲ 8.3
აეტი 6.2
აკჳლა 1.5
ანასტასი 9.4
ანტონი 9.5
აპოლინარი 5.3
არიანოზი 5.3
არიოზ 6.2
არიოჲს მიმდგომნი 6.3
არტემონ 4.1; 5.2
ასტერიპოს 8.4
ბარსანოფი 9.2
გაიანე ალექსანდრელი 8.1
გაიანოს (იგივე გაიანე ალექსანდრელი) 9.2
დადოჲ 8.3
დამიანოს 8.2
დიოდორე ტარსელი 8.5
დიოსკორე 5.II.4; 9.2
დღითი-დღე ნათლისმღებელნი 1.4
ევდუქსი 6.2
ევვიონ 5.2
ევნომი 6.2
ევსევი 6.2
ევსტატი სევასტიელი 8.3
ევტუქი 5.II.4; 9.2
ევპიტთ წვალება 8.3
ელკესიოს 4.3
ემპოდოკლოჲ 4.3
ენთჳსიასტი 8.3
ვალენტიოს 7.5

ვარდისან 3.1; 5.2
ვასილიოს 7.5
ვოლდანტოს (ტერევნითად სახელდებული) 4.3
ზენონ 9.3
ზოსიმე 9.3
თევდოსი 9.2
თევდორე ანტიოქელი (იგივე თევდორე მომფსუესტელი) 8.5
თევდორე მექრთილე 9.5
თევდორე მომფსუესტელი 5.6; 5.II.1-2
თევდორე დასტი 9.5
თევდორე ფარანელი 9.II.1
თეოდოტი 9.5
თეოდოტოს 3.1
თეოდოტონ 3.1
იაკობ 9.5
ივლიანე ალიკარნელი 8.1; 6.1; 9.2
იოვანე 9.5
კარპუკრატი 1.5
კერდონ 1.5
კირინთის 1.5
კლიმი სტრომატელი 3.2
კჳროზ (იგივე კჳროს) 9.II.1
კჳროს 9.3
კონსტანტინე 9.4
კონსტანტინე სკორიანი 9.3
ლალუდი 9.5
ლეონ ისავრი 9.3
ლეონ სომეხი 9.4
მაკარი 9.3; 9.II.1
მაკედონიოს 7.2
მანენდროს 1.5
მანენტოჲ (იგივე მანი, მანინ, მანიქეველი, მანიქეოს) 5.1
მანი 8.3
მანინ 4.2
მანიქეველი 7.4
მანიქეოს 7.5
მარკელლე 7.3; 8.3
მარკიონ 1.5; 7.5
მაქსიმილა 3.1
მაქსიმოს 8.4
მესალიანნი 1.5
მწიგნობარნი 1.3
ნავატ 4.1; 6.2
ნაზარეველნი 1.4
ნესტორ (იგივე ნისტორ) 5.II.2
ნიკიტა 9.4
ნისტორ 3.1; 9.1
ონორი 9.3; 9.II.1
ორიგენი 3.3
ოსინელნი 1.4
პავლე 9.II.1
პავლე ისავრი 9.5
პავლე სამოსატელი 3.1; 5.1-2; 5.II.2
პეტრე 9.2
პეტრე 9.II.1
პიროს 9.3; 9.II.3
პოლემონ 8.5
პოლიმონ 6.2
პორფირ ტჳრიელი 8.5
პრისკილა 3.1
საბა 8.4
საბელიოს 4.1; 7.1; 7.5
სადუკეველნი 1.3
სავვატ (იგივე სავვატოს) 8.5
სავვატოს 6.2
სატორნილოს 1.5
სევეროზ 6.1; 9.2
სერგი 9.3; 9.II.5
სკჳთანე 4.3
სტეფანე მულიტი 9.5; 9.II.1
სჳმეონ 8.4
სჳმონ 1.5
სჳნეპოს 4.1
სჳნმახოს 3.1
ტატიანე 3.1; 5.2
ტერევნითი (იგივე ვოლდანტოს) 4.3
ტიმოთ 9.2
უვალენტიანონ 1.5

ფარისეველნი 1.3
ფოტინა (იგივე ფოტინე) 5.2
ფოტინე 8.3
ხატთამბრძოლნი 8.3
ჰეროდიანნი 1.4

## II. რომის და ბიზანტიის მეფეები

ადრიანე 1.5
ანტონინე 3.1
დეკეოჲ 4.1
დიოკლიტიანე 6.2
ელიანოს 8.4
კლავდიოს 1.5
კომოდ 3.1
კონსტანტინე დიდი 6.2-3
კონსტანტი 6.3
ონორ 6.1
სევეროზ 3.1
ღალინო 4.1
ჰეროდე 1.4

## III. ნართაული სახელები

დიდი (კონსტანტინე მეფე) 6.2
მექრთილე (თევდორე) 9.5
მულიტი (სტეფანე) 9.5
სკორიანი (კონსტანტინე) 9.3
სტრომატელი (კლიმი) 3.1
ღასტი (თევდორე) 9.5

## IV. გეოგრაფიული და ეთნიკური სახელები

ალექსანდრელი (გაიანე) 8.1
ალექსანდრია 9.II.1
ალიკარნელი (ივლიანე) 8.1
ანტიოქელი (თევდორე, იგივე თევდორე მომფსუესტელი) 8.5; (მაკ-არი) 9.II.1
ისავრი (ლეონ) 9.5
იორდანე 5.6
კილიკელი 5.II.2
კონსტანტინეპოლი 9.4
ლიბიელი (საბელიოს) 7.1
მისრი 8.1
მომფსუესტელი (თევდორე) 5.6; 5.II.2
საბერძნეთი 4.2
სამოსატელი (პავლე) 5.II.2
სევასტიელი (ევსტათი) 8.5
სომეხი (ლეონ) 9.4
სპარსეთი 4.2
ტარსელი (დიოდორე) 8.5
ტჳრიელი (პორფირ) 8.5
ფარანელი (თეოდორე) 9.II.1
ჰრომი 9.II.1
ჰურიაებრი 5.II.3; 7.1

# შინაარსი

შესავალი 3

„გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი“ და ე. წ. „აბდულმესიანი“ 11

„გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანის“ ინტერტექსტუალური ანალიზი 18

მწვალებელთა შეჩვენება „პირველსა კჳრიაკესა წმიდათა მარხვათასა“ 19

„გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი“ და ექვთიმე ათონელის „მცირე სჯულისკანონი“ ... 25

კოზმან იერუსალიმელის „შესხმანი წმიდისა ღმრთისმშობლისანი“ 27

„გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი“ და ხრონოგრაფის“ არსენ იყალთოელისეული თარგმანი 29

ციტატები ეფრემ მცირის „სამოციქულოს განმარტებიდან“ 39

ციტატები არსენ ვაჩესძის „დოგმატიკონიდან“ 41

ტექსტისათვის ... 46

გალობანი მწვალებელთა ყოველთა თ თეულისა წვალებისა შეჩუენებისანი (ტექსტი) 53

კომენტარები 68

სიმფონია-ლექსიკონი 133

რამაზ ხალვაში

# ტბელ აბუსერისძის „გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი“


გამომცემლობის რედაქტორი თ. ჩადუნელი
ტექ.რედაქტორები: ბ. ლეჟავა
მ. ცინცაძე
კორექტორი ი. ბაჯელიძე

გადაეცა წარმოებას: 09.08.2003. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.08.2003. ქაღალდი ოფსეტური №1. 60x841/16. ბეჭდვა ოფსეტური. ტირაჟი: 1000 ეგზ.

გამომცემლობა „ქართული წიგნი“, 2003 წ.